

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

Student Journal of Social Sciences

№27, თებერვალი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2024

E ISSN: 2449-3066

სარედაქციო კოლეგია:

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა
სალომე ნამიჭიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ირინა ქავჭარაძე, ირაკლი ზოიძე.
თბილისის ქუჩის მხატვრობა, როგორც ალტერნატიული ნარატივი: საზოგადოებრივი წინააღმდეგობა ელიტების მიერ მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში 4
2. ხატია ბუთიაშვილი.
რეინტეგრაცია ქართული შრომის ბაზარზე: სამხრეთ ევროპიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალების მაგალითზე 17
3. მარია ბრეგვაძე, ნინო ნაყოფია.
ავხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული საფრთხეები 32
4. ანნა უზნაძე, მარიამ ბარამიძე.
ლგბტქ+ თემის გამოწვევები დასაქმების სფეროში 51
5. ია ნადირაშვილი, მარიამ გაფრინდაშვილი.
ახალგაზრდების აზარტულ თამაშებზე (gambling) დამოკიდებულება და მისი ფსიქო-სოციალური ეფექტები 67
6. დიმიტრი შავლოხაშვილი, თამარ კირკიტაძე.
პარტიული ევროსკეპტიციზმი საქართველოში: 2021-2023 წლებში 79
7. ელენე ჩოხელი, მარიამ მათიაშვილი.
მედიის პასუხისმგებლობის საკითხი საკუთარ სოციალურ ქსელში ლგბტქ+ საზოგადოების უფლებების შემლახველ კომენტარებთან დაკავშირებით ქართული კომერციული სამაუწყებლო მედიის მაგალითზე 97
8. ნინო ხატისაშვილი, თინათინ ჭავჭავანიძე.
კრიმინალური ავტორიტეტების საფლავები, როგორც მეხსიერების ადგილები საქართველოში 111



თბილისის ქუჩის მხატვრობა, როგორც ალტერნატიული ნარატივი: საზოგადოებრივი
წინააღმდეგობა ელიტების მიერ მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში

ირინა ქავჯარაძე

ირაკლი ზოიძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: irina.kavzharadze947@sps.tsu.ge

E-mail: irakli.zoidze182@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

თბილისის სხვადასხვა შენობაზე მრავლად ვაწყდებით საპროტესტო გამოსახულებებსა და წარწერებს, რომლებიც ხშირად გადახაზული, წაშლილი ან „უწყინარი“ გამოსახულებითაა გადაფარული. საზოგადოებრივი მცდელობების პარალელურად იკვეთება პოლიტიკური ელიტების საპასუხო რეაქციაც, - საჯარო პირთა განცხადებები და საკითხის საკანონმდებლო დონეზე რეგულირების მცდელობები. ზემოთქმული ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ რიგ შემთხვევებში პოლიტიკური წარმომადგენლობა საზოგადოების ნაწილის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ცდილობს, რითაც მხოლოდ მათთვის მისაღები ნარატივების გავრცელებას ეწყობა ხელი. კედლებზე გამოსახული რჩება ნარატივთა ის გამოვლინებები, რომლებიც პოლიტიკური სადავეების მქონეთათვის მისაღებია. აქედან გამომდინარე, **კვლევის მიზნად** განისაზღვრა შესწავლა თბილისის ქუჩის მხატვრობის როლისა საზოგადოებრივი მეხსიერების ფორმირების პროცესში და მისი წინააღმდეგობრივი ხასიათის გაანალიზება პოლიტიკურ მეხსიერებასთან მიმართებით. შესაბამისი ამოცანების განხორციელებით, კერძოდ კი, თბილისის ქუჩის მხატვრობის შესწავლით, საკითხთან მიმართებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გაანალიზებითა და ძირითადი ტენდენციების გამოკვეთით მოცემულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა ყოველივე მეხსიერების ფორმირების კონტექსტში მიმოგვეხილა. ამდენად, კვლევის მიგნებებმა მიგვიყვანა იმ კითხვის პასუხამდე, რომელიც თავდაპირველად იქნა განსაზღვრული. რატომ მიმართავს საზოგადოება ქუჩის მხატვრობას მეხსიერების ფორმირებისა და პროტესტის გამოხატვის პროცესში? - ხელისუფალთა განსხვავებული შეხედულებები და მათი მცდელობები, ცვლილებები შეიტანონ გრაფიტა შინაარსში, აიძულებს ხალხს, საკუთარი შეხედულებები კედლებზე გადაიტანოს, რათა მეხსიერების სელექციისა და ინსტიტუციონალიზების მრავალეტაპიან წინააღმდეგობებში ინდივიდუალური მეხსიერება არ დაიკარგოს.

საკვანძო სიტყვები: მეხსიერების პოლიტიკა, მეხსიერების ინსტიტუციონალიზება, ქუჩის მხატვრობა, თბილისის გრაფიტი, საზოგადოებრივი წინააღმდეგობა.

შესავალი

მეხსიერების აღბეჭდვის პროცესში ქუჩის მხატვრობა ორგვარად განიხილება: 1. როგორც საზოგადოებრივი მეხსიერების ჩამოყალიბების მცდელობა; 2. როგორც წინააღმდეგობა ინსტიტუციური მეხსიერებისადმი (Sarmiento, 2021). წინამდებარე კვლევის ფარგლებში ქუჩის მხატვრობის ორივე ასპექტია მიმოხილული, ვინაიდან, თბილისური გრაფიტები ასახავს მეხსიერების საზოგადოებრივ ნარატივებს და ამავედროულად ეწინააღმდეგება პოლიტიკური ელიტების ინტერპრეტაციებსაც.

მეტისმეტად დაკვირვებული თვალის ქონაც არ არის იმისთვის საჭირო, რომ შევამჩნიოთ შემდეგი: ქუჩის მხატვრობას აქვს მიდრეკილება გამოჩნდეს პოლიტიკურად მძიმე დროს. ასე მაგალითად,

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ გარკვეული პოლიტიკური საკითხების გააქტიურებას მუდმივად სდევს თან შესაბამისი საპროტესტო ფრაზების გაჩენაც. ქუჩის მხატვრები ხსენებულს ასე ხსნიან, - „ქუჩის კედლები ერთადერთი ხელსაწყოა, რომელსაც ვერავინ წაგართმევს“. სწორედ ხსენებული „ხელშეუხებლობა“ გამოვლინდა საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისის ფონზეც, როცა უმუშევარმა ახალგაზრდებმა სხვადასხვა სოციალური შეტყობინებებით აავსეს ქუჩები, რომელთაც დღემდე ატყვია პროტესტის კვალი (Bijoor, 2015). ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქუჩის ხელოვნება ერის სოციო-პოლიტიკური გარემოებების ამსახველია, რაც პოლიტიკურ აქტივიზმში წარმატებულ იარაღად შეიძლება მატერიალიზდეს. შესაბამისად, რეალობის ასახვა, რომელიც ქუჩის მხატვრობის ქართულ ნიმუშებშია წარმოდგენილი, ყურადღების მიპყრობას იმსახურებს.

მოცემულ საკითხთან მიმართებით საძიებო სისტემებში მწირი ინფორმაციაა განთავსებული. თანამედროვე თბილისის ქუჩის მხატვრობასთან დაკავშირებით კი საერთოდ არ არსებობს კვლევები მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში. ამდენად, ნაშრომის ღირებულება მის ინოვაციურობასა და ორიგინალურობაშია.

ლიტერატურის მიმოხილვა

კოლექტიური მეხსიერება დინამიკურია და ცდილობს განსაზღვროს, რას და როგორ ვიმახსოვრებთ ან ვივიწყებთ. პიერ ნორას ხედვით, აღნიშნულში უდიდესი როლი მნემონიკურ ადგილებს უკავშირდება (Nosova, 2021). წარსულის გააზრება თანამედროვეობაში არსებულ აქტუალურ საკითხებზეა დამოკიდებული. დამახსოვრებისა თუ დავიწყების პროცესზე კი დიდი ზეგავლენა აქვს პოლიტიკურ კონიუქტურას. ცვლილებები, როგორც წესი, კარგად ჩანს მეხსიერების ადგილებში/არეებში, რომლის შესახებაც პიერ ნორა ვრცლად საუბრობს თავის ნაშრომებში (წერეთელი, 2023). მეხსიერების ზოგადი ტენდენციების გამოკვეთისას, უსამართლობა იქნება, გვერდი ავუაროთ იმ მნემონიკურ საცავებს, რომლებიც იდეებს მატერიალური ფორმით ინახავენ და წარმოაჩენენ. ამ პროცესში მნიშვნელოვანია საკუთრივ ქუჩის მხატვრობის ღირებულება, ვინაიდან, როგორც საკითხის მკვლევრები ასკვნიან, გრაფიტი უნდა გავიგოთ, როგორც დამახსოვრების პროცესში ჩართული მედიატორი პოლიტიკურსა და კოლექტიურ მეხსიერებებს შორის (Teune, 2005).

ზემოხსენებულის უკეთ გასაგებად საჭიროა ჩავუღრმავდეთ იმ მნიშვნელობებს, რომლებიც ტერმინების, „კოლექტიური მეხსიერებისა“ და „პოლიტიკური მეხსიერების“ მიღმა განისაზღვრა დარგის მკვლევართა მიერ. მანამდე კი, გვსურს მკითხველთა ყურადღება მეხსიერების ზოგადსა და უნივერსალურად გაზიარებულ განსაზღვრებას მივაპყროთ, - მეხსიერება მოიცავს შენახვა-ორგანიზების მოწესრიგებულ პროცესს „წარსულთან დიალოგის“ ფორმით. თავის მხრივ, მეხსიერების მეცნიერულ მიდგომაში გამოიყოფა მისი „კოლექტიური“ გაგება, რომლის გამოყენებაც ჰალბვაქსის სახელს უკავშირდება. ჰალბვაქსის ხედვით, ადამიანი მუდმივად ურთიერთქმედებს გარემოსთან, რაც ინდივიდუალურ დონეზე მეხსიერების ფორმირებაში აისახება. შესაბამისად, კოლექტიური მეხსიერებიდან გამომდინარეობს ინდივიდუალური აღქმები (ქარაია, 2023). ხსენებულის საპირწონედ, ჯეიმს იანგმა ტერმინ „Collective Memory“-ის ნაცვლად „Collected

Memory”-ის გაგება შემოგვთავაზა. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ კოლექტიური მეხსიერების ტექსტურა უჯრედულ დონეზე ინდივიდუალური გამოცდილებების ნაკრებია და სწორედ ინდივიდთა მეხსიერების ერთობა ქმნის კოლექტიურ აღქმას (Young, 1996). მივიჩნევთ, რომ ზემოაღნიშნულ ორივე მიდგომას არსებობის მყარი ლოგიკური გამართლება მოემქნება, თუმცა ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: მსგავსი განსხვავებული აღქმები, რომლებიც მეხსიერების კოლექტიურ და ინდივიდუალურ დონეებს შორის კავშირს ეხება, საკითხის მიმართ ბუნდოვანებას ამძაფრებს და ზუსტი დასკვნების გამოტანას ართულებს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ქუჩის მხატვრობაზე, როგორც მეხსიერების საცავზე, სამეცნიერო ლიტერატურა ძალიან მწირია, ამიტომაც მოცემული სტატიის მიზანია, აღნიშნული თეორიების შესაბამისად განიხილოს თბილისური გამოვლინებები და სწორედ მის მაგალითზე განაზოგადოს ცოდნა. ტენდენციების ამგვარი შესწავლისას, შევხვდებით როგორც “Collective”, ისე „Collected” მეხსიერების გაგების ნიმუშებს. ასე მაგალითად, ჰალბვაქსისეული დასაბუთების გამოვლინებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ რიგ შემთხვევაში გრაფიტის ავტორები ინდივიდუალურ, ემპირიულ დონეზე არ ყოფილან გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მომსწრენი, თუმცა მაინც აპელირებენ თემებზე, რომლებიც ღრმად ინახება ჩვენი საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში.

თუკი ქუჩის მხატვრობას განვიხილავთ, როგორც შუამავალს კოლექტიურსა და პოლიტიკურ მეხსიერებებს შორის, საჭიროა განვსაზღვროთ ეს უკანასკნელიც. „პოლიტიკური მეხსიერების“ გაგებაში ძირითადი ვექტორი პოლიტიკურ ელიტას, პარტიებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს მიემართებათ, ანუ თითოეულ იმ ერთობას, რომელსაც გარკვეული ძალაუფლებით მანიპულირება შეუძლია (ქარაია, 2023). როცა ვამბობთ, რომ ქუჩის მხატვრობა სოციუმში არსებულსა და ინსტიტუციონალურ მეხსიერებებს ერთმანეთს აკავშირებს, ბუნებრივია, არ ვგულისხმობთ მხოლოდ პოზიტიურ კორელაციას. პირიქით, ხშირ შემთხვევაში გრაფიტი სწორედ ელიტების მიერ მეხსიერების ფორმირების პროცესისადმი საზოგადოებრივ წინააღმდეგობას გამოხატავს. ლოგიკურია, ეს რომ ჭეშმარიტებას არ შეესაბამებოდეს, უამრავ სახელმწიფოს არც დასჭირდებოდა მიემართა ისეთი ზომებისთვის, როგორებიცაა ქუჩის მხატვრობის კრიმინალიზაცია და კანონთა გამკაცრება (Ferrel, 1993). სახელმწიფოთა მიერ ქუჩის მხატვრობის სერიოზულ საფრთხედ აღქმა მხოლოდ 1990-იანი წლებიდან გააქტიურდა, მანამდე კი, როგორც წესი, უგულვებელყოფილი იყო გრაფიტის გავლენები საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. ახლა კი უკვე დავის საგანს აღარ წარმოადგენს, რომ ქუჩის მხატვრობა (განსაკუთრებით დასავლეთში) პროტესტის გამოხატვის წარმატებულ ფორმად იქცა (Teune, 2005).

საკითხით დაინტერესებული ისეთი მკვლევრები, როგორებიც არიან შ. ბიჯორი, ჯ. ფერელი, ს. ტიუნი და სხვანი, ერთხმად აღიარებენ იმას, რომ ზოგადად ხელოვნების როლი პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში საკმაოდ დიდია. მეტიც, ბიჯორი ქუჩის ხელოვნებას აღიქვამს ინსტრუმენტად, რომელიც ყველას აძლევს პოლიტიკური მონაწილეობის „ფუფუნებას“, ხოლო გრაფიტს უწოდებს იმას, რაც „ხმას უხმაუროებს აძლევს“ (Bijoor, 2015). ფერელი კიდევ უფრო შორს მიდის, როცა ქუჩის მხატვართა როლის განსაზღვრაზე დგება ჯერი და მათ იმ ადამიანებად

მოიხსენიებს, რომლებიც საკუთარი ნიჭით ნაწარმოები იდეოლოგიით მსოფლიო პოლიტიკის მონაწილენი და მეხსიერების მაფორმირებლები ხდებიან (Ferrel, 1993). ტიუნიც იზიარებს მსგავს შეხედულებას და ამბობს, რომ კრიზისი აუძლებურებს პოლიტიკურ მოცემულობებს და აძლევს შანსს ხელოვნებას, ხელი შეუწყოს იმის აღორძინებას, რაც დაკარგვის პირასაა (Teune, 2005).

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუჩის მხატვრობას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საზოგადოებრივი აზრის განვითარების პროცესში. შესაბამისად, საინტერესოა, მისი მატერიალიზება მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში განიხილოს. ზემოთ წარმოდგენილმა ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ინტერესი დიდი ხანია მიპყრობილია აღნიშნული საკითხის მიმართ. ამასთან, ფაქტი, რომ საქართველოში გრაფიტს მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში არ აკვირდებიან, ღირებულებას მატებს წინამდებარე კვლევას და ფასეულს ხდის, შესწავლილ იქნას თბილისის ქუჩის მხატვრობაში გამოვლენილი საზოგადოებრივი წინააღმდეგობები.

მეთოდოლოგია:

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, სამაგიდო კვლევა (მეორეული წყაროების ანალიზი) - საკითხთან მიმართებით არსებული რელევანტური ლიტერატურის შესწავლა. აგრეთვე, ვიზუალური მასალის შინაარსობრივი ანალიზი, - შევისწავლეთ თბილისის ქუჩის მხატვრობა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა საშუალება მოგვცა, კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან შესაბამისობაში გაგვეანალიზებინა საკითხი. **საველე პერიოდიად** განისაზღვრა დროის მონაკვეთი 2023 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნული საველე პერიოდის არჩევის მიზეზი გახლდათ ის, რომ მოცემულ პერიოდში ქართული საზოგადოების მეხსიერება ისტორიული მოვლენის შესახებ კონსტრუირდებოდა, - საქართველო მოელოდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს, რამაც ქუჩის მხატვრობა გამოადგინა. **საველე არედ კი შერჩეულ იქნა** ვაკე-საბურთალოს ტერიტორია. შესაბამისად, მოცემული კვლევა აღნიშნული პერიოდისა და არეალში არსებული გრაფიტების შესწავლა-გაანალიზების შედეგს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ვაკე-საბურთალოს რეგიონში წარმოდგენილი **200-მდე გრაფიტი**.

თბილისის ქუჩის მხატვრობა: საზოგადოებრივი წინააღმდეგობა ელიტების მიერ მეხსიერების ჩამოყალიბების პროცესში

ქუჩის მხატვრობა, გრაფიტისა თუ სხვადასხვა საპროტესტო წარწერების გამოჩენა თბილისის ძველი თუ ახალი შენობების კედლებზე, ორი ძირითადი მიზეზის გამო იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას: პირველი - როგორც ქვემოთ ვიხილავთ, თბილისში არსებული ქუჩის მხატვრობა ერთგვარი „ცოცხალი ორგანიზმი“, ვინაიდან ძველ ნახატებს ხშირად ახლით ფარავენ და შესაბამისად, მახვილი თვალია საჭირო ცვლილებებისა თუ სიახლეების გასაანალიზებლად; და მეორე - ქუჩის მხატვრობასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა დღითიდღე მკაცრდება, რაც საზოგადოებრივი მეხსიერების ფორმირებაში ინსტიტუციათა უხეში ჩარევის ნიმუშია.

ყველაფერი 2016 წელს დაიწყო, როცა თბილისის მერიამ "ქუჩის ხელოვნების ფედერაცია" დააარსა. ამ უკანასკნელის მიზანი ძალზე მკაფიოდაა გაცხადებული: "საზოგადოების სწორად ინფორმირება და ზღვრის გავლება ვანდალიზმსა და საჯარო ხელოვნებას შორის" (არაბული, 2019). აღნიშნულში მთავარი პრობლემა ისაა, რომ ზღვარი საკმაოდ მყიფე და სუბიექტურია - ვინ უნდა დაადგინოს, თუ სად მთავრდება ხელოვნება და სად იწყება ვანდალიზმი. მსგავსი საშიშროება მარტივად ამოცნობადია, თუკი დავაკვირდებით ქუჩის ხელოვნების მოძრაობა "ნიკოს", რომლის მიერაც ხელოვნებს შემდეგი მთავარი შეზღუდვა უწესდებათ: "ნახატები დაცლილი უნდა იყოს პოლიტიკური ან/და რელიგიური შინაარსისაგან". სახელმწიფოს მიერ გაზრდილი ინტერესიც ყურადსაღებია - საქართველოს მთავრობა ყოველწიურად ათობით ათას ლარს გამოყოფს ბიუჯეტიდან, რათა კედლებზე კონკრეტული გრაფიტები გამოისახოს (არაბული, 2019). შესაბამისად, ქუჩებში ჩნდება ის, რაც ხელისუფლებას სურს და საპირისპიროდ, ქრება ის, რაც არასასურველია.

ამავე 2016 წელს მხატვრები აქტიურად ალაპარაკდნენ იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება „შერჩევითი პრინციპით მოქმედებდა“, როცა საქმე ქუჩის მხატვრობას ეხებოდა. ასე მაგალითად, 2016 წელს მთავრობამ განაცხადა, რომ კონკრეტული ქუჩის მხატვრობის შექმნამდე შესაბამისი ნებართვის მიღება იყო საჭირო. ამავე პერიოდში მხატვარი ლია უკლება ასაბუთებდა, რომ გრაფიტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ერჩოდნენ, თუკი იგი რეაქციული იყო (HumanRights.ge, 2016). აღნიშნულიდან 2 წლის შემდეგ მანამდე არსებული კანონმდებლობა კიდევ უფრო გამკაცრდა თბილისთან მიმართებით. თუკი 2018 წლამდე სხვადასხვა სახის წარწერებისა თუ ნახატების/სიმბოლოების კედლებზე დატანა მთელი საქართველოს მასშტაბით 500 ლარით ისჯებოდა, 2018 წელს საქართველოს პარლამენტის წევრმა ზაზა გაბუნია კანონპროექტი წარადგინა, რომლის მიხედვითაც ქვეყნის სხვა ტერიტორიებზე ჯარიმა იგივე უნდა დარჩენილიყო, თბილისში კი 1000 ლარამდე გაზრდილიყო, ანუ გაორმაგებულიყო (ლოლობერიძე, 2018).

ქუჩის მხატვრობასთან დაკავშირებულ მკაცრ კანონმდებლობასთან მიმართებით მხატვართა დამოკიდებულება ერთგვაროვანია - ყოველი მათგანი ეწინააღმდეგება და აპროტესტებს ხელისუფლების მცდელობას, შეზღუდოს აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება. ქუჩის მხატვარ ბაჩა ხოფერიას აზრით, ხელოვნების ფუნქცია მაშინ სრულდება, როცა მისი თვითმყოფადობა ნარჩუნდება. დასძენს: „ის, რაც დღეს თბილისში ქუჩის ხელოვნების სახელით ხდება, შენს ოთახში სხვის მიერ შერჩეული სურათის დაკიდებას, შენს დღიურში გადაწერილ სხვის ამბავს ჰგავს“. პოლიტიკური სისტემის ნაკლოვანებაზე საუბრობს ხელოვანი მარიამ ნატროშვილიც, რომლის აზრითაც, „სისტემამ „STREET ART“ მოათვინიერა და წინააღმდეგობის იარაღი დეკორატიულ ხელოვნებად აქცია“. მიუხედავად მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული წინააღმდეგობისა, სასიხარულოა, რომ ქუჩის მხატვრები მაინც ინარჩუნებენ პრინციპულ პოზიციებს: „მერიას არ ვეტყვი, რომ მის საწინააღმდეგო რამეს ვაკეთებ და ნებართვასაც არ მოვითხოვ, პირდაპირ მივადგები კედელს და დავხატავ“, - განაცხადებს ხელოვანი მუსია ქებურია (ლოლობერიძე, 2018). სწორედ ეს უკანასკნელი სულისკვეთება იკვეთება დღესაც, როცა თბილისის თანამედროვე ქუჩის მხატვრობას ვაკვირდებით: მიუხედავად მკაცრი კანონმდებლობისა და შესაბამისი სასჯელისა, გრაფიტის შემოქმედები კვლავ არ ეპუებებიან სახელისუფლებო ბარიერებს.

თბილისის ქუჩის ხელოვნებაზე ჩვენმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ კედლებზე დატანილი სიმბოლოები ტენდენციურ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, შევიმუშავეთ მისი ოთხგვარი კატეგორიზაცია, რომლებიც დაწვრილებითაა წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომში: 1. **ქუჩის მხატვრობა, როგორც ძველის გახსენება** - ახასიათებს საქართველოს წარსულ დიდებაზე აპელირება საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ისეთი გმირების გამოსახვით, როგორებიცაა, მაგალითად, მარო მაცაშვილი, გიორგი ანწუხელიძე და სხვა; 2. **ქუჩის მხატვრობა, როგორც ანტისისტემური და ანტისამთავრობო გამოვლინება** - ანტისახელისუფლებო წარწერებით ხასიათდება და ხშირადაა გამოყენებული, როგორც პროტესტი კონკრეტული შემთხვევების წინააღმდეგ (ასე მაგალითად, პრეზიდენტ სააკაშვილის გათავისუფლების, ლაზარე გრიგორიადისის საქმის გადახედვის მოთხოვნა და სხვა); 3. **ქუჩის მხატვრობა, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი** - ძირითადად გამოხატულია ისეთი საერთაშორისო უწყებების წარმოჩენით, როგორებიცაა ნატო და ევროკავშირი, აგრეთვე, ხშირია აშშ-სა და უკრაინის დროშების გამოსახვის მაგალითი, რაც საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, დასავლური ორიენტაციის მხარდაჭერაზე, ამავედროულად კი, უკრაინისადმი სოლიდარულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს; ბოლო, მეოთხე კატეგორიაა „სხვა“¹ (4), რომელიც აერთიანებს ყველა დანარჩენ გამოვლინებას, მათ შორის, ხელისუფლების მიერ დაკვეთილ ქუჩის მხატვრობასა თუ ქუჩის მხატვრობის იმ ერთეულ ნიმუშებს, რომლებიც ზემოჩამოთვლილი სამი ქვეკატეგორიიდან არცერთს მიეკუთვნება.

ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიზაციები სათანადოდ აიხსნება პ.ბერგერისა და თ. ლუკმანის სოციალური კონსტრუქციონიზმის თეორიით, რომლის მიხედვითაც საზოგადოება არ არის დროსა და სივრცეში გაყინული რეალობა, ის მრავალ შრიან კონსტრუქციას წარმოადგენს და მისი რეფაბრიკაცია თუ მობილიზაცია ძალაუფლების ზეგავლენის შედეგია. ითვლება, რომ მეხსიერება არის კონსტრუირების შედეგი, ამიტომაც, შესაძლებელი ხდება ინტერპრეტაციების მიხედვით შინაარსების ცვლილება, რასაც ბუნებრივია პოლიტიკის დღის წესრიგი განსაზღვრავს. საბოლოოდ კი, მეხსიერების მართვა და ცვლილება შესწევთ მათ ვისაც, საზოგადოების დარწმუნების საშუალებებზე და მექანიზმებზე ხელი მიუწვდებათ. ამ ყველაფრის სწორად აღსაქმელად რეალობის ობიექტური და სუბიექტური ასპექტები მუდმივად უნდა ვიქონიოთ თვალთახედვაში. მოცემული კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომიც რეალობას ექსტერნალიზაციის პროცესის მიხედვით აღწერს, რადგანაც უკვე ინსტიტუციონალიზებული სამყაროს აღსაქმელად სუბიექტი მისი რეალობიდან უნდა გავიდეს. ინსტიტუციონალიზებული სამყაროს „შიგნიდან“ შეფასება შეუძლებელია (ქარაია, 2023).


ქუჩის მხატვრობა, როგორც ძველის გახსენება

¹ შესაბამისი ფოტომასალა წარმოდგენილია დანართის სახით.



ილუსტრაცია N1

ქუჩის მხატვრობა თვალსაჩინოდ ავლენს, თუ როგორია ისტორიის სელექციის ის სტრატეგია, რომელსაც ქართველი ერი მიმართავს. ხსენებული კლასიფიცირდება, როგორც დამახსოვრება - ისტორიის შექმნის ალტერნატიული გზა, რომელიც სოციალურ დონეზე ხორციელდება. ქუჩის მხატვრობა, ისე, როგორც სოციალური დონისთვისაა დამახასიათებელი, წარმოადგენს დასამახსოვრებელი ინფორმაციის მატერიალურ და სოციალურ მანიფესტაციას. მეხსიერების უფრო სხვა, დაბალ დონეებთან (ინდივიდუალური ან/და მცირე ჯგუფების) შედარებით ის შესაძლოა მოიცავდეს ნარატივებს შორის ბრძოლას (ქარაია, 2023). ეს უკანასკნელი ხშირად ვლინდება ძველი წარწერების გადახაზვითა და ახლის ჩანაცვლებით. მაშინ, როდესაც მავანთათვის (მორიგი ხელოვანისა თუ ხელისუფლებისათვის) მიუღებელია მანამდე შექმნილი გრაფიტის შინაარსი, ძველ გამოსახულებას ახლით ანაცვლებენ. ქუჩის კედლები აღნიშნულზე საკმაოდ ბევრს საუბრობენ, - რიგ შემთხვევაში ძველი წარწერა მაინც იკითხება ახლის მიღმა (იხ. ილუსტრაცია N2).



ილუსტრაცია N2

ქუჩის მხატვრობა, როგორც ანტისისტემური და ანტისამთავრობო გამოვლინება



ილუსტრაცია N3

„ქირავდება მოსამართლე დღიურად, ფასი შეთანხმებით“; „შენ აქ ჩადე ფული, იზეიმებს სამართალი სრული“; „თავისუფლება პოლიტპატიმარ გიორგი რურუას“; „თავისუფლება ნიკა გვარამიას“; „თავისუფლება ლაზარეს“; „გვახსოვს ოცი ივნისი“; „ღირსეული საცხოვრებელი სტუდენტებს“, - ეს იმ მოთხოვნათა თუ პროტესტის გამოხატვის ფორმათა მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც თბილისის შენობათა კედლებზე ამოიკითხავთ და რასაც ყველაზე მეტად ებრძვის ხელისუფლება. დამახსოვრების პროცესის ინსტიტუციონირებისას საქართველოს ხელისუფლება ახალი ისტორიული ნარატივის შემოთავაზების ნაცვლად, "უწყინარ" თემებზე აპელირებას ამჯობინებს. ცნობილია, რომ სახელმწიფო კომემორაციული აქტივობის ფორმა შეიძლება იყოს ასევე მისივე საკუთარი კომემორაციული აქტივობების დაფინანსება (ქარაია, 2023). ასე მაგალითად, თუკი თვალს შევავლებთ უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე თსუ-ს XI კორპუსის (ბიბლიოთეკა) მიმდებარე ტერიტორიას, სხვადასხვა სტუდენტური პროტესტის გამომხატველი წარწერის გვერდზე მარტივად შესამჩნევია დიდი, ფერადი გამოსახულებები, რომლებიც სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა (იხ. ილუსტრაცია N4).



ილუსტრაცია N4

ქუჩის მხატვრობა, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი



(ილუსტრაცია N5)

რუსეთის მიერ უკრაინაში ომის წამოწყებასთან ერთად თბილისის ქუჩებში აქტიურად გამოჩნდა შესაბამისი საპროტესტო გამოსახულებები. ყველაზე ხშირად ვაწყდებით უკრაინის, ევროკავშირის, ნატოსა და აშშ-ის დროშების გამოსახულებებს. ამავდროულად, ქალაქის ნებისმიერ კუთხეში დავინახავთ წარწერებს: “Ruzzians Go Home”; “Ruzzia is a Terrorist State”; “Russians, you’re not welcome here”; „რუსეთი ოკუპანტია“ და სხვ. ამდენად, გრაფიტი არის საშუალება ქართველი ხელოვანებისათვის, რომ დააფიქსირონ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები ქვეყანაში თუ მის გარეთ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა, მარტივი არც მსგავსი შეხედულებების ღიად დაფიქსირებაა, - მოქალაქე, რომელსაც ფოტომასალის შეგროვების

პროცესში გავეცანით, აღნიშნავდა, რომ საკუთარი ავტოფარების უკრაინის დროშის ფერებში გასაფერადებლად ღამის 3 საათზე ისტუმრა მხატვარი მეგობარი.

დასკვნა

საკითხის შესწავლის შედეგად ნათელად გამოჩნდა, რომ თბილისის ქუჩის მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი არასტატიკურობაა. იმას, რასაც დღეს ცდილობენ, რომ მეინსტრიმულად იქნას გაზიარებული, შესაძლოა ხვალ ახალი გამოსახულება ფარავდეს. ერთი მხრივ, საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა, მეორე მხრივ კი, მთავრობის უხეში ჩარევები კანონიერი კონტროლის დაწესების გზით, საფრთხეს უქმნის აზრის გამოხატვის თავისუფლებას გრაფიტის გამოყენებით. ყურადსაღებია, რომ მხატვრები ერთხმად თანხმდებიან შემდეგ მოცემულობაზე: მთავრობა იბრძვის იმის წინააღმდეგ, რაც რეაქციულია. შესაბამისად, არც ისაა შემთხვევითი, რომ ზემოთ მოცემულ ქვეკატეგორიაში „ქუჩის მხატვრობა, როგორც ანტისისტემური და ანტისამთავრობო გამოვლინება“, ხშირად ვაწყდებით გადახაზულ გრაფიტებსა და თეთრად გადაღებულ კედლებს. საით მიდის ქუჩის მხატვრობის განვითარება საქართველოში? რას გვახსენებენ ქართველი ქუჩის მხატვრები და რისი დავიწყებისკენ მოგვიწოდებს ხელისუფლება? - თვალი შეავლეთ თბილისის კედლებს და პასუხიც უმაღლესი გაიცემა. თუმცა, მანამ, სანამ თბილისური ქუჩის მხატვრობის მომავლის შესახებ მეცნიერული ცოდნის კაუზალური მეთოდი ამოქმედდება და დარჩენილ კითხვებს პასუხები გაეცემა, აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ: თბილისის ქუჩის მხატვრობა რეაგირებს და საკუთარ სახელს არქმევს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებს; ქუჩის მხატვრობა ქვემოდან ზემოთ მიმავალი პოლიტიკური მეხსიერების ფორმირების პროცესია; სამთავრობო ელიტა გრძნობს გრაფიტების ოპოზიციურ ხასიათს, ამიტომაც ცდილობს მის კრიმინალიზაციასა და საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ვანდალიზმია; თბილისის ქუჩის მხატვრობა ცოცხალი ორგანიზმია - ერთი გადახაზული თუ წაშლილი ნახატის ნაცვლად ოცი ახალი გრაფიტი ჩნდება; თბილისში ქუჩის მხატვრობას ურბანული ხასიათი აქვს და ის ძირითადად ქალაქის ცენტრალურ და ისტორიულ ქუჩებში გხვდება; ქუჩის მხატვრებს შორის არსებული მაღალი სოციალური კაპიტალი მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონებს პრაქტიკულად ძალას უკარგავს.

გამოყენებული ლიტერატურა

არაბული, ნ. (2019, ნოემბერი 12). "როგორ მოჰპარა ხელისუფლებამ არტისტებს ქუჩა". Retrieved from რადიო თავისუფლება:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%90%E>

ქარაია, თ. (2023). *მეხსიერების პოლიტიკა, თეორია და პრაქტიკა; მეხსიერების ფორმირება ინდივიდუალურიდან სოციეტალურამდე*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ლოლობერიძე, ნ. (2018, ივნისი 21). *თბილისში ქუჩის მხატვრობაზე ჯარიმები ორმაგდება - მორიგი ცვლილება გამობატვის წინააღმდეგ*. Retrieved from tabula.ge: <https://tabula.ge/ge/news/609765-tbilisshi-kuchis-mkhatvrobase-jarimebi-ormagdeba>

წერეთელი, ი. (2023). *მეხსიერების ადგილები დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოში, ანუ რას მოგვითხრობს ქართული სამოქალაქო კალენდარი*. თბილისი.

Bijoor, S. (2015, April 7). Street Art as a Form of Contemporary Transnational Protest. *Introduction to International Relations*.

Ferrel, J. (1993). *The world politics of wall painting*. JSTOR.

HumanRights.ge. (2016, ივნისი 17). მხატვრობა, რომელიც ისჯება.

Nosova, H. (2021). Pierre Nora's Concept of Contrasting Memory and History. *International Journal of Philosophy*.

Teune, S. (2005, September 10). Art and the Re-Invention of Political Protest. *Social Science Research Centre Berlin (WZB)*.

Young, J. (1996, May 10). The Texture of Memory: Holocaust Memorials and Meanings. *New Haven and London: Yale University Press*, pp. 248-249.



რეინტეგრაცია ქართული შრომის ბაზარზე: სამხრეთ ევროპიდან დაბრუნებული
ემიგრანტი ქალების მაგალითზე

ხატია ბუთიაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: xatiabutiashvili@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოში რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში შეინიშნება შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია ევროპის ქვეყნებში, რაც გამოწვეულია ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, კერძოდ, სიღარიბის მაღალი მაჩვენებლითა და უმუშევრობით. აქედან გამომდინარე, საქართველოს მოქალაქეები იძულებულნი ხდებიან სამუშაოდ წავიდნენ ემიგრაციაში, სადაც ისინი წლების განმავლობაში რჩებიან. ქართველი ქალები ყველაზე ხშირად სამუშაოდ სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, იტალიაში, საბერძნეთში და ესპანეთში მიდიან, რადგან აქ გაიზარდა მოთხოვნა ქალ მუშახელზე საოჯახო საქმეების შესრულების მიზნით. შესაბამისად, ისინი მარტივად საქმდებიან. მართალია, ემიგრანტთა რაოდენობა სჭარბობს ქართველი იმიგრანტების რაოდენობას, მაგრამ წლების შემდეგ ქვეყანაში ბრუნდებიან და მათ წინაშე დგება რეინტეგრაციის პრობლემა.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა სამხრეთ ევროპის ქვეყნებიდან დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ქართული შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის შესწავლის პროცესს, რომელიც, ამასთანავე, კვლევის მთავარი მიზანია. კვლევა ორიენტირებულია ძირითადი გამოწვევების დადგენაზე, რომლებიც აბრკოლებს სრულყოფილ რეინტეგრაციას. აღნიშნული მიზანი მიიღწევა ემიგრაციიდან დაბრუნების მიზეზებისა და ქართულ ბაზარზე მუშაობის მზაობის კვლევით. ასევე, იმის დადგენით თუ რამდენად ეხმარებათ რესპონდენტებს საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება. კვლევის ამოცანაა შევადგინოთ ემიგრაციიდან დაბრუნებული ქალების კმაყოფილების დონე სახელმწიფოს მხრიდან მათ დასახმარებლად გატარებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. კვლევის მიზნიდან გამომდინარეობს საკვლევი კითხვაც: რა თავისებურებებით გამოირჩევა სამხრეთ ევროპიდან ემიგრანტი ქალების საქართველოში დაბრუნების რეინტეგრაციის პროცესი? თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ, საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

მოცემული მეთოდოლოგიით მიღებული შედეგების შეჯამებით დავასკვნით, რომ ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც აბრკოლებს ქვეყანაში დაბრუნებულ ქალების რეინტეგრაციას, განპირობებულია გარკვეულწილად ემიგრაციაში მიღებული გამოცდილებითა და ქართულ შრომის ბაზარზე არსებული სპეციფიკური მახასიათებლებით.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, მიგრაციის ფემინიზაცია, შრომის ბაზარი, ეკონომიკური რეინტეგრაცია.

შესავალი

შრომითი მიგრაცია ერთი ქვეყნიდან მეორეში დასაქმების მიზნით ადამიანთა გადაადგილებას გულისხმობს. მიგრაციაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას: ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური მდგომარეობა, უსაფრთხოება, ჯანდაცვა და ა.შ. მაგრამ შრომითი მიგრაციის ძირითად გამომწვევ ფაქტორად მაინც ეკონომიკური მდგომარეობა ითვლება. საქართველო შრომითი მიგრაციის პრობლემის წინაშე მას შემდეგ აღმოჩნდა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში შეიქმნა არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე, რესურსების არათანაბარი განაწილება და მოსახლეობისთვის არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია იყო ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა გამოც საზოგადოების დიდმა ნაწილმა სამუშაოს ძიება საზღვრებს გარეთ დაიწყო.

აუცილებლად აღსანიშნია ისიც, რომ შრომითი მიგრაციის დაწყების პირველ ეტაპზე, მამაკაცები უფრო ხშირად მიდიოდნენ სამუშაოდ, ვიდრე ქალები, მაგრამ ეს ტენდენცია ნელ-ნელა შეიცვალა და შეინიშნება შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია. ამის გამომწვევი მიზეზი ის არის, რომ ევროპის ქვეყნებში მზარდი მოთხოვნაა შინამომსახურების სერვისზე, კერძოდ, ისინი საქმდებიან ისეთ სპეციფიკურ პოზიციებზე როგორებიცაა ოჯახის დამხმარე, ძიძა, მოხუცის მომვლელი და ა.შ. როცა განვიხილავთ შრომით მიგრაციას, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს გენდერის გავლენას მიგრაციის ხასიათზე. არ შეიძლება ფემინიზაციის ზრდის გამომწვევ მიზეზად მხოლოდ მიმღებ ქვეყნებში მზარდი მოთხოვნა დასახელდეს, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ქალებს სამშობლოში დასაქმებაში ხელს უშლის საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული შეხედულებები, ეს ყველაფერი კი შრომითი ემიგრანტი ქალის თემას აქტუალურს ხდის.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შრომით მიგრანტებს სჭირდებათ ფინანსური უზრუნველყოფა და სტაბილური შემოსავალი, შესაბამისად მნიშვნელოვანია როგორ განხორციელდება რეინტეგრაციის პროცესი. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით დგას ქართულ შრომის ბაზარზე, სადაც ანაზღაურება საკმაოდ დაბალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ემიგრაციაში იმყოფებოდნენ. მათთვის საქართველოში რთული შესანარჩუნებელი ხდება ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ავტონომია, რასაც ქალები საზღვარგარეთ ყოფნისას იღებენ. დაბრუნებულ მიგრანტებს უჭირთ სამსახურის დაწყება, სადაც მათ ადეკვატური ანაზღაურება ექნებათ. (Mestvirishvili, Zurabishvili & Zurabishvili, 2015)

აუცილებელია აღინიშნოს სახელმწიფოს როლი რეინტეგრაციის პროცესში, რადგან მას აქვს რესურსი, რომლის საშუალებითაც უნდა უზრუნველყოს ემიგრანტთა ფინანსური მხარდაჭერა და დაეხმაროს მათ დასაქმებასა და რეინტეგრაციის რთული პროცესის გადალახვაში. ამ მიზნით, საინტერესოა ის პროგრამები, რომლებსაც მთავრობა სთავაზობს ამ დაბრუნებულ ადამიანებს. სწორედ დახმარების მიზნით შეიქმნა 2015-2020 წლებში საგრანტო პროგრამა, რომლის მიზანი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტების გამოყოფა და მათი დახმარებით,

ემიგრაციიდან დაბრუნებული შრომითი მიგრანტებისთვის სამუშაო ადგილების შეთავაზება და რესურსების ზრდაა. ამგვარი პროგრამები, რომელთა მიზანი დახმარება და ფინანსური უზრუნველყოფაა, დიდწილად, მიმართულია ემიგრაციაში ხელმეორედ წასვლის რისკების შემცირებისკენ, თუმცა მეორე საკითხია რამდენად იყენებენ დაბრუნებული ემიგრანტები ამ პროგრამებს და როგორია ამ პროგრამაზე ხელმისაწვდომობა. (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებულ გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, 2016)

ლიტერატურის მიმოხილვა

მიგრაცია გლობალური ფენომენია და თანამედროვეობის გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგრაციული პროცესების მართვა არის ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. მიგრაცია წარმოადგენს პროცესს, როდესაც ადამიანები გადაადგილდებიან ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში, განსხვავებული მიზეზებისა და მიზეზების გამო, შესაბამისად, ის გულისხმობს როგორც კულტურული, ისე ფიზიკური გარემოს ცვლილებას. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია, რომელიც გულისხმობს ქალების გადინებას სხვა ქვეყანაში სამუშაოს მიზნით. ამ მოვლენას სხვადასხვა მიზეზებითა და პერსპექტივებით ხსნიან. ნიკოლა პაიპერი წიგნში „გენდერისა და მიგრაციის ახალი პერსპექტივები“ წერს, რომ შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობდა ქალთა ემანსიპაცია. შესაბამისად, ამან განაპირობა ის, რომ აქტიურად ჩაერთნენ საჯარო სივრცეში, ამიტომაც საოჯახო საქმე იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაქმების წყაროდ. შედეგად, ეს სფერო იმიგრანტმა ქალებმა კარგად აითვისეს, განსაკუთრებით იმ ქალებმა, რომელთა ქვეყანაში განვითარების შედარებით დაბალი დონეა. (Piper, 2003) პაიპერის ნააზრევი ქართულ რეალობაში კარგად ვლინდება, რადგან განათლებისა და განვითარების შედარებით დაბალ პირობებში, სჭარბობს დიასახლისი ქალების რაოდენობა, რომელთა ყოველდღიური საქმიანობა სოჯახო საქმეებია. შესაბამისად, კარგად ათვისებული საქმით, ემიგრაციაში ადვილად საქმდებიან.

შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია დიდი ხანია შეინიშნება და აღარ არის ახალი მოვლენა, ამას ადასტურებს საქსტატის ყოველწლიური სტატისტიკა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებით ამ წელს საქართველოდან 125 269 ადამიანი წავიდა, მათგან უმრავლესობა კი ქალია. საინტერესოა მიზეზები, რომლებმაც ეს ყველაფერი გამოიწვია. სწორედ, მიქაელა ვანორე და მელისა სიგელი კვლევაში „გენდერული მიგრაციის მიმართულების ცვლილება მოლდოვიდან და საქართველოდან“ (2015) გამოყოფენ შრომითი მიგრაციის ფემინიზაციის მიზეზებს ამ ორივე ქვეყანაში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე. ძირითადი მიზეზები ამ შემთხვევაშიც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირე და მიმღებ ქვეყანაში გენდერულად სეგრეგირებული სამუშაო ადგილების არსებობაა. სწორედ ამან გამოიწვია საქართველოდან და მოლდოვიდან ქალების მასობრივი გადინება. (Vanore & siegel, 2015). ასევე, გამოყოფენ იმ საკითხს, რომ შრომითი

მიგრაციის ფემინიზაცია ქალებისთვის შეიძლება იყოს ორგვარი: პოზიტიური- მათ შეიძლება შეიძინონ ახალი უნარ-ჩვევები, უარყოფითი- განიცადონ უნარების დაქვეითება.

ჩვენი კვლევის ფარგლებში გვინტერესებდა რა გავლენას ახდენს ემიგრაციაში მიღებული გამოცდილება დაბრუნების მიზეზებზე თუ შემდგომ რეინტეგრაციაზე. უპირველესყოვლისა, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს უცხო ქვეყანაში თავდაპირველი სოციალიზაციის პროცესი, როგორ შეეგუვნენ ქართველი ქალები უცხო გარემოს, რადგან ხშირად შეუგუებლობა ხდება დაბრუნების მიზეზიც. კარმელ კამილერი და მალევსკა-პიერი (1997) სტატიაში „სოციალიზაცია და იდენტობის სტრატეგიები“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ინტეგრაციის უდიდესი მნიშვნელობის განხილვას ახალ კულტურასთან შეგუების პროცესში. ისინი ფიქრობენ, რომ სრულყოფილი ინტეგრაციისთვის მიგრანტის უნარ-ჩვევები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ახალი კულტურის მიმღებაში. ამასთანავე, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მასპინძელი კულტურის ტოლერანტულობასა და ღიაობას ახალი წევრებისთვის. იგი გამოყოფს იდენტობის შენარჩუნების ორ სტრატეგიას: ონტოლოგიურსა და პრაგმატულს. ონტოლოგიური-საკუთარი კულტურის ერთგულება, პრაგმატული-მასპინძელი კულტურის ღირებულებების გაზიარება. ამავე სტატიაში ავტორები გამოყოფენ იმ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია მიმღებ საზოგადოებაში ნეგატიური იდენტობის ჩამოყალიბებასთან, ამას კი განაპირობებს სოციალიზაციის გავლა სხვა ტიპის საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, ხშირად ხდება მიგრანტების სტიგმატიზაცია, რაც იწვევს იდენტობის კრიზისს. შესაბამისად, ავტორები გამოყოფენ სტრატეგიებს, რომელთა საშუალებითაც უნდა აიცილონ სტიგმატიზაცია: ინდივიდუალურსა და კოლექტიურს. (Camilleri & Malewska-Peyre, 1997) კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა თუ რომელ იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების სტრატეგიას იყენებდნენ ქართველი ქალები საბერძნეთში, იტალიასა და ესპანეთში.

იქიდან გამომდინარე, რომ რეინტეგრაციის პროცესზე გავლენას ახდენს სამშობლოში დაბრუნების მიზეზები, სწორედ ამ დაბრუნების მიზეზებზე საუბრობს ფრანჩესკო კერასი სტატიაში „მოლოდინები და რეალობა: ამერიკიდან სამხრეთ იტალიაში დაბრუნებული მიგრანტების შემთხვევების კვლევა“ (1974). მან გამოყო დაბრუნების ოთხი ძირითადი ტიპი, რომელთა გამოც ხშირად უწევთ ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნება. ეს არის:

1. „დაბრუნება წარუმატებლობის გამო“, რომელიც გულისხმობს იმას, რომ მიგრანტი ქალები საზოგადოებაში ვერ ინტეგრირდნენ. ისინი ვერ ადაპტირდნენ უცხო გარემოში, რადგან უცხო საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმები, ტრადიციები, წეს-ჩვეულებების და ცხოვრების სტილი მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამას თან ერთვოდა ოჯახისა და სამშობლოს მონატრება.
2. „დაბრუნება განხორციელებული მიზნების გამო“- წასვლამდე დასახული მიზნების განხორციელება, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც.
3. „დაბრუნება ხანდაზმულობის გამო“- დაბრუნების გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ემიგრანტთა ასაკმა. ქალებმა, რომლებმაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს და აღარ შესწევდათ

მუშაობის ძალა, გადაწყვიტეს სამშობლოში დაბრუნება და ხანდაზმულობის წლების მშვიდად გატარება.

4. „ინოვაციური მიზნით“, რომელიც გულისხმობს სამშობლოში დაბრუნებას იმ მიზნით, რომ ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში გამოიმუშავებელი უნარ-ჩვევები და ფულადი დანაზოგი გამოიყენონ შრომის ბაზარზე წარმატებული ეკონომიკური რეინტეგრაციისთვის.

სამშობლოში დაბრუნებული ქართველი ემიგრანტი ქალების რეინტეგრაცია ქართულ შრომის ბაზარზე კიდევ მეტად რთულდება გენდერული დისკრიმინაციის არსებობის გამო. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით: „გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში“, ქალისა და მამაკაცის ანაზღაურება განსხვავებულია. ასევე განსხვავდება ის სფეროებიც, რომლებშიც არიან დასაქმებულნი, მაგალითად: ქალები ხშირ შემთხვევაში დასაქმებულები არიან ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. ხოლო, კაცები-მშენებლობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები და ა.შ. შესაბამისად, მათი ანაზღაურება შედარებით მაღალია. (CSS, 2014)

ქალები ხშირად ვერ აცნობიერებენ მათ ჩაგრულ მდგომარეობას. სწორედ გენდერული როლების გაძლიერებაზე და ამ გაუცნობიერებლობაზე საუბრობენ ერის ჰოფმანი და სინტია ბაკლი კვლევაში „გლობალური ცვლილებები და გენდერიზებული პასუხები: მიგრაციის ფემინიზაცია საქართველოში“. ამ კვლევიდან ირკვევა, რომ ქალები თავად აგებენ ისეთ ნარატივს, რომ მათი ემიგრაციაში წასვლა ახსნან, როგორც თავგანწირვა, ოჯახის გამო. ეს კი, როგორც ჩანს, ხელს უწყობს ტრადიციული გენდერული როლების გაძლიერებას (Hoffman & Bakley, 2013)

კვლევის მეთოდოლოგია

საკითხის სპეციფიკურობიდან და მიზნიდან გამომდინარე, რომელიც დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ქართული შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესის შესწავლას გულისხმობს, სიღრმისეული შესწავლისთვის შეირჩა თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ. ამ შემთხვევაში თვისებრივი კვლევა, რომელიც მეტწილად რესპონდენტთა გამოცდილებაზეა ორიენტირებული, ასევე, იძლევა დაბრუნებული ემიგრანტი ქალების ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მათი ქცევის შესწავლის საშუალებას. თვისებრივი კვლევის ობიექტი არის ვიწრო, ამ შემთხვევაში დაბრუნებული ემიგრანტები, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური დამოკიდებულება და გამოცდილება საკვლევი თემის ირგვლივ. შედეგად ამ მეთოდის გამოყენება ყველაზე ოპტიმალურია ინფორმაციის მისაღებად, თემის გასაანალიზებლად, საკვლევადა და საბოლოო დასკვნების გამოსატანად.

შერჩევა

რესპონდენტები შეირჩა რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

1. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მხოლოდ ქალებს.

2. ემიგრაციის ქვეყნები: იტალია, საბერძნეთი, ესპანეთი.
3. ემიგრაციის პერიოდი მინიმუმ 1 წელი. რესპონდენტს ჰქონოდა საკმარისი შეხედულება ემიგრაციაზე, რათა შეძლებოდა საუბარი მიღებულ გამოცდილებაზე და ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ რეინტეგრაციის მოქმედ ფაქტორებზე.
4. კვლევაში მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ „სეზონურ ემიგრანტებს“, ანუ მათ ვინც დროებით ტოვებდა სამშობლს და მუშაობდა სეზონურად, შემდეგ კი ბრუნდებოდა უკან.

კვლევაში მონაწილეობდა 15 რესპონდენტი. ხუთი არის საბერძნეთიდან დაბრუნებული, შვიდი იტალიიდან, სამი ესპანეთიდან. 8 მათგანი შეირჩა თოვლის გუნდის მეთოდით. კერძოდ, 8 რესპონდენტს დავუკავშირდით ერთ-ერთი ემიგრანტის დახმარებით, რომელიც იმყოფება ემიგრაციაში და აქვს უერთიერთობა დაბრუნებულ ქალბატონებთან, ხოლო დანარჩენი 7 რესპონდენტის შერჩევაში დაგვეხმარნენ ის ქალები, რომლებთანაც ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ. შერჩევის ამ მეთოდის გამოყენების მიზეზია ზუსტი მონაცემების არ არსებობა დაბრუნებული ემიგრანტების შესახებ, იქიდან გამომდინარე, რომ უმეტესობა მათგანი არალეგალურად იმყოფებოდა სამხრეთ ევროპის ქვეყნებში.

სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მივიღე დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ემიგრაციაში ყოფნის გამოცდილების, ისე შრომის რეინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, რომლებიც აწუხებდათ ქვეყანაში დაბრუნებულ ემიგრანტ ქალებს.

კვლევის შედეგები

რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები

კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ასაკი მერყეობს 25-დან, 65 წლამდე. 15 რესპონდენტიდან ყველას ჰყავს შვილი/შვილები. 9 ქალი არის დაოჯახებული, 4 განქორწინებული და 2-ქვრივი. უმაღლესი განათლება მიღებული აქვს-9 რესპონდენტს, ზოგადი სასკოლო განათლება-6 რესპონდენტს. მათი ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობაა 2-დან 17-წლამდე. ევროპის ქვეყნებში მათი საშუალო ანაზღაურება იყო 900-1400 ევრო. ხოლო საქართველოში დაბრუნების პერიოდი მერყეობს 6 თვიდან 5 წლამდე. 5 რესპონდენტი კვლევის პროცესში ცხოვრობდა ყვარელში, 8 თბილისში, 2- ქუთაისში.

სამშობლოში დაბრუნების მიზეზების გავლენა რეინტეგრაციის პროცესზე

ხშირად დაბრუნების მიზეზებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს წარმატებულ თუ წარუმატებელ რეინტეგრაციის პროცესზე. ის ემიგრანტები, რომელთა დაბრუნება არ არის მოულოდნელი და წინასწარ დაგეგმილია, რეინტეგრაციას მარტივად ახერხებენ. ისინი კი, ვინც დაუგეგმავად ბრუნდებიან, მათი რეინტეგრაციის პროცესი ხშირ შემთხვევაში წარუმატებელია. დაბრუნების

მიზეზების გამოსავლენად გამოვიყენეთ ფრანჩესკო კერასის დაბრუნების ოთხი ტიპი, თუმცა ქართულ რეალობაში გამოიკვეთა მეხუთე ტიპიც, რომელიც გულისხმობს დაბრუნებას გაუთვალისწინებელი შემთხვევების გამო მაგალითად: ოჯახის წევრების ავადმყოფობა ან გარდაცვალება, ემიგრანტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება.

რესპონდენტთა დასახელებული დაბრუნების მიზეზები ემთხვევა კერასის ოთხ ტიპს. როგორც ჩანს, ბევრი ადამიანი ვერ ადაპტირდება უცხო გარემოსთან, ვერ ეგუება კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ცხოვრების სტილსა და ქცევის ნორმებს, შედეგად კი სრულყოფილად ვერ ინტეგრირდებიან და უწევთ უკან, სამშობლოში დაბრუნება. 15 რესპონდენტიდან ამ მიზეზის გამო სამშობლოში დაბრუნდა 3 რესპონდენტი. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ისიც, რომ რესპონდენტები ძირითადად კამილერის მიერ გამოყოფილი იდენტობის მთლიანობის შენარჩუნების სტატეგიებიდან ირჩევენ ონტოლოგიურ სტრატეგიას და საკუთარი კულტურის ერთგულები რჩებიან, რაც ხელს უშლით ახალი კულტურის მიმღებლობაში.

„თავიდან ძალიან გამიჭირდა უცხო ოჯახში ცხოვრება, არც ენა არ ვიცოდი კარგად და მიჭირდა მათთან კომუნიკაცია, თავს უფრო მარტო ვგრძნობდი, სულ ჩემები მენატრებოდნენ და ვნერვიულობდი ბავშვებზე, რომლებსაც ჩემი გვერდში დგომა ახლა სჭირდებოდათ, ამიტომაც ვეღარ გავუძელი ამ მონატრებას, ვერ შევეგუე იქაურ გარემოს და უკან დავბრუნდი“. (რესპონდენტი N2)

როგორც ჩანს, ემიგრაციაში წასვლა არ არის ნებაყოფლობითი, ეს უფრო იძულებაა არა ოჯახის წევრების მხირდან, არამედ ოჯახში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. როგორც რესპონდენტების საუბრუდან იკვეთება, ყველა წასულ ქალს შვილების მიმართ დანაშაულის გრძნობა მუდმივად აწუხებდათ და აწუხებთ. შედეგად ზოგი ეგუება თავის ბედს და ცხოვრობს ემიგრაციაში, ზოგიც კი ბრუნდება და აგრძელებს ცხოვრებას სიღარიბესა და გაჭირვებაში, მაგრამ შვილების გვერდით.

მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლის გამოც ბრუნდებიან ემიგრანტები ეს არის განხორციელებული მიზნები. ამ მიზეზით დაბრუნდა რესპონდენტებიდან 3 ქალი, რომლებიც ახლა დასაქმებულები არიან. მათ ემიგრაციაში ყოფნის დროს წასვლამდე დასახულ მიზნებს ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს და შემდეგ გადაწყვიტეს დაბრუნება. ძირითადად ეს ის ქალები არიან, რომელთა ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა აღემატება 10 წელს. ამგვარი დაბრუნება არის დაგეგმილი და რეინტეგრაციის პროცესიც შემდეგ ნაკლები სირთულეების გარეშე მიმდინარეობს, რადგან აქვთ წინასწარ შენახული საკმარისი თანხა, რომელიც უნდა გამოიყენონ ამ პროცესისთვის.

„ემიგრაციაში წასვლისას მიზნად მქონდა შვილებისთვის ბინის ყიდვა, რათა ჰქონოდათ საკუთარი ჭერი და მუდმივად არ ეხადათ ქირის ფული. ამ მიზნის მისაღწევად 6 წელი დაულაღვად ვმუშაობდი, დავფარე ვალები, გავაკეთე დანაზოგი და შემდეგ გადავწყვიტე სამშობლოში დაბრუნება, ძალიან მინდოდა შვილებთან გამეტარებინა დარჩენილი დრო“. (რესპონდენტი N3)

რესპონდენტებიდან ორმა ქალმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ესპანეთში, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა ინოვაციური მიზეზით, ანუ ემიგრაციაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება დაეხმარებოდა მას საკუთარ ქვეყანაში, ახლობლების გვერდით, შესაფერისი სამსახურის პოვნაში. ამისათვის მათ ჰქონდათ წინასწარ გამოყოფილი დანაზოგი. შედეგად ორივე მათგანი დასაქმებულია. ერთი საბავშვო ბაღში მასწავლებლად, მეორე კი- ძიძად.

კიდევ ერთი დაბრუნების მიზეზი ეს არის ასაკის გამო. ქალებს, რომლებიც 60 წელს გადასცდნენ ჰქონდათ სამშობლოში დაბრუნების სურვილი, რადგან იქ დარჩენისთვის და მუშაობისთვის არც ძალა შესწევდათ და არც სურვილი. ყველაზე მეტი ქალი ამ მიზეზით ბრუნდება სამშობლოში. მათი ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა 12-დან 17-წლამდეა.

„როცა საქართველოდან წამოვედი ჩემი შვილები არც თუ ისე დიდები იყვნენ, მე 45 წლის ვიყავი, ახლა კი 61 წლის ვარ. ჩამოვედი და ყველაფერი შეცვლილი დამხვდა. ჩემმა შვილებმა ოჯახი შექმნეს, ჰყავთ შვილები და მე კი ისინი ერთხელაც არ მყავდნენ ნანახი. მათთან დროის გატარება ჩემს ასაკში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, მათი სიტბო და მზრუნველობა მჭირდებოდა, არც მუშაობის თავი მქონდა, სწორედ ამან გადამაწყვეტინა ჩამოვსულიყავი სამშობლოში“.
(რესპონდენტი N4).

კვლევაში გამოჩნდა მეხუთე მიზეზიც, რომელიც დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ მოვლენებთან: ახლობლის, ოჯახის წევრის გარდაცვალება ან პირადი ჯანმრთელობის გაუარესება. ამ დროს ემიგრანტები ფორსმაჟორულ პირობებში ბრუნდებიან და არ აქვთ არც დანაზოგი, რაც ეკონომიკური რეინტეგრაციის პროცესში ნეგატიურად აისახება. ამ მიზეზით რესპონდენტებიდან დაბრუნდა ორი ქალი. ერთი მათგანი მეუღლის გარდაცვალების გამო, ხოლო მეორე კი პირადი ჯანმრთელობის გაუარესების გამო. ამგვარმა დაბრუნებამ ის შედეგი მოიტანა, რომ ორივეს გაუჭირდათ საკუთარ ქვეყანაში, ოჯახში ადაპტირება და შესაბამისი სამსახურის პოვნაც, რის შედეგადაც დღემდე უმუშევრები არიან და მხოლოდ პენსიით თუ მათი ოჯახის წევრების ხარჯზე უწყვეტ ცხოვრება.

შედეგად, დაბრუნების მიზეზების მოტივები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეინტეგრაციის ხარისხს. დაგეგმილი დაბრუნება, წინასწარი დანაზოგების არსებობა დადებითად აისახება რეინტეგრაციის პროცესზე და რესპონდენტებიდანაც ამ მიზეზით დაბრუნებული ქალები დასაქმებულები არიან. თუმცა დაუგეგმავი დაბრუნება აისახება ნეგატიურად, რაც გამოიხატება იმით, რომ ქალები ვერ ახერხებენ დასაქმებას. ამ მიზეზებთან ერთად რეინტეგრაციის დროს მნიშვნელოვანია ემიგრაციაში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებაც. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ქალები ევროპის ქვეყნებში განსხვავებულ სამუშაო გამოცდილებას არ იღებენ და ძირითადად ისევ ოჯახის საქმეებით არიან დაკავებულები, რაც საქართველოში მათი ყოველდღიური საქმიანობაა, ისინი ეკონომიკურად დამოუკიდებლები ხდებიან და ეს სექმიანობა საკმაოდ ანაზღაურებადი ხდება. როდესაც თავად განაგებენ საკუთარ შემოსავალს, სწავლობენ

საკუთარი შრომის ფასს, ქართულ შრომის ბაზარზე მათი მოთხოვნებიც უფრო იზრდება და ხშირ შემთხვევაში მათთვის რეინტეგრაციის პროცესი მეტად წარმატებულია.

ქართული შრომის ბაზრის ძირითადი მახასიათებლები

შრომის ბაზრის მთავარი მიზანია მოსახლეობის სრულფასოვანი დასაქმება. თუმცა ქართული შრომის ბაზრის მახასიათებლები სრულფასოვანი დასაქმების საშუალებას არ იძლევა. სწორედ ამიტომ რეინტეგრაციის პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ დგას ქართულ შრომის ბაზარზე. ანაზღაურება არის საკმაოდ დაბალი და ამ ყველაფერს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული პრობლემები უფრო ამწვავენ. შრომის ბაზარზე დომინირებულია კონკრეტული სფეროები, რომლებიც კავშირშია ემიგრანტი ქალების განათლებასა და პროფესიასთან. ბოლო წლების განმავლობაში, როგორც აღმოჩნდა ქართული შრომის ბაზრის შესწავლისას, ძირითადი მოთხოვნა ტექნიკური ცოდნის მქონე მუშახელზეა, მაგრამ რესპონდენტ ქალებს უფრო ჰუმანიტარული კუთხით აქვთ განათლება მიღებული. შესაბამისად, ეს უფრო ართულებს დაბრუნებული ქალების დასაქმებას თავიანთი განათლებისა და შესაძლებლობების მიხედვით.

„შრომის ბაზარი უარესობისკენ არის შეცვლილი, ან თავიდანვე ასე იყო. ვითომ კეთდება რაღაც, გვაძლევენ იმედს, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ჩვენი საშველი არ არის. ახლა ბინის გაქირავება მიწევს, რომ შემოსავალი მქონდეს თავად კი სოფელში უნდა გადავიდე. არ არის სამუშაო ჩვენი ასაკის ხალხისთვის, ამ მხრივ, ალბათ უფრო ახალგაზრდებს აქვთ მეტი შანსი“ (რესპონდენტი N1)

დღემდე შრომის ბაზარზე მნიშვნელოვან გამოწვევად ნეპოტიზმი რჩება. საქართველოში სამსახური ხშირ შემთხვევაში იშოვება არა სამართლიანი შერჩევის, არამედ პირადი კავშირების შედეგად. ნეპოტიზმის გამო საჯარო სამსახურებში ხვდებიან საქმის არმცოდნე, არაკვალიფიციური ადამიანები, რომლებიც შემდეგ აზიანებენ მთელ უწყებას, სახელმწიფო თუ კერძო სექტორის გამართულად მუშაობა გავლენას ახდენს ყველა მოქალაქეზე. რეინტეგრაციის დროსაც ნეპოტიზმი პროცესის მიღმა არ რჩება. ინტერვიუებიდან გამოჩნდა, რომ ორმა რესპონდენტმა სწორედ ახლობლის დახმარებით შეძლო დასაქმება და მის შემთხვევაში ნეპოტიზმი პოზიტიური მოვლენაა. მაგრამ სხვა შემთხვევაში ნეპოტიზმი გახდა ბარიერი და ხელის შემშლელი ფაქტორი სამსახურის დასაწყებად.

გენდერული დისკრიმინაცია არის კიდევ ერის ხელის შემშლელი ფაქტორი. რესპონდენტები საუბრობენ დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციაზე როგორც ასაკის გამო, ისე გენდერული ნიშნით. დამსაქმებლები მათ უსვამენ ისეთ კითხვებს როგორცაა: სამომავლო გეგმების შესახებ, როდის აპირებენ დაოჯახებას, შვილის ყოლას, თუ ჰყავთ შვილები-რა ასაკის, როგორია მათი ოჯახური სტატუსი და ა.შ. როცა ქალი დაოჯახებულია და ამას იგებდა დამსაქმებელი, მიუხედავად მათი სამსახურისთვის შესაბამისი გამოცდილებისა, ის რესპონდენტები დამსაქმებელს სამსახურში აღარ აუყვანია. შესაბამისად, ამგვარი მიდგომები ქალებს ზღუდავს, რის შედეგად უარს ამბობენ საჯარო სივრცეში დასაქმებაზე.

რამდენიმე რესპონდენტის საუბრიდან გამოიკვეთა ის ფაქტიც, როცა ზოგიერთი მათგანი ვერ იაზრებს ჩაგვრას გენდერული ნიშნით, რასაც განიცდიან დამსაქმებლის მხრიდან რეინტეგრაციის პროცესში. ისინი არ ასახელებენ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას ხელისშემშლელ ფაქტორად. მთავარ პრიორიტეტად ჯერ ოჯახს მიიჩნევენ, რადგან მისი ქალური მოვალეობა ოჯახის საქმეების კეთება, შემდეგ კი სამსახურებრივ მოვალეობას. ამგვარი გაუზრებლობის შედეგია სწორედ მათი წარუმატებელი რეინტეგრაცია. რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ განიცდიან სიამაყეს, რადგან ოჯახის გამო თავი გასწირეს და იშრომეს. კაცებს არა თუ ბრალს სდებენ მათი ნაკლები შრომისუნარიანობის გამო, არამედ მათ მიმართ უჩნდებათ შეცოდების გრძნობა, იმის გამო, რომ ქალის მზრუნველობის გარეშე უწყევდათ ცხოვრება. ეს კი ეხმიანება ჰოფმანისა და ბაკლის კვლევას, რომლებიც სწორედ ჩაგრული მდგომარეობის გაუზრებლობასა და იმ ნარატივზე საუბრობდნენ, რომელსაც ემიგრანტი ქალები ქმნიდნენ ემიგრაციის წლების გასამართლებლად, როგორც თავგანწირვას ოჯახის კეთილდღეობისთვის.

„მე პირადად ამაყი ვიყავი კიდევ ჩემი თავით, რომ ვიცოდი ჩემი შრომით ოჯახი კარგად ცხოვრობდა და არაფერი ეკლდათ, მათი კეთილდღეობისთვის ყველაფერს ვაკეთებდი“ (რესპონდენტი N2)

სახელმწიფოს როლი რეინტეგრაციის პროცესში

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკა და მისი მხარდაჭერა რეინტეგრაციის პროცესში. ამ მხრივ, საქართველოში 2010 წლიდან ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები (Tig, More for More), რომელთა მიზანი დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის ხელშეწყობაა. „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამით გათვალისწინებულია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის შემდეგი სერვისების მიწოდება: სამედიცინო მომსახურება, სოციალური პროექტების დაფინანსება, პროფესიული განათლების ხელშეწყობა და საცხოვრისით დროებით უზრუნველყოფა.

2015 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო ფინანსები (400 ათასი ლარი). ამავე წლის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებდა დაბრუნებულ მიგრანტთა დახმარებას შემდეგი მიმართულებებით:

- სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტების დაფინანსება;
- პროფესიული სწავლების დაფინანსება;
- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;
- ანაზღაურებადი სტაჟირება;
- შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება;
- იურიდიული დახმარება;

დღემდე მიმდინარეობს ამ პროგრამების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ რეალურად როგორც რესპონდენტების საუბრიდან ირკვევა, პროგრამების შესახებ საინფორმაციო კამპანია ძალიან სუსტია, ქვეყანაში დაბრუნებულთა უმრავლესობას მასზე ინფორმაცია არ აქვს.

სახელმწიფოს ამ როლის გამო, მნიშვნელოვანი იყო თავად რესპონდენტების აზრი მსგავსი პროგრამების მიმართ. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ემიგრანტთა იმ ნაწილს, რომელთაც არ აქვთ ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული დახმარება, ფაქტობრივად არ ჰქონდათ ინფორმაცია მსგავსი პროგრამის არსებობაზე. 15 რესპონდენტიდან ასეთი იყო 9, ხოლო დანარჩენი 3 რესპონდენტი, რომლებმაც მიიღეს დახმარება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ინფორმაციის ძირითად წყაროდ არა სახელმწიფოს ასახელებენ, არამედ ახლობლებსა და მეგობრებს. კითხვაზე, იციან თუ არა სახელმწიფოს მხარდაჭერი პროგრამების შესახებ და თუ უსარგებლიათ, პასუხები ასეთია:

„არა, არ მსმენია, ვიცი, რომ ემიგრაციის საკითხი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, თუმცა ამ მხრივ თუ სპეციალური პროგრამები იყო არ ვიცოდი“ (რესპონდენტი N9)

„გამიგია, კი, თუმცა არ მიმიმართავს, რადგან არ მქონია დახმარების იმედი, სად აქვს ამ მთავრობას იმის შესაძლებლობა, რომ ნორმალურად უზრუნველყოს დაბრუნებული ემიგრანტების დასაქმების ამბავი“. (რესპონდენტი N10)

კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო კმაყოფილების დონის შეფასება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის პოლიტიკის მიმართ. რესპონდენტები ამ მხრივ სახელმწიფო პროგრამის ნაკლებად ეფექტურობაზე საუბრობენ. მათი თქმით დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აწარმოონ ისეთი ბიზნესი, რომელიც მათ მაღალ შემოსავალს მოუტანდათ. მათი წარუმატებელი ბიზნესის დაბალი მოგების მიზეზად, ისევ და ისევ, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა სახელდება. ერთ-ერთმა რესპონდენტმა, რომელმაც მიიღო სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება და გახსნა საკუთარი სამკერვალო მაღაზია, ამბობს, რომ კლიენტი ცოტაა და საქონელს ვერ ყიდის, რადგან ამისთვის ხალხს საკმარისი თანხა არ აქვს, შესაბამისად უწევს დაბალ ფასებში გაყიდვა, რომ მინიმალური მოგება მაინც მიიღოს და არ მოუწიოს მაღაზიის დაკეტვა.

„იმდენად მცირეა ეს დაფინანსებები, გვიჭირს უცბად მოვიფიქროთ რისი გაკეთება შეიძლება ასეთი მცირე თანხით, რომ შემდეგ ამ საქმისგან მოგება მივიღოთ“ (რესპონდენტი N11)

„დავიწყე საქმე, მაგრამ თვეში 100 ლარამდე თუ დამრჩება, ქირაში ვიხდი ფულს, ამის გამო მეტი არ მრჩება, ემიგრაციაში წასვლის მიზეზიც სწორედ ბინის ყიდვა იყო, მაგრამ ჯანმრთელობის გამო ვერ შევძელი დიდხანს იქ ყოფნა“ (რესპონდენტი N12)

თუმცა ამ სამი რესპონდენტიდან, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფოს პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა, ორი მაინც მეტ-ნაკლებად კმაყოფილია ამ პროგრამით. ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ

მათთვის რეინტეგრაციის პროცესი რთული აღმოჩნდა, ვერ შეძლეს დასაქმება, მაგრამ პროგრამის ფარგლებში მიღებულმა, ფინანსურმა თუ ჯანდაცვის კუთხით დახმარებამ, გადააფიქრებინათ კვლავ ემიგრაციაში წასვლა.

„ვფიქრობდი წასვლაზე, მაგრამ ოჯახის დატოვება მიჭირდა. როცა გამოჩნდა ეს მცირედი დახმარებაც, ჩემ თავს ვეუბნებოდი, რომ ამ ცოტაზეც დავკმაყოფილებულიყავი, რადგან წამლების ფული მაინც მექნებოდა, მეტი თუ ვერა“. (რესპონდენტი N6)

ჩანს, რომ სახელმწიფო პროგრამებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ემიგრანტების გადაწყვეტილებაზე - დაბრუნდნენ უკან ემიგრაციაში, თუ მიიღონ ეს მცირედი დახმარება და დარჩნენ სამშობლოში. მათ, ვინც ვერ მოახერხეს რეინტეგრაცია, ემიგრაციაში დაბრუნების სურვილი და საჭიროება უფრო მეტად აქვთ. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მეტი საინფორმაციო კამპანია აწარმოოს მსგავსი სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შესახებ, რათა ყველა დაბრუნებული მიგრანტისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

დასკვნა

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტების ქართულ შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის პროცესი არ არის მარტივი და მასზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას. რეინტეგრაციასთან პირდაპირ კავშირშია ემიგრაციიდან დაბრუნების მიზეზები. ქალები, რომლებიც დაუგეგმავად ბრუნდებიან, სრულყოფილად ვერ ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე, ხოლო ისინი, ვინც დაგეგმილად ბრუნდებიან, მათი რეინტეგრაციის პროცესი უფრო წარმატებულია ქართულ შრომის ბაზარზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეინტეგრაციის პროცესზე გავლენას ახდენს სამხრეთ ევროპის ქვეყნებში მიღებული გამოცდილება და შეძენილი უნარ-ჩვევები. ქალებმა ემიგრაციაში ყოფნის დროს ისწავლეს საკუთარი შრომის ფასი, გახდნენ უფრო დამოუკიდებლები, შესაბამისად მათი მოთხოვნები და სტანდარტები გაიზარდა. ამიტომაც შრომასთან შეუსაბამო ანაზღაურება მათთვის მისაღები არ არის, მოითხოვენ შესაბამის ანაზღაურებასა და სამუშაო პირობებს.

გარდა დაბრუნების მიზეზებისა, ქართული შრომის ბაზრის სპეციფიკური მახასიათებლები უფრო აბრკოლებენ რეინტეგრაციის პროცესს. ბაზრის მახასიათებლები როგორცაა: კონკრეტული სფეროების დომინირება - დიდ გავლენას ახდენს ქალების შედარებით დაბალ ჩართულობაზე. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გამო კი მათი სქესი, ასაკი და ოჯახური მდგომარეობა შემადგერხებელი ფაქტორია, ხოლო ქართულ რეალობაში არსებული ნეპოტიზმი ისევ გადაუჭრელ გამოწვევად რჩება და დიდ როლს თამაშობს რეინტეგრაციის პროცესში.

შრომითი მიგრაციის ფემინიზაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის მიზეზი საზოგადოებაში არსებული გენდერული დისბალანსია. ქალების დასაქმება სტერეოტიპების გამო შედარებით რთულია, ვიდრე მამაკაცის, თავად რესპონდენტების საუბრიდანაც გამოიკვეთა, ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ქალსაც არ აქვს გააზრებული ჩაგვრა და პირიქით ემიგრაციაში ყოფნის

წლებს სიამაყით იხსენებს. აუცილებელია საზოგადოებაში გენდერული ბალანსის შესახებ ცნობიერების ამაღლება და დასაქმებისას სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების შემცირება. ოჯახი ქალისთვის რეინტეგრაციის პროცესში, დასაქმებასა თუ განვითარების დროს ხშირ შემთხვევაში ხელისშემშლელი ფაქტორია.

რეინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან შეუძლია რეინტეგრაციის პროცესის გამარტივება. როგორც ჩანს, სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია. ადამიანებს ინფორმაცია პროგრამების შესახებ ისევ საზოგადოებისგან აქვთ და არა სახელმწიფოსგან. ხოლო პროგრამის მიღმა დარჩენილ ემიგრანტებს არც ინფორმაცია აქვთ და არც ნდობა მსგავსი პროგრამების მიმართ. სწორედ ამიტომ აუცილებელია, პირველ რიგში, გაიზარდოს ინფორმირებულობა და შემდეგ ნდობის ხარისხი პროგრამის მიმართ. ნათელი გახდეს მიზანი და ის სფეროები, რომლებშიც სახელმწიფო დაეხმარება შრომით მიგრანტებს.

პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ გაცემული ფულადი დახმარება მცირე ბიზნესის ხელშეწყობისთვის ძალიან მცირეა, რაც ართულებს ბიზნესის გაფართოებასა და რეალიზებას. ამიტომ სახელმწიფომ არა მარტო დაფინანსება, არამედ შემდგომი მხარდაჭერაც უნდა უზრუნველყოს განვითარებისთვის. რესპონდენტების საუბრიდან ჩანს, რომ მათ ბიზნესის მართვის სფეროში აქამდე არ ჰქონიათ გამოცდილება, შესაბამისად, საჭიროა შემდგომში მათი დახმარება ტრენინგების სახით, რათა მიიღონ სწორი რჩევები და შესაბამისი ბაზისური ცოდნა.

საბოლოოდ, ემიგრანტების რეინტეგრაცია ქართულ შრომის ბაზარზე დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ეს არის ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო დაბრუნებულმა შრომითმა მიგრანტმა, არამედ სახელმწიფომ, საზოგადოებამ, კერძო სექტორმა, იმ მიზნით, რომ სამშობლოში დაბრუნებულმა მიგრანტებმა შეძლონ სრულფასოვნად ცხოვრება. კვლავ არ გახდნენ იძულებულნი წავიდნენ ემიგრაციაში, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება.

ბიბლიოგრაფია

ბენდელიანი, ნ., ტურკი, პ., ამაშუკელი, მ., & ხეჩუაშვილი, ლ. (2014). გენდერული დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე საქართველოში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. (2016). საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება. საგრანტო პროგრამა N001-2016. თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2022). დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში: ყოველწლიური ანგარიში 2022.

Cerese, F. P. (1974). Expectations and Reality: A Case Study of Return Migration from the United States to Southern Italy..

Hofmann, E.T. & Buckley, C.J (2013). Global Changes and Gendered Responses: The Feminization of Migration From Georgia

LaFont, S. (2001). One step forward, two steps back: women in the post-communist states. Communist and PostCommunist Studies, 34, 203–220

Mestvirishvili, M., Zurabishvili, T., & Zurabishvili, T. (2015). Georgian Women Migrants: Experiences Abroad and at Home.

OECD/CRRC-Georgia (2017), Interrelations between Public Policies, Migration and Development in Georgia, OECD Development Pathways, OECD Publishing, Paris

Piper, N. (2003). Bridging Gender, Migration and Governance: Theoretical Possibilities in the Asian Context. Asian and Pacific migration journal, 12(1-2).

Tukhashvili, M. (2013) Socio-economic problems of returning migrants' reintegration in Georgia, CARIM-East RR 2013/15, Robert Schuman Centre for Advanced Studies, San Domenico di Fiesole (FI): European University Institute.

Vanore, M., & Siegel, M. (2015, May 21). The evolution of gendered migration trajectories from Moldova & Georgia.



აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული საფრთხეები

მარია ბრეგვაძე

ნინო ნაკოფია

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nino.nakopia767@sps.tsu.edu.ge

E-mail: maria.bregvadze016@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

1992-1993 წლებში ქართულ-აფხაზური დაპირისპირება ომში გადაიზარდა. ომის შედეგად ათასობით ადამიანი გახდა იძულებული დაეტოვებინა მშობლიური კუთხე და მიეღო დევნილის სტატუსი.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა ათასობით დევნილი, რომელთა საჭიროებები კვლავაც დაუკმაყოფილებელია. საყურადღებოა ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ეთნიკურად ქართველების მდგომარეობა, არსებობს საფრთხე რომ დე ფაქტო მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად ისინი დაკარგავენ ქართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის განცდას.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა გალში ცხოვრობს. რეალობა მძიმეა - აფხაზეთში სრულად აკრძალულია ქართულ ენაზე სწავლება, გალელები შორდებიან ქართულ ენას, კულტურას. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ცდილობს მათში ქართული ეთნიკური იდენტობის მარკერების გაქრობას, ამ რეალობის ფონზე დგება გაუცხოების საშიშროება.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული საფრთხეების შესწავლა. ინტერვიუები ჩატარდა როგორც დარგის ექსპერტებთან, ასევე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხე არსებობს. ოკუპანტები აქტიურად ცდილობენ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ცნობიერების სათავისოდ შეცვლას, რაც გულისხმობს: რუსული პროპაგანდის გავრცელებას, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების შეზღუდვას, მძიმე უფლებრივი მდგომარეობის შექმნას, რაც გამოიხატება პოლიტიკური, ეკონომიკური, სამოქალაქო უფლებების შეზღუდვით. აქედან გამომდინარე ჩნდება საფრთხე, რომ რეგიონი, განსაკუთრებით კი ქალაქი გალი, დაიწყება ქართველი მოსახლეობისგან ან მოსახლეობა სტრუქტურული ძალადობის შედეგად შეეგუება არსებულ წყობას და დაშორდება ქართულ გარემოს. კვლევის მონაწილე რესპონდენტებისთვის პრობლემის მოგვარების მთავარი გზა კონფლიქტის მხარეებს შორის პასუხისმგებლობის გაზიარება და მშვიდობიანი მოლაპარაკებების აქტიურ რეჟიმში დაწყებაა.

საკვანძო სიტყვები: ოკუპაცია; დევნილი; დე ფაქტო მთავრობა; პროპაგანდა; კულტურა; იდენტობა.

შესავალი

მე-20 საუკუნის ბოლოს განსაკუთრებით დაიძაბა ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. ამ დაძაბულობამ მიიღო ეთნიკური სახე, რამაც ხელი შეუწყო საომარი მოქმედებების დაწყებას. აფხაზეთის ომმა რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს 30 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა, 300 000-მდე ადამიანს კი დევნილის სტატუსი მიენიჭა. (კოკაია & ჭუმბურიძე, 2022)

ომის დასრულების შემდეგ, აფხაზეთმა თავი დამოუკიდებელ ქვეყნად გამოაცხადა. საქართველო დღემდე არ აღიარებს ამ გადაწყვეტილებას და აღნიშნულ ფაქტს ოკუპაციად მიიჩნევს.

აფხაზების ცნობიერებაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ აფხაზეთი მხოლოდ მათ ეკუთვნით, ცდილობენ სისრულეში მოიყვანონ ეთნიკური ჰომოგენიზაციის პროცესი. თუმცა ამ კუთხით ეჭახებიან ბარიერს, რომელიც აფხაზეთში გაღვლეების ფიზიკურ არსებობას უკავშირდება. (თორია, 2022) დღევანდელი მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძირითადად გალში, ბევრი ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს. აფხაზებს არ აქვთ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გალში მცხოვრები ქართველების მიმართ, შესაბამისად ახორციელებენ აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს: მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვას, ხარისხიანი განათლების მისაღებად წვდომის შეზღუდვას. ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს პროპაგანდის გავრცელება, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია და ქართულ იდენტობაზე შეტევა. (ჩიჩუა, 2018) ამის გათვალისწინებით, არსებობს საფუძვლიანი საფრთხე, რომ აფხაზეთში დაიკარგება ქართული ეთნიკური იდენტობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ენა იდენტობის განსაზღვრის პროცესში ძალიან დიდ როლს ასრულებს. აქედან გამომდინარე, აფხაზეთში ქართული ენის გაქრობის მცდელობა არის სახიფათო ქმედება, რომელიც ნეგატიურ გავლენას მოახდენს მომავალი თაობის ცნობიერებაზე.

გალში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები აწყდებიან უამრავ პრობლემას, იმყოფებიან დილემის წინაშე - დარჩნენ თუ დატოვონ თავიანთი მშობლიური მიწა. ეს დიდ წილად განპირობებულია იმით, რომ არ არსებობს ობიექტური სასამართლო სისტემა, რომელიც გალში მცხოვრები ქართველების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას შეძლებს. აღსანიშნავია, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებობს ორმხრივი უნდობლობა. (Human Rights Watch, 2011)

2014 წლიდან აფხაზეთმა დაიწყო აქტიური შეტევა ქართულ იდენტობაზე, რაც გულისხმობდა განათლების სისტემიდან ქართული ენის ამოძირკვას. საწყის ეტაპზე, მათ დაიწყეს ქართული ენისა და ლიტერატურისთვის განკუთვნილი საათების შემცირება. 2015 წელს კი, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ სწავლება სრულად გადაიყვანა რუსულ ენაზე. ეს ფაქტი მეტყველებს დე ფაქტო მთავრობის აგრესიულ პოლიტიკაზე, რომელიც ემსახურება გალში მცხოვრები ქართველების ეთნიკური იდენტობის შეცვლას. გატარებული პოლიტიკის შედეგად, იცვლება განათლების ხარისხი, რომელიც სამომავლოდ გავლენას იქონიებს ახალგაზრდების განათლების დონეზე, რაც შეაფერხებს მათ აკადემიურ განვითარებას. (ზურაბაშვილი, 2016)

ასევე საყურადღებოა რუსეთის მიერ გავრცელებული პროპაგანდა აფხაზეთში. აფხაზები თავს მიიჩნევენ დამოუკიდებელ ქვეყნად, თუმცა მათ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რუსეთი. ოკუპანტი ქვეყანა ცდილობს რეალობისგან განსხვავებული, არაობიექტური, დამახინჯებული მოცემულობის შექმნას, მოვლენების ინტერპრეტაციას. (Cichocka, 2021)

გემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს პრობლემის სიმძაფრესა და აქტუალობას - აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხეებთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანი: აღნიშნული კვლევის მიზანია, აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული საფრთხეების შესწავლა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა შემდეგი ამოცანები:

1. ისტორიული კონტექსტის მიმოხილვა (გამოკვლევულ იქნეს, თუ როგორ შეცვალა რუსულმა პროპაგანდამ აფხაზეთში მცხოვრები ადამიანების ქართულ კულტურასთან მიკუთვნებულობის განცდა);
2. გამოკვლევულ იქნეს, აფხაზეთში ქართული ენის დაკარგვასთან დაკავშირებული საფრთხეები - ენა, როგორც კულტურის განმსაზღვრელი და ინდიკატორი;
3. შესწავლილ იქნეს, აფხაზეთის განათლების სისტემაში არსებული კოლაფსი, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ცნობიერებაზე;
4. გამოკვლევულ იქნეს, როგორ მიმდინარეობს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ემოციური კავშირის წყვეტა ქართულ კულტურასთან;
5. გამოკვლევულ იქნეს, რამდენად საკმარისია საქართველოს მთავრობის ჩართულობა აფხაზეთში ქართული კულტურისა და ეთნიკური იდენტობის გადარჩენა-შენარჩუნების საკითხში;
6. შესწავლილ იქნეს, როგორია ექსპერტებისა და დევნილების მომავლის განწყობები და პროგნოზი, ქართული კულტურისა და ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხეებთან დაკავშირებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

1980-იან წლებში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები შესამჩნევად დაიძაბა. თუ მანამდე ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებას არ მიუღია ეთნიკური ხასიათი, საბჭოთა კავშირის კრიზისის პერიოდში კონფლიქტმა ეთნიკური სახე მიიღო. აღსანიშნავია, რომ ეს დაძაბულობა 1992-93 წლებში ომში გადაიზარდა. აფხაზეთის დატოვება მოუხდა ქართული მოსახლეობის დიდ ნაწილს (დაახლოებით 245 ათასი). აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე იმყოფებიან რუსეთის საოკუპაციო ჯარები, რასაც საქართველო ოკუპაციად აღიარებს. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, 2021)

ომამდე გალის რაიონში 93.8% ქართველი ცხოვრობდა, არსებობდა 51 ქართული სკოლა. (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა) ამჟამადაც, ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა დასახლებულია გალში, სადაც 30 000-40 000 ათასამდე ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს. (შიში და გაურკვეველობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები გალში, 2019) მათი

ლეგალური უფლებები და სტატუსი მუდმივი განხილვისა და მანიპულაციის საგანია. (ოთხოზორია, 2022)

აფხაზეთი დღესდღეობით თეორმალურად ინარჩუნებს ავტონომიას, თუმცა რუსეთის გავლენების ქვეშ არის მოქცეული. რუსული პროპაგანდა საკმაოდ მძლავრად მუშაობს აფხაზეთში, რუსეთი აქტიურად ეწევა ანტიქართველურ პოლიტიკას. ისინი ოდითგანვე ამტკიცებდნენ, რომ ის მიწა მთლიანად აფხაზებისაა და ქართველები მათი კულტურის შთანთქმასა და გაქრობას აპირებდნენ. (ცაავა, 2015) თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კულტურის, აზრის, ცოდნის, ემოციების მაკონტროლებელი, გადანყვეტილების მიმღებია კრემლი, რომელიც ქმნის ანტიქართველურ და ანტიდასავლურ დისკურსებს აფხაზეთში.

„ენა არის ყოფიერების სახლი“. (მ.ჭაიდეგერი,1978) თუ ისტორიულ ფაქტებს გავისხენებთ, რუსეთის იმპერიალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი ქვეყნის დასამორჩილებლად იყო იდენტობის ისეთ განმსაზღვრელ ნაწილზე შეტევა, როგორცაა ენა. რუსული და აფხაზური მხარეები ქართული ენის შეზღუდვითა და აკრძალვით ცდილობენ ადგილობრივი ქართველების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კავშირების შესუსტებას, რაც დაეხმარებათ გაამყარონ პოზიციები და თავიანთი მმართველობა გალის რაიონში. (ზურაბაშვილი, 2016)

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან აფხაზურმა ადმინისტრაციამ გალის რაიონის თერთმეტივე სკოლის დანყებით კლასში რუსულ ენაზე გადაიყვანა სწავლება. ამ გადანყვეტილების მიხედვით, ყოველი მომდევნო კლასი სწავლას გააგრძელებს რუსულ ენაზე, ამ პრინციპით კი აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო ქართულენოვანმა გამოშვებამ სკოლა გასულ წელს დაამთავრა. დოკუმენტში აღინიშნა: „ქართული ენის, როგორც გალის მოსახლეობის მშობლიური ენის და ეთნიკური ქართველების იდენტობის უმნიშვნელოვანესი ელემენტის შეზღუდვა, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია.“ აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გატარებული სასტიკი პოლიტიკის შედეგად ვერ ფლობს ენას, ვერ იღებს ხარისხიან განათლებას, აწყდებიან უამრავ დეზინფორმაციას. ის ახალგაზრდები, რომლებიც ოკუპირებულ გალის რაიონში ცხოვრობენ, „იკარგებიან“, აქედან გამომდინარე, ირღვევა მათი თვითიდენტიფიკაციის პროცესი ქართულ კულტურასთან. (ზურაბაშვილი, 2016)

ენას აქვს მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია, რომელიც ხელს უწყობს ჯგუფში იდენტობისა და სოლიდარობის განცდების შექმნას, ეს არის საშუალება, რომლითაც კულტურის და მისი ტრადიციების, ღირებულებების, ნორმების შენარჩუნება და გადაცემა ხდება. ისტორიის მანძილზე, მრავალ საზოგადოებაში ეთნიკურად მცირე ჯგუფების ენობრივი სისტემების აღკვეთა იყო იმ მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა ამ კულტურების დასათრგუნად და გასაქრობად. (The importance of culture, language and identity) ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც ევროპის მასშტაბით მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ენისა და ეთნიკური იდენტობის დაკარგვის რისკებს ეხება, აღნიშნულია, რომ იმ პირობებში, როცა სახელმწიფოში კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს აქვს ჰეგემონია, უმცირესობათა ჯგუფები იძულებულნი არიან, ზეწოლით ან უკეთესი პირობებისა და შესაძლებლობების გამო, დაივიწყონ თავიანთი ენა. (Schmidt, 2008)

აღნიშნულ საკითხზე საუბრისას საინტერესოა უცხოური გამოცდილებაც. ისტორიულად, განათლება გამოიყენებოდა, როგორც კოლონიზაციის იარაღი ამერიკელი ინდიელების წინააღმდეგ. სკოლა-ინტერნატების სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც შენიღბული ომი, რომელიც ემსახურებოდა ამერიკის მიერ სრული კულტურული უზენაესობის მიღწევას და ინდიელებში ეთნიკური და კულტურული იდენტობის ეროზიასა და შესუსტებას. მიუხედავად იმისა, რომ ინდიელების გარკვეული ნაწილი ამ პროცესს ეწინააღმდეგებოდა, საკმაოდ დიდი ჯგუფი თვლიდა, რომ სკოლა-ინტერნატები და „ევროპული“ განათლების მიღება მათთვის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტი იყო. (Martinez, 2013) მსგავსად, აფხაზების გარკვეული ნაწილი თვლის, რომ რუსულ ენაზე განათლების მიღება დაეხმარებათ ახალგაზრდებს აფხაზეთში და რუსეთში აკადემიური, კარიერული, ეკონომიკური განვითარებისთვის. (ზურაბაშვილი, 2016)

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონში კულტურულ-შემოქმედებითი კუთხით სავალალო მდგომარეობაა. ანსამბლები ერთვებიან რუსეთში დაგეგმილ ღონისძიებებში, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთი პირადი ინტერესებისთვის იყენებს და სათავისოდ ცვლის საზოგადოებრივ განწყობებს გალში. (კახიშვილი, 2021)

კულტურის განვითარების და შეცვლის ერთ-ერთი მიზნია მიგრაცია, მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა ადამიანი რჩება მშობლიურ მიწაზე, თუმცა მაინც უცხოა. ქართველებს, რომლებიც გალის რაიონში, საკუთარ სამშობლოში ცხოვრობენ, უწევთ აიღონ დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ეს კი საკმაოდ მტკივნეული და ძვირია. ეს ნიშნავს იმას, რომ საკუთარ მიწაზე, სამშობლოში იწოდები „ლტოლვილად“. (შიში და გაურკვევლობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები გალში, 2019)

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ჰპირდება, რომ აფხაზური გვარის მიღების შემთხვევაში, პასპორტითა და მოქალაქეობით უზრუნველყოფს. უკეთესი უფლებრივი მდგომარეობის გამო ამ შეთავაზებას ბევრი ქართველი თანხმდება, ზოგი კი თვლის, რომ ეს მათი შთამომავლობისთვის შეურაცხმყოფელია. (ზანთარაია, 2019)

საბოლოოდ, გალში მცხოვრები ქართველები საკუთარ მიწაზე, საკუთარ სახლში თავს პატიმრებად გრძნობენ. (შიში და გაურკვევლობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები გალში, 2019) აფხაზეთში ქართველები არიან ეროვნულ უმცირესობაში, იძულებული არიან სიცოცხლის, ცხოვრების უფლების შესანარჩუნებლად დაემორჩილონ გაბატონებულ კულტურას, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ყველა მოთხოვნას. (ტოკლიკიშვილი, 2011)

ზემოაღნიშნულ პრობლემებში უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოს. მნიშვნელოვანია განხილვა, თუ რა ნაბიჯები გადადგმულა აქამდე საქართველოს სახელმწიფოს მიერ აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. 2010 წელს შეიქმნა ორი უმთავრესი დოკუმენტი: საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული სახელმწიფო სტრატეგია - „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ - და მისი სამოქმედო გეგმა. აღსანიშნავია, რომ გალის რაიონში არსებულ სკოლებში სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა მოცემული ორი დოკუმენტის ფარგლებში მიმდინარეობს. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია გალში მშობლიურ ენაზე

განათლების მიღების შესაძლებლობისა და ქართულ სახელმძღვანელოებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. (ზურაბაშვილი, 2016)

მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ როგორც აფხაზეთიდან დევნილი პირები, აგრეთვე დარგის ექსპერტები. აფხაზეთიდან დევნილი ადამიანების რეკრუტირების პროცესისთვის შეირჩა ე.წ. „თოვლის გუნდის“ მეთოდი. რესპონდენტთა იმ ნაწილისთვის, რომლებიც დარგის ექსპერტებს წარმოადგენენ, შეირჩა მიზნობრივი შერჩევის სახე - ექსპერტული შერჩევა.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა როგორც სიღრმისეული ინტერვიუები, ისე ფოკუსჯგუფები. აღსანიშნავია, რომ დევნილების ჯგუფი საკმაოდ სენსიტიური ჯგუფია. შესაბამისად, საზიარო გამოცდილების მქონე ადამიანების გარემოში ყოფნა დაეხმარათ რესპონდენტებს, საკუთარი აზრი დაძაბულობის გარეშე გამოეხატათ.

აღნიშნული კვლევის სამიზნე ჯგუფს ასევე წარმოადგენდნენ დარგის ექსპერტები. ამ შემთხვევაში ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ოპტიმალური მეთოდი სიღრმისეული ინტერვიუა, ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი.

ფოკუსჯგუფების მონაცემების ანალიზამდე გაიშიფრა ინტერვიუების აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, მომზადდა ტრანსკრიპტები, რასაც მოჰყვა მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციის ეტაპი. მონაცემთა ანალიზის პროცესში გამოვიყენეთ კონტენტანალიზი, რომელმაც საშუალება მოგვცა, მოპოვებული ინფორმაცია გაგვეანალიზებინა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კომპონენტებით. ანალოგიურად, სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზამდე გაიშიფრა ინტერვიუს აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, რასაც მოჰყვა კოდირება-კატეგორიზაციის პროცესი. აღნიშნული ეტაპების შემდეგ მოხდა მონაცემების ლოკალური და ინკლუზიური ინტეგრაცია.

კვლევის შედეგები

რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ერთობლივი ქმედებით

გავრცელებული პროპაგანდა

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტში ჩართულ მხარეებს გააჩნიათ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის მოგვარების მიზნით, აუცილებელია ამ პასუხისმგებლობების დანახვა და გააზრება.

აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხეებზე საუბრისას მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რამდენად ძლიერია ოკუპანტების მიერ გავრცელებული პროპაგანდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის როლი და ჩართულობა კონფლიქტის გაღვივებაში აშკარაა,

ასევე აუცილებელია აფხაზური მხარის პასუხისმგებლობის გააზრება, რომელიც მათ ნამდვილად აქვთ:

„ადგილობრივი წინააღმდეგობებიც იყო და თავისთავად აფხაზები რუსეთის ფაქტორს იყენებენ საკუთარი ეთნიკური ინტერესების გასატარებლად.“ (ექსპერტი N4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ აფხაზეთში გავრცელებულია ნარატივი, თითქოს აფხაზეთის ტერიტორია მხოლოდ აფხაზებს ეკუთვნით. აფხაზებს ახასიათებთ ერთი შეხედვით ეთნოცენტრული ნაციონალიზმი, ამ ნარატივებით კი ცდილობენ ისტორიის ნაციონალიზაციას და ისტორიის პოლიტიკის იარაღად გამოყენებას, რომელიც გავლენას ახდენს აფხაზეთში მცხოვრებ ადამიანებზე.

ეთნონაციონალიზმი არის ნაციონალიზმის სახე, რის მიხედვითაც ერთი მიიჩნევა მთავარ ღირებულებად, შესაბამისად მისი ინტერესების დაცვა, ერთგულება და მისთვის ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ გაგებით ადამიანი, რომელიც განეკუთვნება სხვა ეთნიკურ ჯგუფს, შესაძლოა ითვლებოდეს ქვეყნის მოქალაქედ, თუმცა ერის ნაწილად ვერასდროს იქცევა. (სოციალურ და ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი, 2004)

ექსპერტების აზრით, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ცდილობს გალში მცხოვრები ქართველების ცნობიერების თავის სასარგებლოდ შეცვლას, ისტორიის დამახინჯებას, დებინფორმაციის გავრცელებას, რისი საშუალებითაც ადამიანებს აჯერებენ არაობიექტურ რეალობას. პოსტკოლონიალისტური თეორიის თანახმად, ხდება იმპერიალიზმის კულტურული ასპექტის წარმოჩენა. კულტურული იმპერიალიზმი ჩაგვრის ერთ-ერთი სახეა, რომელიც არსებული მცირე კულტურის გაქრობას და დომინანტი ჯგუფის კულტურის გაბატონებასა და ჩაგრულისთვის ამის თავსმოხვევას გულისხმობს. (ლექსიკონი ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, 2016)

ექსპერტმა გაიხსენა მაგალითი ისტორიის პოლიტიკის იარაღად გამოყენებისა, რომელიც შესაძლოა კულტურული იმპერიალიზმის გამოვლინებად ჩაითვალოს. გალში მცხოვრები ქართველი მიიჩნევა, რომ აუცილებელია ადგილობრივებმა გაითავისონ, რომ ისინი ცხოვრობენ აფხაზების ტერიტორიაზე და არა მათ მშობლიურ მიწაზე.

აფხაზები არა მხოლოდ ქართული მოსახლეობის, არამედ სომხების მიმართაც ნეგატიურად არიან განწყობილნი, რაც წლებია გრძელდება, თუმცა ამ შემთხვევაში კონფლიქტის მიზეზი და ბრძოლის ხერხები განსხვავებულია, აფხაზებს საფრთხედ მიაჩნიათ და ამფოთებს მათ ტერიტორიაზე სომხების ეკონომიკური გაძლიერება. (პაპასკირი, 2016)

რუსული პროპაგანდა აფხაზეთის ტერიტორიაზე საკმაოდ მძლავრია. რუსეთში არ არსებობს თავისუფალი პრესა. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევა, რომ ანტიქართველურ პოლიტიკას ახორციელებს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა, რომელსაც სურს გალში მცხოვრებ ქართველებთან ერთად „გარუსდეს“. სწორედ ამიტომ აფხაზები გალში ატარებენ ისეთ პოლიტიკას, რაც რუსეთისთვის ხელსაყრელია და მათი ინტერესების გატარებას ემსახურება.

„ამ ეტაპზე მგონია, რომ იმ იდეას, რა იდეასაც რუსები ისურვებდნენ რომ განეფითარებინათ, აფხაზები აკეთებენ.“ (ექსპერტი N2, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ოკუპანტების მიერ მეგრელების ცალკე ერად წარმოჩენის მცდელობა - სეპარაცია ქართველებისგან

საყურადღებოა ის, რომ აფხაზების მხრიდან ქართული იდენტობის დაკარგვის ერთ-ერთი ხერხია მეგრელობისა და ქართველობის ერთმანეთისგან გამიჯვნა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზებისთვის არსებითად მნიშვნელოვანია გალში მცხოვრები ქართველი „მეგრელობს“ თუ „ქართველობს“. აფხაზები ცდილობენ, გალელებში დაინახონ განსხვავებული ეთნიკური ჯგუფი, მეგრელები - როგორც ცალკეული ერის წარმომადგენლები.

„მეგრელობას უსვამენ ხაზს, მეგრული ენის ფაქტორს. გალელებს ეუბნებიან, თქვენ ქართველები კი არ ხართ, თქვენ ხართ მეგრელები.“ (ექსპერტი N4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ერთ-ერთი ექსპერტის თანახმად, როცა გალელს უწევს არჩევანი გააკეთოს ქართულსა და მეგრულს შორის, იგი თვლის, რომ ქართულის მეგრულით ჩანაცვლებით მის ცხოვრებაში არაფერი იცვლება და ქართველობის დაკარგვას საფრთხე არ ემუქრება, რადგან ოჯახში, მეგობრებში, ქალაქში ისედაც მეგრულად საუბრობდა. გალელების ცნობიერებაში ქართველობა და მეგრელობა თითქმის ერთი და იგივეა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეგრულად საუბარი გალში დაკავშირებულია ცხოვრების უსაფრთხო პირობებთან.

განათლება და ქართული ენა, როგორც მთავარი იარაღი ქართული იდენტობის დაკარგვისთვის
ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვის ერთ-ერთი მთავარი იარაღი არის განათლება და ქართული ენის შეზღუდვა. ამ კონტექსტში საინტერესოა საერთაშორისო ისტორიული მაგალითის განხილვა. ამერიკელი კოლონიალისტებისთვის განათლება იყო შეტევის პირველი სამიზნე და იარაღიც, რათა ებრძოლათ აბორიგენი ინდიელების იდენტობის წინააღმდეგ, რისთვისაც იყენებდნენ სკოლა-ინტერნატების სისტემას. (Pihama & Lee-Morgan, 2019)

საინტერესოა საბჭოთა კავშირის მაგალითი: 1924 წელს მათ დააარსეს დეპარტამენტი ჩრდილოეთში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მართვისთვის, რომელშიც აქცენტი კეთდებოდა მათი ტრადიციების შენარჩუნებაზე, თუმცა საბოლოოდ გადაიქცა რუსეთთან სრული ასიმილაციის პოლიტიკად. ეთნიკური უმცირესობების ახალ თაობას ორი წლის ასაკიდან ევალდებოდა სკოლა-ინტერნატებში სწავლის დაწყება, სადაც მათ თავიანთ მშობლიურ ენაზე საუბარი ეკრძალებოდათ. საკუთარ სახლში დაბრუნების შემდეგ ისინი ვერ ახდენდნენ იდენტიფიკაციას თავიანთ კულტურასთან, არ ფლობდნენ ენას, იყვნენ გაუცხოებულები თავიანთი საზოგადოებისგან. (Smith, 2009)

მნიშვნელოვანია თავიდანვე აღინიშნოს აფხაზების გეზი, რომ მათ აქვთ სურვილი „გარუსდნენ“. ამ პირობებში კი არსებობს არა მხოლოდ ქართული კულტურის, არამედ აფხაზური ენის გაქრობის

რისკიც. აღსანიშნავია, რომ იუნესკომ აფხაზური ენა ოფიციალურად შეიტანა იმ ენების სიაში, რომლებიც გაქრობის საფრთხის წინაშე არიან. (შანიძე, 2021)

ქართულ იდენტობაზე შეტევის პროცესში რუსებმა გაიაზრეს, რომ აფხაზურ ენას არ ჰქონდა საკმარისი პერსპექტივა და ძალა იმისა, რომ ჩაენაცვლებინა ქართული ენა, გამოსავალი კი იყო საგანმანათლებლო პროცესის რუსულ ენაზე გადაყვანა, 2008 წლიდან კი ქართულ ენაზე სწავლა-განათლება აიკრძალა.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ იდენტობის კვლევის პროცესში მრავალი ასპექტი შემოდის, მათ შორის ის, რომ აფხაზეთში დიდი ხანია არ ისწავლება საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა და თუ ისწავლება, ეს არის გაყალბებული. პარალელურ რეჟიმში კი, მიმდინარეობს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ დამახინჯებული ისტორიის გაძლიერებული სწავლება.

ფოკუსჯგუფის პრაქტიკულად ყველა მონაწილე მიიჩნევს, რომ ქართული იდენტობის დაკარგვის მთავარი იარაღი სწორედ განათლების სისტემაში არსებული მძიმე მდგომარეობა და ქართული ენის შეზღუდვაა. დევნილები თვლიან, რომ იმ პირობებში როცა რუსული სისტემა აქტიურად ზღუდავს ქართულ ენას, რთულია იქ მცხოვრებმა ადამიანებმა იზრუნონ თავიანთი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებაზე. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს უჭირს ქართულ ენაზე მეტყველება და წერა-კითხვა. საქართველოში ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, რესპონდენტების 77.9% მიიჩნევს, რომ ადამიანის ქართველად აღქმისთვის მნიშვნელოვანია იგი ფლობდეს ქართულ ენას. (Bogishvili, Osepashvili, Gavashelishvili, & Gugushvili, 2016) ამის გათვალისწინებით, არსებობს რისკი იმისა, რომ თუ გალში დაიკარგება ქართული ენა, ეს გამოიწვევს გარკვეულ ეჭვებს, რამდენად შეძლებს ახალი თაობა მომავალში საკუთარი თავის იდენტიფიცირებას საქართველოსთან და მეორე მხრივ, ქართული საზოგადოება მომავალში რამდენად აღიქვამს მათ ქართული კულტურის წევრებად.

„როცა ჩემი თანატოლი გავიცანი, მან მოხოვა, რომ მიმოწერა გამეგრძელებინა ლათინური ასოებით და თან მეგრულად, რადგან მას არ შეეძლო ქართულად მეტყველება და ზოგადად ქართულად კითხვაც კი.“ (მდედრობითი, 24 წლის დევნილი გალიდან)

გალში მცხოვრები ქართველების ოკუპანტების მიერ დაგეგმილ კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართულობა

საქართველოსთან ემოციური კავშირის წყვეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობის საკითხია. ექსპერტებმა ისაუბრეს გალში მცხოვრები ქართველების ჩართულობაზე ოკუპანტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ისინი თვლიდნენ, რომ აღნიშნული ფაქტი ნამდვილად წარმოადგენს პრობლემას და შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ახალი თაობის ცნობიერებაზე. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების ნაწილი ამ ჩართულობას უკავშირებს აფხაზების იძულების პოლიტიკას, ნაწილი კი თვლის, რომ მაინც არსებობს გამოსავალი და უარის თქმის შესაძლებლობა, რათა მათ თავი აარიდონ ოკუპანტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას.

„არის შესაძლებლობა, რომ 9 აპრილს დროშა [აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის დროშა] არ აფრიალო მოსკოვში. ეს მაინც არჩევანია, ეს შეგნებული ნაბიჯია, მისი პასუხისმგებლობა... (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ოკუპანტების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართვა აყალიბებს ჰიბრიდულ აზროვნებას, რაც გულისხმობს იმას, რომ ადამიანი შესაძლოა თავს გრძნობდეს ქართველად, იდენტიფიცირდებოდეს როგორც ქართველი, თუმცა ამავდროულად შეეძლოს კიდევ ერთი ბუნების შეთავსება და დე ფაქტო მთავრობის მიერ აღიარებული სოციალური, კულტურული ნორმების გაზიარება. ცნობიერების მსგავსი ცვლილება ეტაპობრივად, შესაძლოა გაუზრებლად მიმდინარეობდეს, ადამიანი სპონტანურად ხდება ამ მოვლენის ნაწილი. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართული კულტურული ძეგლების პრობლემა. ისეთი ძეგლები, რომლებიც ქართული იდენტობისა და ისტორიის მახასიათებელია, გადაღებილია თეთრად.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებრივი მდგომარეობა

როცა არსებობს საფრთხე, რომ გალში მცხოვრებმა ქართველებმა შეიძლება დაკარგონ საკუთარი ეთნიკური იდენტობა, აუცილებელია ყურადღების გამახვილება უფლებრივ მდგომარეობაზე.

შეიძლება ითქვას, რომ გალში მცხოვრები ქართველები აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობისთვის „უცხო“ აღიქმებიან. ზიმელის მიხედვით, „უცხო“ არის ადამიანი, რომელიც ვერ თავსდება მეგობრობა-მტრობის დიქტომიაში. (Georg Simmel, 1908)

ასევე, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი აფხაზეთისთვის მათი რუსიფიცირებაა, დიდ კულტურაში შესვლა. აფხაზები მაქსიმალურად ცდილობენ გალში მცხოვრები ქართველების უფლებების შელახვასა და დისკრიმინაციას, რაც გამოიხატება: გადაადგილების შეზღუდვაში, განათლების მშობლიურ ენაზე მიღების აკრძალვაში, სტუმრის სტატუსის მინიჭებაში და ა.შ.

ერთ-ერთი მთავარი ბარიერი გალელებისთვის თავისუფალი მობილობისა და გადაადგილების შეზღუდვაა, რაც ზრდის რისკს, რომ გალსა და დანარჩენ საქართველოს შორის გაღრმავდება გაუცხოება.

ამასთან, გალელებს შეზღუდული აქვთ უფლებები საკუთარ ქონებაზე, რადგან არ აქვთ აფხაზური პასპორტი. პასპორტის ალტერნატივა გალელებისთვის არის ბინადრობის მონაწილეობა, თუმცა მისი აღების შემთხვევაშიც არ აქვთ ისეთი უფლებები, როგორებიცაა არჩევნებში მონაწილეობა, საკუთარ ქონებასა და სახლზე უფლების მოთხოვნა და ა.შ. ეს შეიძლება ჩაითვალოს სტრუქტურულ ძალადობად, რომელიც გულისხმობს სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების ისეთ მოქმედებას, რომელიც წინააღმდეგობას უქმნის ადამიანებს, რომ დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები. სტრუქტურული ძალადობა მოიცავს კონკრეტული ჯგუფისთვის ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევას, რაც ჯგუფის შესუსტებას ისახავს მიზნად. (Turvey, Coronado, & Baltazar, 2022)

მნიშვნელოვნად ირღვევა ადამიანების უფლებები განათლების მშობლიურ ენაზე მიღების კუთხით. სამწუხაროა, რომ გალში ქართულ ენაზე სწავლება აიკრძალა. გარდა ამისა, არსებობს შიში, რომ ქართულ ენაზე საუბარს მოჰყვება სადამსჯელო ღონისძიებები.

შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების უსამართლო ნაბიჯები გალში მცხოვრები ქართველების მიმართ არის სიმბოლური ძალადობის მაგალითი. ბურდიე სიმბოლურ ძალადობად მიიჩნევს ძალადობას, რომელიც ხორციელდება კულტურული მექანიზმებით. ეს არის ძალადობა, რომელიც ინდივიდზე თავისივე თანამონაწილეობითა და ჩართულობით ხორციელდება. ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სიმბოლურ ძალადობას კი - განათლების სისტემაა. პირები, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას, ცდილობენ ენისა და სხვადასხვა სიმბოლური სისტემების თავსმოხვევას ადამიანებზე. (ბერძენიშვილი, 2019)

აუცილებელია ითქვას, რომ თუ ადამიანები თავს არ იგრძნობენ უსაფრთხოდ და დაცულად, თუ ისინი იფიქრებენ და იგრძნობენ, რომ საკუთარი ეთნიკურობის გამო არიან ბენოლის ქვეშ, ამ შემთხვევაში არსებობს იდენტობის დაკარგვის საფრთხე, რადგან ადამიანებს უნევთ ქრონიკულად დამალონ თავიანთი იდენტობა.

საინტერესოა გოფმანის დრამატურგიული თეორია, რომელიც ეხება ყოველდღიურ წარმოდგენას სხვების წინაშე. ინდივიდი ცდილობს საკუთარი ქმედების მოცემულ რეალობასა და კონტექსტზე მორგებას, ამ აქტივობით კი სამიზნე აუდიტორიაზე შთაბეჭდილების მოხდენა სურს. ეს არის ერთგვარი პერფორმანსი, რომელსაც ინდივიდი ასრულებს „სცენაზე“. სცენასა და კულისებს მიღმა ქმედება ერთმანეთისგან განსხვავდება. აღნიშნული თეორია შეიძლება მიესადაგოს აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრების წესს, რომელიც გარკვეულ პერფორმანსს ჰგავს და დე ფაქტო მთავრობის სურვილების შესაბამისად მიმდინარეობს. არსებობს გალში მცხოვრები ქართველების ის ნაწილი, რომელსაც უნევს მსგავსი პერფორმანსების წარმოდგენა, რათა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება. (Goffman, 1956)

გაღელვებს აქვთ დაუცველობის განცდა, მიიჩნევიან ორმაგად მარგინალურ ჯგუფად. (თორია, 2022) ის, რომ აფხაზეთში გაღელვები ცხოვრობენ შიშის ქვეშ, რომ უნევთ დამალონ თავიანთი იდენტობა, უსაფრთხოების მიზნით მიჰყვნიან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების რეფორმებს, იწვევს იმას, რომ ეს ადამიანები ნებსით თუ უნებლიედ ხდებიან კონფორმისტები. გიდენსის მიხედვით, ინდივიდს მიზანმიმართულად შეუძლია განსაზღვროს საკუთარი იდენტიფიკაციის პროცესი სოციალური ცვლილებებიდან გამომდინარე. (Giddens, 1991) ეს შეიძლება დაუკავშირდეს გალში მცხოვრები ქართველების გამოცდილებას, ადამიანების, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ გახდნენ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ შექმნილი რუსული სივრცის წევრები და ფეხი აუწყვეს მათ პოლიტიკას.

„კომფორტული შეიძლება უხეში სიტყვაა, მაგრამ ახლოსაა სიმართლესთან - ისეთ პირობებს ეძებენ, სადაც მშვიდად იცხოვრებენ და ამიტომ ეგუებიან რეალობას.“ (ექსპერტი N 1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

გალის ქართველებისგან დაცლის საშიშროება

გარდა იმისა, რომ არსებობს გალში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხე, ექსპერტები საუბრობენ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე, რაც გულისხმობს გალის რაიონის ქართული მოსახლეობისგან დაცლას. ისინი პარალელს ავლებენ ახალგორთან, რომელიც ფაქტობრივად დაიცალა ქართველებისგან.

იმის გათვალისწინებით, რომ გალში მცხოვრები ქართველები არიან იმ ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ამყარებენ ქართულ კონცეფციას აფხაზეთში, გალის ქართველებისგან დაცლა პირდაპირ გულისხმობს აფხაზეთში ქართული იდენტობის დაკარგვას.

ექსპერტები საუბრობენ მიზეზებზე, თუ რატომ შეიძლება გალი დაიცალოს ქართველებისგან. ეს მიზეზები გულისხმობს მძიმე უფლებრივ მდგომარეობას, გალში რუსული გარემოს არსებობას, უპერსპექტივობას. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული პრობლემა და დაცლის რისკი სწორედ ახალგაზრდებშია, რომლებიც ვერ ხედავენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე განვითარების შესაძლებლობას.

ერთი შეხედვით ის, რომ გალელი ახალგაზრდები ინტერესდებიან ქართული განათლებით, სასიხარულოა, თუმცა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩამოსული ახალგაზრდების ოკუპირებულ აფხაზეთში დაბრუნების შანსი დაბალია.

ექსპერტის აზრით, ამას ბოლო სტატისტიკებიც მოწმობს. ქართული იდენტობის დაკარგვის კუთხით საფრთხე ორგვარია - ერთი მხრივ, ოჯახები ტოვებენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილს უპერსპექტივობის, წნეხის გამო, მეორე მხრივ, გალში დარჩებიან ადამიანები, რომლებიც ამ სივრცეში და გარემოში თავს კომფორტულად იგრძნობენ, შეეგუებიან ამ სივრცეში არსებულ ვაბატონებულ პოლიტიკას, ასიმილირდებიან მათთან.

„რალაც ჯგუფი რჩება და ხდება მისი რუსიფიკაცია და რალაც ჯგუფი გამოდის...ბევრი ადამიანი აღარ ბრუნდება და არც უნდა წასვლა, ამბობენ: რალა მინდა, იქ ჩემი სამშობლო არ არის, ანუ ქართული გარემო არ არის.“ (ექსპერტი N1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

საინტერესოა, ბაუმანის თეორია, რომელიც ეხება ამბივალენტობას. ბაუმანი თვლიდა, რომ მოდერნულობისთვის დამახასიათებელია წესრიგი, შესაბამისად იგი ებრძვის ამბივალენტობას. ბაუმანს რეალურ მაგალითად მოჰყავს ნაცისტური გერმანიის შემთხვევა, როცა მოახდინეს ებრაელების, როგორც „უცხოების“, ამბივალენტური ბუნების მქონე ადამიანების გენოციდი. ისინი სწორედ ასე ცდილობდნენ წესრიგის მიღწევას. (კაჭკაჭიშვილი, 2018) იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობისთვის არიან „უცხოები“, მძიმე უფლებრივი მდგომარეობის შექმნა, ქართულ იდენტობაზე ზეწოლა არის ერთგვარი მცდელობა, რომ ქართველი მოსახლეობა აიძულონ, დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი. ოკუპანტები ამ პრინციპით ცდილობენ „წესრიგის“ დამყარებას.

საქართველოს სახელმწიფოს ჩართულობა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების პროცესში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ისაუბრა განათლების მიმართულებით არსებულ პროგრამებზე. აღნიშნა, რომ გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ამყარებს უწყვეტ კონტაქტს გალში მცხოვრებ მასწავლებლებთან, მშობლებთან და ბავშვებთან. რესპონდენტის თქმით, საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს მასწავლებლების ფინანსურ მხარდაჭერას, იქ მიღებული განათლების აღიარებას და ა.შ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს აქვს დასახული 10- წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს პრობლემის მოგვარების კუთხით, თუმცა ჩაკეტილი საზღვარი მნიშვნელოვან ბარიერად ესახება.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა ინტერვიუში აღნიშნა, რომ სხვადასხვა პროგრამების საშუალებით აქტიურად ხდება გალში მცხოვრები ახალგაზრდების დაინტერესება. მისი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზური ენის გადარჩენა, რაც დაკავშირებულია ქართული ენის გადარჩენასთანაც.

დამოუკიდებელ ექსპერტებს სახელმწიფოს ჩართულობასთან დაკავშირებით ჰქონდათ განსხვავებული შეხედულება და აღნიშნულ საკითხზე კრიტიკულად იმსჯელეს. თავდაპირველად ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ აუცილებელია გაატაროს სამოქალაქო ღირებულებებზე დამყარებული პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობაზე და რომელიც ითვალისწინებს მოქალაქის უფლებებს. ერთ-ერთმა ექსპერტმა თქვა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ სამოქმედო გეგმას აქვს ფორმალური ხასიათი და პრაქტიკაში ნაკლებად ხორციელდება.

„კონკრეტულად ადამიანზე უნდა იყოს ორიენტირებული, ადამიანის საჭიროებაზე - ეკონომიკურზე, კულტურულზე, სოციალურზე. მე არ მაინტერესებს აბსტრაქტული ფსევდოსენტიმენტები. ცარიელი მითია, ცარიელი აღმნიშვნელი გახდა აფხაზეთი.“ (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ექსპერტები საუბრობენ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებზე, რაც გააუმჯობესებს გალში მცხოვრები ქართველების უფლებრივ მდგომარეობას, შეუნარჩუნებს და გააძლიერებს მათ ეთნიკურ იდენტობას: განათლების კუთხით ექსპერტები ძირითად საკითხად მოიაზრებენ სტიპენდიების გაცემას, გაცვლითი პროგრამების არსებობას, მათ შორის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც დაეხმარებათ ბავშვებს, რომ გაუჩნდეთ ქართულად საუბრის საჭიროება და მათი კავშირი ქართულ სივრცესთან და კულტურასთან გაღრმავდეს. პრაქტიკულად ყველა ექსპერტი საუბრობდა გალში მცხოვრები მასწავლებლების არასაკმარის ანაზღაურებაზე. ფოკუს ჯგუფში მონაწილე დევნილების აზრით, სახელმწიფოს ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში არ არის საკმარისი. ისინი თვლიან, რომ სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.

მათი აზრით, მნიშვნელოვანია აფხაზებთან კომუნიკაცია და მოლაპარაკება, ისინი მაქსიმალურად უნდა ეცადონ, რომ გადარჩეს ქართული ენა და კულტურა აფხაზეთში.

„ამ პროპაგანდის ფონზე, რომ ქართველებმა არ დაკარგონ იდენტობა, სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს მხარდაჭერა... სახელმწიფო გახდა ნეიტრალური, შეგუებადი ამ მოცემულობის მიმართ და სახელმწიფოს ჩართულობა ნაკლებია.“ (მდედრობითი, 26 წლის, დევნილი გალიდან)

აგრეთვე უნდა აღინიშნოს - როგორც ექსპერტებმა, ისე ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობის საჭიროებაზე.

რესპონდენტების სამომავლო პროგნოზი და განწყობა -დამოკიდებულება

სამომავლო პროგნოზსა და განწყობაზე საუბრის დროს ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სწორი მიმართულებით განვითარება მნიშვნელოვანია კონფლიქტის მოგვარებისთვის. ექსპერტები იაზრებენ პრობლემის სიმძაფრეს და აღნიშნავენ, რომ ნამდვილად არსებობს აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვის საფრთხე.

ექსპერტების აზრით, მოლაპარაკებების დემოკრატიული გზით წარმართვით შესაძლებელი იქნება ქართულ-აფხაზური ურთიერთობის რეკონსტრუქცია, რომელიც იქნება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კონფლიქტის მოგვარების საკითხში.

„...მჯერა, რომ საქართველო გამონახავს დემოკრატიულ გზას და სამოქალაქო ინსტიტუტებზე დაფუძნებულ ურთიერთობებს აფხაზებთან და ოსებთან... ავიღოთ ვალდებულება ერთი სახელმწიფოს მართვაზე, მაშინ რაღაც შეიცვლება...“(ექსპერტი N 1, დამოუკიდებელი ექსპერტი კონფლიქტების სფეროში)

ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ დღესდღეობით არსებული სიტუაცია არ არის ჩვეული, რუსეთ-უკრაინის ომმა შესაძლოა ფუნდამენტურად შეცვალოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ირგვლივ მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს, რამაც შეიძლება ასევე დიდი გავლენა იქონიოს აფხაზეთის საკითხზე.

„ასეთი რამ არ ყოფილა ომის დაწყებიდან დღემდე... აფხაზეთის ომის დაწყებიდან დღემდე. შეიძლება გეოპოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს და ამან გახსნას ახალი სივრცეები სამოქმედოდ აფხაზებთან, აფხაზებიც ამაზე ფიქრობენ.“ (ექსპერტი N 4, ისტორიკოსი, კულტურის მკვლევარი)

ფოკუსჯგუფის მონაწილე დევნილთა აზრით, ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხე მძლავრია, თუ არსებული რეალობა სასიკეთოდ არ შეიცვლება, პოზიტიური პროგნოზის გაკეთება რთული იქნება. მათი აზრით, დროის გასვლასთან ერთად სიტუაცია მით უფრო იძაბება, რადგან ვერ ხედავენ შესაბამის ქმედითუნარიანობას საქართველოს მთავრობის მხრიდან.

დასკვნა

აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული საფრთხეების შესწავლა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აფხაზეთში მოქმედებს დე ფაქტო მთავრობისა და რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ერთობლივი პროპაგანდა, რომელიც ემსახურება ზოგადად აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის და მათ შორის ეთნიკურად ქართველი ადამიანების ცნობიერების შეცვლას. აღსანიშნავია, რომ პროპაგანდისტული მიზნების განხორციელებისთვის ძლიერი იარაღია განათლების სისტემაზე შეტევა და დამახინჯებული ინფორმაციით მანიპულირება. ასევე, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ აფხაზეთისთვის საყურადღებო და საფრთხის შემცველია გალში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ადამიანების ფიზიკური არსებობა. შესაბამისად, მიმართავენ სხვადასხვა მეთოდსა და გზას, რათა გალში დათრგუნონ და შეამცირონ ქართველობის განცდა. ამ ფაქტით დასტურდება კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზა - აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა განათლებას იყენებს მანიპულაციის იარაღად, იმისათვის, რომ გავლენა მოახდინოს მოსახლეობის ცნობიერებაზე და ნეგატიურად განაწყოს ქართული სივრცის მიმართ.

გემოაღნიშნული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება ქართული ენის შეზღუდვაა. აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ გალში სრულად აკრძალა ქართულ ენაზე სწავლება, რის შედეგადაც ახალი თაობისთვის ქართული ენა ხდება უცხო. მეტიც, ბევრი ახალგაზრდა, სამწუხაროდ, ვეღარ ფლობს ქართულს. ამ მიგნებით დადასტურდა კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზა - აფხაზეთში ქართული ენა, როგორც კულტურის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი - იკარგება.

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ქმნის რთულ უფლებრივ პირობებს, რაც გალელების ყოფას ოკუპირებულ ტერიტორიაზე კიდევ უფრო ამძიმებს. ეს გულისხმობს თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვას, არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარ ქონებაზე უფლების მოთხოვნის შეზღუდვას, სტუმრის სტატუსის შეთავსებას. ამ მოცემულობის ფონზე, გალში მცხოვრები ქართველები ცდილობენ ყოველდღიურობის გამარტივებას და ისედაც მძიმე ყოფის შემსუბუქებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ მძიმე პირობების - უპერსპექტივობის, უიმედობის გამო - ექსპერტებმა და დევნილებმა ისაუბრეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეზე, რაც უკავშირდება გალის ქართველებისგან დაცლას. ვინაიდან, დღევანდელი მონაცემებით, აფხაზეთში ქართველები ძირითადად გალში ცხოვრობენ, გალის ქართველებისგან დაცლა დიდ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის მატარებელი ადამიანი ფიზიკურად აღარ დარჩება.

აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა ემოციური კავშირი ქართულ კულტურასთან ჯერჯერობით შენარჩუნებულია. დღეის მდგომარეობით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ახერხებენ კავშირის შენარჩუნებას, რაც მათ ეხმარებათ იდენტობის შენარჩუნებაში. თუმცა საყურადღებო და საფრთხის შემცველია აფხაზეთში მცხოვრები ქართველების ოკუპანტების მიერ

დაგვეგვილ კულტურულ-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართულობა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ აქტივობაში ჩართული ადამიანების რაოდენობის ზრდა გამოიწვევს სერიოზულ საფრთხეს, რომელიც ქართული ეთნიკური იდენტობის დაკარგვას ეხება.

აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ცდილობს, გალში მცხოვრები ქართველები დააჯეროს იმაში, რომ მეგრელები დამოუკიდებელ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ და, შესაბამისად, მათი იდენტობაც განსხვავებულ მახასიათებლებს მოიცავს.

ზოგადად, გალში მცხოვრები ქართველების ცნობიერებაში მეგრელობა და ქართველობა იდენტურია, შესაბამისად, ისინი აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მიერ განხორციელებულ ამ პოლიტიკას შესაძლოა, ვერ აღიქვამდნენ ქართული იდენტობის დაკარგვის საფრთხედ.

გალში მცხოვრები ქართველები უყურადღებობას განიცდიან როგორც აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის მხრიდან, ისე საქართველოს სახელმწიფოსგან. ეს მეტყველებს მათ ორმაგად მარგინალურ ბუნებაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს ხელისუფლების ჩართულობა აფხაზეთში ქართული ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით არ არის საკმარისი. მთავრობის წარმომადგენლების თქმით, სახელმწიფოს აქვს შესაბამისი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ემსახურება აფხაზეთში მცხოვრები ქართველების პრობლემის აღმოფხვრას და მათ საჭიროებაზეა მორგებული. რესპონდენტთა დიდი ნაწილი, როგორც ექსპერტების, ისე დევნილების, რადიკალურად აკრიტიკებდა სახელმწიფოს. ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო არ არის ქმედითუნარიანი და არ აქვს დაგვეგვილი პოლიტიკა როგორც აღნიშნული პრობლემის, აგრეთვე, ზოგადად, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების კუთხით. ეს მოცემულობა ქმნის უიმედობის განცდას, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები ნიჰილისტურად უყურებენ მომავალს.

ექსპერტებმა და აფხაზეთიდან დევნილებმა ისაუბრეს სამომავლო პროგნოზებსა და განწყობებზე. პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი ფიქრობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სიტუაცია არ შეიცვალა (რუსული პროპაგანდა ქართული ენის აკრძალვა, განათლების მანიპულაციის იარაღად გამოყენება, მძიმე უფლებრივი მდგომარეობა), დადგება სერიოზული საფრთხე იმისა, რომ აფხაზეთში დაიკარგოს ქართული ეთნიკური იდენტობა.

ექსპერტებმა ისაუბრეს საინტერესო და მნიშვნელოვან ტენდენციებზე: მათ აღნიშნეს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებზე ბევრი ფაქტორია დამოკიდებული. რუსეთის დასუსტება და პოლიტიკური სურათის სასიკეთო ცვლილება იქნება გარანტი, რომ პრობლემის მოგვარების კუთხით მოხდეს მნიშვნელოვანი ძვრები.

ბიბლიოგრაფია

Bogishvili, D., Osepashvili, I., Gavashelishvili, E., & Gugushvili, N. (2016). *Georgian National Identity: Conflict and Integration*. Tbilisi: Nekeri.

Cichocka, A. (2021, October 15). *The Falsification of Memory: History as a Tool of Communist Propaganda*. Retrieved from communistcrimes.org: <https://communistcrimes.org/en/falsification-memory-history-tool-communist-propaganda>

Georg Simmel. (1908). *Stranger*.

Giddens, A. (1991). *Modernity and Self-identity: Self and Society in The Late Modern Age*. Stanford University Press. .

Goffman, E. (1956). *The Presentation Of Self In Everyday Life*. Edinburgh: University of Edinburgh Social Sciences Research Centre.

Human Rights Watch. (2011, 2 18). *Georgians in Gali*. Retrieved from Human Rights Watch: <https://www.hrw.org>

Martinez, D. (2013). *School Culture and American Indian Educational Outcomes*. Denver : Elsevier Ltd.

Pihama, L., & Lee-Morgan, J. (2019). *Colonization, Education, and Indigenous Peoples*. Springer Nature.

Schmidt, U. (2008). *Language Loss and the Ethnic Identity of Minorities*. Flensburg: EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES.

Smith, A. (2009). *Indigenous Peoples and Boarding Schools*. New York.

The importance of culture, language and identity. (n.d.). Retrieved from racismnoway.com.

Turvey, B. E., Coronado, A., & Baltazar, K. V. (2022). Integrated Forensic Assessments: A Psychosocial Approach With the Human Rights Perspective. *Criminal Profiling*, 205-234.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. (n.d.). *გალი*. Retrieved from abkhazia.gov.ge: <https://abkhazia.gov.ge/cities/GALI>

ბერძენიშვილი, ა. (2019). *თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ზანთარაია, თ. (2019, July 26). *რატომ სთავაზობენ გალეელ ქართველებს გვარის აფხაზურად გადაკეთებას?* Retrieved from radiotavisupleba.ge: <https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9A-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E>

ზურაბაშვილი, თ. (2016). *მშობლიურ ენაზე განათლების შეზღუდვა გალის რაიონში: გამოსავლის ძიებაში*. თბილისი: საქართველოს რეფორმების ასოციაცია.

თორია, მ. (2022). *გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია*. თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

კაჭკაჭიშვილი, ი. (2018). *პოსტმოდერნული სოციალური თეორია*.

კახიშვილი, ნ. (2021, April 20). *გალი აფხაზურ და რუსულ კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკას შორის*. Retrieved from Netgazeti.ge: <https://netgazeti.ge/news/536612/>

კოკაია, ლ., & ჭუმბურიძე, დ. (2022, სექტემბერი 27). *აფხაზეთის ომის მემკვიდრეობა ციფრებში*. Retrieved from radiotavisupleba.ge: <https://www.radiotavisupleba.ge>

ლექსიკონი ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. (2016). Retrieved from კულტურული იმპერიალიზმი: <http://dictionary.css.ge>

ოთხოზორია, მ. (2022, April 7). *გალი ქართულ და აფხაზურ ისტორიულ წარმოსახვებში: ორმაგი მარგინალობის ანატომია*. Retrieved from socialjustice.org.ge: <https://socialjustice.org.ge/ka/products/gali-kartul-da-afkhazur-istoriul-tsarmosakhvebshi-ormagi-marginalobis-anatomia>

ჰაპასკირი, ლ. (2016, მაისი 9). *"აფხაზეთში სომხების აქტიურობა ყველანაირ ზღვარს სცდება"*. Retrieved from kvirispalitra.ge: <https://kvispalitra.ge/article/29686-qafkhazethshi-somkhebis-aqtiuroba-yvelanair-zghvars-scdebaq/>

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი. (2021). *ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში*. თბილისი.

სოციალურ და ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი. (2004). თბილისი: ლოგოს პრესი.

ტოკლიკიშვილი, ლ. (2011, september 8). *მალე ვალში აღარ დარჩება არც ერთი ქართველი*. Retrieved from for.ge: <https://for.ge/view/6139/male-galSi-aRar-darCeba-arc-erTi-qarTveli.html>

შანიძე, ა. (2021, october 27). *აფხაზური ენა და მის წინაშე არსებული საფრთხეები*. Retrieved from geocase.ge: <https://www.geocase.ge/ka/publications/541/afkhazuri-ena-da-mis-tsinashe-arsebuli-safrtkheebi>

შიში და გაურკვეველობა: როგორ ცხოვრობენ ქართველები ვალში. (2019, october 9). Retrieved from chaikhana.media: <https://chaikhana.media/ka/stories/890/fear-and-uncertainty-the-life-of-georgians-in-gali>

ჩიჩუა, ნ. (2018, 10 31). *ბავშვებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება და იდენტობის დათრგუნვა ვალში – ციხელაშვილის მოხსენება*. Retrieved from netgazeti.ge: <https://netgazeti.ge>

ცაავა, გ. (2015). *რუსული იმპერიული პოლიტიკა აფხაზეთში (XIX საუკუნის 60-იანი წლები - XX საუკუნის 80-იანი წლები)*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა .



ლგბტქ+ თემის გამოწვევები დასაქმების სფეროში

ანა უზნაძე

მარიამ ბარამიძე

სოციალური მუშაობის და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: ana.uznadze556@sps.tsu.edu.ge

E-mail: mariam.baramidze720@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

ჩვენ მიერ მომზადებული ნაშრომი ეხება საქართველოში მცხოვრები ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა გამოწვევებს დასაქმების სფეროში. აღნიშნული კვლევის მიზანია, უფრო მეტი გავიგოთ ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა გამოცდილებებზე, თუ რა დაბრკოლებებსა და დისკრიმინაციის ფორმებს ხვდებიან ისინი დასაქმებისას. ასევე განვსაზღვროთ, რა გავლენა აქვს ამ ყოველივეს მათ ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2014 წელს იყო მიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, ნებისმიერი პირისთვის უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაა, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მიუხედავად. თუმცა, საქართველოს ყოველდღიურობაში არაერთხელ ვხვდებით ფაქტს, როდესაც ლგბტქ+ თემის წარმომადგენელი დასაქმების სფეროში სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის მსხვერპლია.

ჩვენი ერთ-ერთი საკვლევი თემა შემდეგია: სექსუალური ორიენტაციის გაუმჟღავნებლობა ხელს უწყობს თემის წარმომადგენლების მიერ სამსახურის შენარჩუნებას.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა დამსაქმებელთა პოზიცია, მათი მოსაზრებები და ის, თუ რას აქცევენ ყურადღებას გასაუბრებისა და კადრების აყვანის დროს, რომელთა მიხედვითაც გავიგეთ, თამაშობს თუ არა დამსაქმებლის პოზიცია გადამწყვეტ როლს ლგბტქ+ თემის ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით და ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის დახმარებით.

კვლევაში მონაწილეების შერჩევისათვის გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევა. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ როგორც თბილისში მცხოვრები სრულწლოვანი ლგბტქ+ წარმომადგენლები, ასევე დედაქალაქში მომუშავე დამსაქმებლები, რომლებსაც შეხება ჰქონიათ ლგბტქ+ თანამშრომლებთან.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის წევრებიც შეირჩნენ მიზნობრივი შერჩევის მეთოდით, მათგან 4 დამსაქმებელი, ხოლო 8 დასაქმებული პირია.

რესურსების სიმწირის გამო კვლევის მონაწილეები მხოლოდ თბილისის მასშტაბით იქნენ მოძიებულნი. კვლევის შეზღუდვა გახდა ქვიარ თემში თანამშრომლობის მსურველთა ნაკლებობა.

საკვანძო სიტყვები - ლგბტქ+, ქვიარი, დისკრიმინაცია, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია, ჰომოფობია.

შესავალი

საკითხის აქტუალობა

ქართულ რეალობაში დღითიდღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც თავიანთ სექსუალურ ორიენტაციასა თუ გენდერულ იდენტობაზე ღიად საუბრობენ და „ქამინგაუთს აკეთებენ“. შესაბამისად, ჰომოფობიურად განწყობილ პირებს მეტად ხშირად უწევთ მათთან ურთიერთობა, რაც ზრდის დისკრიმინაციის, ზეწოლისა და ძალადობის სიხშირეს როგორც საზოგადოების, ასევე დამსაქმებლის მხრიდან. ბოლო დროს ჩატარებული კვლევების მიხედვით, საქართველოში კვლავ ნარჩუნდება ჰომოფობიური დამოკიდებულება. UNFPA-ს მიერ საქართველოში 2020 წელს ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში გამოკითხულ კაცთა 83%-ს ჰომოსექსუალი შვილის ყოლა შერცხვებოდა, ქალების შემთხვევაში ამ დებულებას ქალთა 74% იზიარებს. აზრს, რომ ჰომოსექსუალ ქალებს/კაცებს არ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის უფლება, იზიარებს კაცების 83% და ქალების 64%. (Rakshit and Levtov, 2020)

2020 წელს საკანონმდებლო ცვლილებები შრომის კოდექსს შეეხო, რის შედეგადაც დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმები ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად განახლდა, ცვლილებები შეეხო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხსაც. რეფორმირებულმა კოდექსმა შრომის ინსპექციის ეფექტიანი სამსახურის ჩამოყალიბებაც გაითვალისწინა, რომლის მანდატიც გაფართოვდა და გარდა სამუშაო ადგილზე ფიზიკური უსაფრთხოების კონტროლისა, მას დისკრიმინაციის შემთხვევებზე ზედამხედველობა და მონიტორინგიც დაევალა, რაც წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო ცვლილებებისა, თანასწორობის პოლიტიკის აღსრულება და მისი პრაქტიკაში ეფექტურად განხორციელება კვლავაც პრობლემად რჩება. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ სწორედ ლგბტქ+ ჯგუფის მიმართ დგას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საქართველოში, და რომლის მიმართაც დისკრიმინაცია უთანასწორო მოპყრობის მრავლობით ფორმებში გამოიხატება. (ჯალაღანია, 2020)

მიუხედავად მრავალი საკანონმდებლო აქტისა თუ ეროვნული სამოქმედო გეგმებისა, რომლებმაც უზრუნველყვეს ლგბტქ+ პირთა უფლებების დაცვის ვალდებულება, რეალურ ცხოვრებაზე აღნიშნული ცვლილებები არ ასახულა, რაც სახელმწიფოს ზედაპირულ და არასისტემურ მიდგომაში გამოიხატება. სწორედ ამის გამო ინსტიტუციური ცვლილებები ვერ ისახება ლგბტქ+ თემის წევრთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ლგბტქ+ პირებისათვის შრომის ბაზარი ლიმიტირებულია. ხშირად მათი სამუშაოს არჩევანი განპირობებულია იმ ადგილით, რომელიც მათთვის უფრო დაცულად ან ნაკლებად ნორმატიულად გამოიყურება, თუმცა ბევრ ლგბტქ+ პირს მსგავსი არჩევანის შესაძლებლობა არ აქვს, შესაბამისად, იძულებულნი არიან, დასაქმდნენ ისეთ გარემოში, სადაც მუდმივად უწევთ ორიენტაციისა და იდენტობის დამალვა, რათა თავი აარიდონ დისკრიმინაციასა და თანამშრომელთა მხრიდან შევიწროების პრაქტიკას. (EMC, 2016)

ეს საკითხი, როგორც ადრე, აქტუალურად რჩება საქართველოში, ვინაიდან ლგბტქ+ პირები ადგილობრივი ტრადიციებისა და რელიგიის მტრებად აღიქმებიან, რაც ძლიერი ფაქტორია ადამიანების დამოკიდებულებების და შეხედულების ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად, ქართულ საზოგადოებას კიდევ დიდი დრო დასჭირდება, მანამ, სანამ ტოლერანტულ და მიმდებლურ დამოკიდებულებას გამოიმუშავებს. ამ დროს კი ეს ადამიანები შევიწროების და სიძულვილის ენის გამო სრულფასოვნად ვერ სარგებლობენ თავიანთი უფლებებით.

პრობლემის აქტუალურობას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული როგორც 2020 წლის, ასევე 2022 წლის ანგარიშები. 2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსაზრებას - „ლგბტქ+ ადამიანებს, სხვებთან შედარებით, ნაკლებად მიუწვდებთ ხელი დასაქმებაზე“, ლგბტქ+ რესპონდენტთა 93.1% ეთანხმება. რაც ასევე მიუთითებს, არა მხოლოდ ობიექტურად არსებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე, სამუშაო ადგილებზე, არამედ დისკრიმინაციის მოლოდინზეც, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ბარიერები შეუქმნას ლგბტქ+ თემს სამუშაოს ძიების პროცესში და კვლავ ისეთ სამუშაოს დათანხმდნენ, სადაც შესაძლოა, უფრო მიმდებლური გარემო იყოს, მაგრამ არ ჰქონდეთ სოციალური სარგებელი და ადეკვატური ანაზღაურება.(ჯალაღანია, 2020).

ლგბტქ+ ადამიანები განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან ეკონომიკური უთანასწორობის მიმართ, რადგანაც ადეკვატური პირობების მქონე სამუშაოს მოძიება აღნიშნული ჯგუფისთვის განსაკუთრებით რთულია, ხშირად კონცენტრირებულები არიან დაბალანაზღაურებად ან/და დაუცველ ალტერნატიულ ეკონომიკებში. (Weiss, 2015).

მთლიანობაში, დისკრიმინაციული გამოცდილება კერძო სექტორში(32.6%) არსებითად აღემატება საჯარო სექტორში არსებულ უთანასწორო მოპყრობის პრაქტიკას.(აღდგომელაშვილი, 2018)

პრობლემის სიმძაფრეზე მეტყველებს ისიც, რომ ლგბტქ+ თემის წევრების მხრიდან სოციალურ, ეკონომიკურ, ჯანმრთელობის უფლებების დაცვის საკითხებზე მომართვიანობა დაბალია, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მოსალოდნელ უარყოფით შედეგებთან. მაგალითად, შრომის უფლებების დარღვევაზე დიად საუბარმა ლგბტქ+ თემის წევრს შესაძლოა, სრულად მოუსპოს იმავე/მსგავს სფეროში დასაქმების შესაძლებლობა. 2019 წელს სახალხო დამცველისადმი დისკრიმინაციის ფაქტზე მიმართვის სულ 155 შემთხვევიდან, მხოლოდ 14% შეეხებოდა სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციას. 2020 წელს კი, სახალხო დამცველის აპარატში შესული 113 განცხადებიდან, სოგი-ს ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტზე მხოლოდ 6%-მა მიმართა.(საქართველოს სახალხო დამცველი, 2021).

ლიტერატურის მიმოხილვა;

საქართველოს კონსტიტუცია და შრომის კოდექსი კრძალავს ყველანაირ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. ეს მას შემდეგ შეიცვალა,

რაც 2014 წელს იქნა მიღებული კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზანიც ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრა და ნებისმიერი პირისთვის უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაა, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მიუხედავად. ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება როგორც საჯარო დაწესებულებების, ასევე ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში. (საქართველოს კანონი 2391-III, 2014) აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ღირსეული შრომითი პირობების შექმნის და სამუშაო ადგილას უთანასწორო მოპყრობის აკრძალვის კუთხით. კერძოდ, 2020 წლის 29 სექტემბერს გატარებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის შედეგად გაფართოვდა დისკრიმინაციის ფარგლები და მოიცვა პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამადლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის ხელმისაწვდომობა. დამატებით, შრომის კოდექსმა გაითვალისწინა დამსაქმებლის პირდაპირი ვალდებულება, მიიღოს შესაბამისი ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დასაცავად. (ჯალაღანია, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021) ამის მიუხედავად, საქართველოს ყოველდღიურ რეალობაში არაერთხელ ვხვდებით ფაქტს, როდესაც ლგბტქ+ თემის წარმომადგენლები დასაქმების სფეროში სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან.

კანონების მიუხედავად, საქართველო იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც საზოგადოების ყველა წევრისთვის დასაქმების შესაძლებლობები თუ ღირსეული სამუშაო გარემო თანაბრად არ არის ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ღირსეულ სამუშაო გარემოში მოიაზრება ადგილი ადეკვატური ანაზღაურებით, შრომის ადმინისტრირების სამართლიანი ორგანიზებით და უსაფრთხო სამუშაო გარემოთი. აქედან გამომდინარე, ლგბტქ+ ადამიანებისთვის ჯანსაღ სამუშაო გარემოდ ჩათვლება ის, სადაც მათ არ მოუწევთ საკუთარი გამოხატვის კონტროლი და თავის დაცვა იდენტობის პირდაპირი თუ ირიბი გამჟღავნებისგან. (EMC, 2016)

ეს ყველაფერი გამოწვეულია ისეთი გარე ფაქტორებით, როგორებიცაა: დისკრიმინაციული პრაქტიკა და უთანასწორო მოპყრობა. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოების დამოკიდებულებების გამო მათ დასაქმების შესაძლებლობებზე გავლენას ახდენს შიდა პიროვნული ფაქტორები: ლგბტქ+ ჯგუფის მხრიდან საკუთარი შესაძლებლობების მიმართ დაბალი თვითშეფასება და საკუთარი უძლურობის შეგრძნება. ლიკა ჯალაღანია თავის კვლევაში „ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“ აღნიშნავს, რომ ჯგუფის წარმომადგენლები ძირითადად ირჩევენ იმ სამუშაო გარემოს, სადაც მათ არ მოუწევთ საკუთარი იდენტობის დამალვა და შეძლებენ ამის თავისუფლად გამოხატვას დისკრიმინაციის მოლოდინის გარეშე. მაგრამ, ეს იმას გამოიწვევს, რომ ისინი დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე კონცენტრირდებიან და მათ „პრეკარიულობის სპირალში“ დარჩენისკენ უბიძგებთ. აღნიშნული კვლევა აჩვენებს, რომ ლგბტქ+ რესპონდენტთა 60,5%-ის საშუალო ანაზღაურება 1000 ლარს არ აღემატება. დასაქმებულ რესპონდენტთა 22,3% ერთდროულად ორ სამუშაო ადგილასა და დასაქმებული, რისი მიზეზიც მათი 88,9%-ის შემთხვევაში, ზუსტად რომ დაბალი ანაზღაურებაა.

ლგბტქ+ თემს შეიძლება სამუშაოს ძიებისას მნიშვნელოვანი ბარიერები შეექმნათ და კვლავ ისეთ სამსახურზე დათანხმდნენ, სადაც გარემო უფრო მიმდებლური იქნება, მაგრამ არ იყოს სოციალური სარგებელი თუ ადეკვატური ანაზღაურება. ამას ადასტურებს დასაქმების სექტორში მომუშავე ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენელთა გადანაწილებაც, სადაც რესპონდენტთა 32,7% ხელოვნების, გართობის და დასვენების სფეროშია დასაქმებული, ხოლო 19,20% კვების და მომსახურების სექტორში. დასაქმების სფეროს სპეციფიკურობის გამო, ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენლების ეკონომიკურ მდგომარეობაზე კოვიდ-19 პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია. იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფის წევრების დიდი ნაწილი ზუსტად, რომ მომსახურების სფეროში იყო დასაქმებული, ასეთი სექტორის დახურვამ ავტომატურად გამოიწვია მათ მიერ სამსახურის დაკარგვა და შემოსავლების კლება. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ პანდემიის დროს, კარანტინის პერიოდში, ლგბტქ+ რესპონდენტთა 12,8% საერთოდ შემოსავლების გარეშე დარჩა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდე მათი შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი 900 ლარს შეადგენდა, რამაც კარანტინის დროს სამჯერ იკლო და დაახლოებით 300 ლარს გაუტოლდა. 2021 წლის მონაცემებით, კი ეს მაჩვენებელი 45%-ით ნაკლებია და 500 ლარს შეადგენს. (ჯალაღანია, 2020)

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად 2018 წელს ლესბოსელი და ბისექსუალი ქალების 28,2% მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამოხატულების გამო სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდნენ. ქალთა 21,4%-მა დისკრიმინაცია განიცადა სამუშაოს მიღებისას, ხოლო შესაძლებლობების უთანასწორობასა და დაწინაურების პროცესში დისკრიმინაციას დაექვემდებარა 11,2% და 6,5%. აღნიშნული კვლევის თანახმად, დასაქმების ადგილას დისკრიმინაციის პრობლემა წარმოეშვათ იმ ბისექსუალ და ლესბოსელ ქალებს, რომლებიც გენდერულად არაკონფორმულად გამოიყურებოდნენ. (Aghdgomelashvili, 2018)

გარეგნობაზე ხაზს უსვამს ასევე, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ 2014 წლის კვლევა, სადაც ლბტ(ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) თემის წარმომადგენელმა ზოგიერთმა ქალმა აღნიშნა, რომ ისინი არ იყვნენ სამსახურში აყვანილნი თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამო, რაც აშკარა იყო მათი ჩაცმის სტილიდან გამომდინარე. (Aghdgomelashvili, Natsvlashvili, 2015)

2019 წელს, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობის და დისკრიმინაციისგან დაცვის თაობაზე გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს შესახებ, რომლის ფარგლებში ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ განაცხადა, რომ ისინი ძალადდნენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას, რათა ჰქონოდათ ღირსეული სამუშაო. კვლევის თანახმად სამუშაოდან გარიყვა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიადაგზე, საქართველოში გავრცელებული პრაქტიკაა, ამავე მიზეზით ცემასთან, ბულინგთან და სასწავლო ან ჯანდაცვის დაწესებულებებიდან გარიყვასთან ერთად. დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშში ასევე ჩანს, რომ ის თემის წარმომადგენლები, რომელთა გარეგნობაც არ ემთხვეოდა საზოგადოების მიერ დაწესებულ გენდერულ და სოციალურ მოლოდინებს, განსაკუთრებით კი ფემინური მამაკაცები და

ტრანს პირები, ხშირად არ იყვნენ დაქირავებულნი ან, სამსახურში აყვანის შემთხვევაში, სამუშაო ადგილას იყვნენ გარიყულნი, ექვემდებარებოდნენ ლანძღვა-გინებას და დაცინვას, „ქამინგაუთის“ შემთხვევაში კი, კარგავდნენ სამსახურს. (Human Rights Council, 2019)

განსაკუთრებით მოწყვლადები დასაქმების სფეროს წინაშე არიან ლგბტქ+ თემის ტრანსგენდერი წარმომადგენლები. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ 2015 წელს ჩატარებული კვლევის „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“-ის მიხედვით, გენდერული თვითგამოხატვასთან შეუსაბამო პირადობის დამადასტურებელი საბუთების არარსებობის გამო ტრანსგენდერი ადამიანები იძულებულნი არიან დასაქმდნენ ან არაოფიციალურად, ან დათანხმდნენ ცუდ სამუშაო პირობებს. ამ მიზეზების გათვალისწინებით, ისინი ასევე შეიძლება ჩაერთონ კომერციულ სექს-სამუშაოში, რაც მათ მეტად მოწყვლადებს ხდის ძალადობის მიმართ. აღნიშნული კვლევის ერთ-ერთო მონაწილე აღიარებს, ხოლო კიდევ სამი მონაწილე იმაზე მიანიშნებენ, რომ ისინი ფინანსური პრობლემების გამო კომერციულ სექს-სამუშაოში ყოფილან ჩართულნი. ამავე კვლევაში გამოკითხული საქართველოში მცხოვრები 14 ტრანსგენდერი ქალიდან, 5-მა აღნიშნა, რომ არის თვითდასაქმებული, 4-არის უმუშევარი, ხოლო 5- მუშაობს სრულ განაკვეთზე. მათი თვითური შემოსავალი კი შემდეგნაირად ნაწილდება: სამმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათი თვითური შემოსავალია- 300-700 ლარის ფარგლებში, ოთხის- 700-1000, ორის- 300-100, და მხოლოდ ერთის- 100 ლარზე ნაკლები. (გვიანიშვილი, 2015)

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ 2012 წლის კვლევაში „ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში“ აღნიშნულია, რომ ტრანსგენდერ ადამიანთა ირიბი დისკრიმინაცია საქართველოს კანონმდებლობაშიც შეინიშნება შემდეგი ხარვეზის სახით: უმაღლესს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლება, რომ დიპლომი გაიცეს მხოლოდ ერთხელ, რაც უარყოფითად აისახება იმ ინდივიდებზე, რომლებმაც ქირურგიული ჩარევის შედეგად სქესი შეიცვალეს და რაც მათ დასაქმების სურვილის შემთხვევაში უფრო მეტად აქცევს დისკრიმინაციის პოტენციურ მსხვერპლად.

ზემოთაღნიშნულ კვლევაში ასევე ჩანს, რომ ხარვეზი შეინიშნება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსშიც, სადაც იმის მიუხედავად, რომ პირდაპირ გაწერილია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვა, გასათვალისწინებელია, რომ ეს აკრძალვა მხოლოდ შრომით ურთიერთობებზე ვრცელდება, რომელიც სათანადო პირის სამსახურში აყვანის და ხელშეკრულების დადების შემდეგ იწყება. აქედან გამომდინარე, ლგბტქ+ პირები შეიძლება უფრო მეტად დისკრიმინაციის მსხვერპლნი სამსახურში აყვანის პროცესში გახდნენ. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ 2010-2012 წლის მანძილზე სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის მსხვერპლნი არ გამხდარან იმ მიზეზით, რომ ისინი სამსახურში საკუთარ ორიენტაციას არ ამჟღავნებდნენ და პრაქტიკულად „ჰეტეროსექსუალობას“ თამაშობდნენ. რესპონდენტთა 42,37% (N=50) სამსახურში საკუთარ სექსუალურ ორიენტაციას არ ამჟღავნებს, დანარჩენი 43,37% მხოლოდ შერჩევით ამხელს ამას, ხოლო მხოლოდ 15,25% არის ღია საკუთარი ორიენტაციის შესახებ. ასევე აღსანიშნავია, რომ ყველა 18 წლამდე ინდივიდი მალავს საკუთარ

სექსუალურ ორიენტაციას სამუშაო სივრცეში, 18-25 წლამდე 10 ინდივიდი, ხოლო 26-40 წლამდე 8 ინდივიდი - ღია თავისი ორიენტაციის შესახებ. (WISG, 2012)

ლგბტქ+ თემის დისკრიმინაციის კვლევისას გამოიკვეთა კიდევ ერთი ფაქტი. მათ მიმართ ჰომოფობიის დონე განსხვავდება სამიზნე ჯგუფის გენდერის მიხედვითაც, კვლევების მიხედვით უარყოფითი დამოკიდებულება გეი მამაკაცების მიმართ უფრო ძლიერია, ვიდრე ლესბოსელების. (Kite & Whitley, 1998) საყურადღებოა ისიც, რომ სტერეოტიპულად ითვლება შემდეგი - გეი მამაკაცს ქალური მანერები უნდა ჰქონდეს, რასაც საქართველოში ჩატარებული კვლევის რესპონდენტთა 58,9% ეთანხმებოდა, ხოლო 25,7% ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ემხრობოდა (აღდგომელაშვილი, 2016).

დღევანდელ რეალობაში ყველაზე დიდ პრობლემას მაინც სიძულვილის ენის გამოყენება და ქვიარ თემის პრობლემებზე ყურადღების გაუმახვილებლობა წარმოადგენს, რაშიც დიდია მედიის როლი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ქართული მედია არასაკმარისად აშუქებს ქვიარ თემებს. მოგვხსენებთ, მედიის უდიდესი როლი საზოგადოების აზროვნების ფორმირებაში. როდესაც მედია არასათანადო ყურადღებას აქცევს მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებზე საუბარს, ფაქტია, რომ ქვიარ თემის წარმომადგენლებს მათი იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ამაზე მეტყველებს მედია მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიშები მედიასივრცეში სიძულვილის ენასთან დაკავშირებით. 2014-2015 წლების კვლევების თანახმად მედიასივრცეში კვლავ პრობლემად რჩება როგორც მედიის წარმომადგენლების, ასევე მიწვეული სტუმრების მხრიდან გამოვლენილი სიძულვილის და მკვეთრად გამოხატული ჰომოფობიური ენა. ეს ყოველივე ემსახურება ქვიარ თემის წარმომადგენლებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიზებას, რაც ლგბტქ+ პირთა უფლებრივ განზომილებას ღირებულებას უკარგავს. აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევის თანახმად მედიაში ქვიარ საკითხებთან დაკავშირებით გაშუქებული თემატიკა ძირითადად ეხება შემდეგ საკითხებს: ჰომოსექსუალობის დასავლეთთან დაკავშირება და მისი ქართულ ღირებულებებთან შეუთავსებლობის რიტორიკა, ჰომოსექსუალობის დაავადებად წარმოჩენა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის დანაშაულთან თუ პროსტიტუციასთან გაიგივება. ხოლო ქვიარ თემის რეალურ პრობლემებსა და გამოწვევებზე ნაკლებად საუბრობენ.

მონიტორინგის პროცესში გაირკვა, რომ ქვიარ თემის თემატიკის გაშუქებისას მედია და მედიის წარმომადგენლები (35%) ხშირად არღვევენ დაწესებულ ჟურნალისტურ სტანდარტს და თვითონ გვევლინებიან ჰომოფობიური კომენტარების ავტორებად. კვლევისას გამოიკვეთა 108 მედია-გაშუქების ფაქტი, სადაც ჰომოფობიური დამოკიდებულება გვხვდება, როგორც ჟურნალისტების გამონათქვამებში, ისე სათაურებშიც. (ხორბალაძე, 2015)

სიტუაცია არ შეცვლილა 5 წლის შემდეგაც. მედია მონიტორინგის 2020 წლის ანგარიშის თანახმად მედიასივრცეში ლგბტქ+ თემის გამოხატვის თავისუფლება ან მათი უფლებების ადვოკატირება, როგორცაა შრომითი უფლებების დარღვევა და გამოწვევები, ამ სფეროში, კვლავ გარყვნილების პროპაგანდასთანაა გათანაბრებული. ისევე როგორც წინა წლებში, 2020 წელსაც ხდებოდა

პოლიტიკური პარტიების ცალკეული წევრებისა და სამოქალაქო აქტივისტების ლგბტქ+ თემთან დაკავშირება მათი დისკრედიტაციის მიზნით. (გოგოლაძე, 2020)

CRRC საქართველოს მიერ ჩატარებული კვლევის “სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა” მიხედვით, უმცირესობათა და მოწყვლადი ჯგუფების უფლებებზე საუბრისას რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია მათი უფლებების დაცვა და გაშუქება, მაგრამ ამ ჯგუფებში არ მოიაზრებენ ქვიარ თემს. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ლგბტქ+ ადამიანების უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია, ნაკლებია იმ პირების რაოდენობაზე, ვინც ამ აზრს არ ეთანხმება. იმის მიუხედავად, რომ ქვიარ თემის ყოველდღიური გამოწვევების გაშუქება არც ისე ხშირად და სათანადოდ ხდება, 19-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ლგბტქ+ თემის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში შეიძლება მათი დასაქმების სფეროში დისკრიმინაცია წარმოადგენდეს. (CRRC, 2018)

პრობლემად კვლავ რჩება საზოგადოებაში ემპათიის დაბალი დონე ლგბტქ+ თემის მიმართ. ევროსაბჭოს მიერ, 2018-2021 წლებში ჩატარებული პროექტის მიხედვით, რომელიც იკვლევდა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ტოლერანტობის დონე სამსახურში ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და გენდერული ნიშნით განსხვავებული პირების მიმართ კვლავ დაბალია. კვლევის ფარგლებში გამოკითხული მოსახლეობის 70% არ არის თანახმა „ჰომოსექსუალებთან“ მუშაობაზე და მათ საქმეში ჩართვაზე. (CRRC Georgia , 2022)

2022 წლის მონაცემების თანახმად ლგბტქ+ თემის დასაქმების მდგომარეობა არ გამოსწორებულა. „კანონის უზენაესობის ცენტრის“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში: „ლგბტქ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობა საქართველოში“ - კვლავ აღინიშნება თემის წარმომადგენელთათვის თავიანთი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დამალვის საჭიროება, ვინაიდან ამ ინფორმაციის იდენტიფიცირება, უმრავლეს შემთხვევაში, სამსახურში მიღებაზე უარის თქმის ან სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზია. აღსანიშნავია ისიც, რომ გათავისუფლების შემთხვევაში დამსაქმებელი მიზეზად ყოველთვის რაიმე სხვას ასახელებს, გარდა გათავისუფლების რეალური საფუძვლისა. ამავე კვლევაში აღნიშნულია ასევე ერთი შემთხვევა, როდესაც გენდერულ იდენტობაზე ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ, დამსაქმებელმა ტრანსგენდერ ქალს გათავისუფლების რეალური მიზეზი უთხრა. ზემოაღნიშნული მონაცემები კვლავ ხაზს უსვამს იმას, რომ შრომის კოდექსში და კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებების მიუხედავად, დამსაქმებელნი კვლავ არღვევენ კანონს და შესაბამისად ლგბტქ+ თემის წევრთა უფლებებსაც. (თოლორია, დაუშვილი, & ზუბაშვილი, 2022)

შედეგები

სამართლებრივი ჩარჩო

პირველ რიგში კვლევამ აჩვენა, რომ საკანონმდებლო დონეზე გატარებული ცვლილებების მიუხედავად, დისკრიმინაცია სამუშაო ადგილას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული ნიშნის საფუძველზე კვლავ აქტუალური პრობლემაა. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათი სამსახურში აყვანისა და გათავისუფლების მიზეზი არაერთხელ ყოფილა მათი არაკონფორმული გარეგნობა, შესაბამისად დამსაქმებელს ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ, კი სხვა ფაქტორის მომიზეზებით გაუშვიათ ისინი სამსახურიდან.

ასევე, რესპონდენტების თქმით, მათ არ ჰქონიათ შემთხვევა, როდესაც დასაქმების ადგილის შინაგანაწესში იყო მითითებული სათანადო ზომების მიღება დისკრიმინაციის ფაქტების შემთხვევაში და შესაბამისად, არც იყო უზრუნველყოფილი მათი შესრულება, რაც პირდაპირ არღვევს საქართველოს შრომის კოდექსის, მუხლი 23, ნაწილი 4- ს.

კვლევის მონაწილე ლგბტქ+ თემის წარმომადგენლები ერთხელ მაინც გამხდარან დისკრიმინაციის მსხვერპლნი დასაქმების ადგილას. საფუძველი ძირითადად ხდებოდა მათ მიერ სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნება ან არაკონფორმული გარეგნობა. დისკრიმინაციის შემთხვევები მუდმივ კვალს ტოვებენ ლგბტქ+ თემის წარმომადგენლებზე და ახდენენ მათ, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე ეკონომიკურ კეთილდღეობაზე მნიშვნელოვან გავლენას.

კომფორმული გარეგნობა

როცა დამსაქმებელს მკაცრი მოლოდინები აქვს თანამშრომელთა ვიზუალთან დაკავშირებით, თემის წევრები სამუშაო ადგილას დიდ დაბრკოლებებს აწყდებიან. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად გვევლინება საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციული გარეგნობის სტანდარტები, მათთან შეუსაბამობის შემთხვევაში კი, ლგბტქ+ თემის წარმომადგენლების არაკონფორმული გარეგნობა მათ მიმართ დისკრიმინაციაზე აისახება. რესპონდენტთა მიერ ასეთი არაკონფორმული გარეგნობის ნიშნებად ჩამოთვლილი იყო: გენდერისთვის შეუსაბამო/არაკონფორმული ჩაცმულობა, ვარცხნილობა, პირსინგი და ტატუ. მათ მიერ ასევე გამოყოფილი იყო ხმის ტემბრისა და ჟესტიკულაციის არაკონფორმულობა, რაც ხშირად საზოგადოების მიმართ კონკრეტულ გენდერს მიეწერება.

კონკრეტული დისკრიმინაციული და დამამცირებელი კომენტარების მაგალითები გაიხსენეს რესპონდენტებმა. 24 წლის კაცი, რომელსაც თავისი წარმოდგენით მამაკაცის გენდერისთვის არადამახასიათებელი გარეგნობა აქვს, იხსენებს, რომ გასაუბრებაზე ძალიან დამამცირებლად დაათვალიერეს, თითქოს უცხო არსებას წარმოადგენდა. სამსახურში აყვანისათვის წაუყენეს მოთხოვნა, ჩაეცვა „წესიერად“ და ჰქონოდა შესაბამისი ვიზუალი, იმის გათვალისწინებით, რომ სამსახურში არ იყო დადგენილი „დრესკოდი“ და თანამშრომლებს არ ჰქონდათ პირდაპირი კონტაქტი მომხმარებლებთან. მსგავსს შემთხვევას იხსენებს 21 წლის ქალი რესპონდენტი,

რომელსაც დამსაქმებელმა პირდაპირ განუცხადა, რომ მათ არ სჭირდებოდათ ფერადთმიანი, სახეზე რკინებიანი და ტატუებიანი მიმტანი, რადგან სერიოზულ დაწესებულებად ითვლებოდნენ, სერიოზული სტუმრებით. დამსაქმებელმა ასევე ხაზი გაუსვა მის ჩაცმულობას და აღნიშნა, რომ შეუსაბამო ჩაცმულობის გამო, რთული იყო მისი გენდერის დადგენა. ამგვარი შემთხვევები, სადაც დამსაქმებელი გამოხატულად აგრძნობინებს თანამშრომელს დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ან პირდაპირ ეუბნება დამამცირებელ კომენტარებს, მიგვითითებს, რომ ეს ყოველივე ირიბი დაბრკოლებაა დასაქმების პერსპექტივისათვის და თემის წარმომადგენელთათვის უიმედოა, როგორც დამსაქმებლისგან, ასევე თანამშრომლებისგან მხარდაჭერის მოლოდინი. ჩვენი კვლევის მსგავსი შედეგები ვლინდება 2018 წელს გამოქვეყნებულ კვლევის „ ლგბტი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“ შედეგებში.

პოზიტიური გამოცდილება

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა გამოცდილება დასაქმების სფეროში ცალსახად უარყოფითი როდია. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ კონკრეტულ რესპონდენტებს, მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მიუხედავად, ჰქონდათ კონფორმული და ფართო საზოგადოებისთვის მისაღები გარეგნობა ან დასაქმების ადგილას არ ამჟღავნებდნენ საკუთარ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. რესპონდენტი, 26 წლის ქვიარ ქალი, აღნიშნავს, რომ სამუშაო ადგილას საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებისას მისი უფლებები დაცული იყო დამსაქმებლის მიერ. ანტიდისკრიმინაციული დამოკიდებულება გათვალისწინებული იყო ასევე დასაქმების ადგილის შინაგანაწესში, რაც ერთადერთი შემთხვევაა კვლევის ფარგლებში, როდესაც სამუშაო ადგილას ასეთი ზომები შეინიშნა.

დამსაქმებლის პოზიცია

კვლევის ფარგლებში გამოკითხული 4 კერძო სექტორის დამსაქმებელიდან, 3 აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრა სრულიად დამოკიდებულია მათ მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებზე. დარჩენილი ერთის სიტყვებით სამსახური საერთოდ არ არის ის ადგილი სადაც სექსუალური ორიენტაცია უნდა განიხილებოდეს და ამის გამო არც არის საჭირო რაიმე ახალი რეგულაციების მიღება, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე თანამშრომლების უფლებების დასაცავად. ერთ-ერთი დამსაქმებელი კითხვაზე, თუ რა პრევენციული ზომების მიღება შეიძლება დისკრიმინაციის შესამცირებლად, პასუხობს, რომ პოტენციურ თანამშრომლებს დასაქმებამდე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სამუშაო ადგილას დისკრიმინაციის და რაიმე ნიშნით შევიწროების დაუშვებლობის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ დამცავი მექანიზმების არსებობა და დამსაქმებლის მიერ ჩატარებული აღმზრდელობითი შეხვედრები არ არის სამუშაო ადგილას დისკრიმინაციის აღმოფხვრის გარანტი. რა თქმა უნდა, მათი არსებობა აუცილებელია, მაგრამ ეს ყოველივე ასევე თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობასა და გაცნობიერებულობაზეა დამოკიდებული. ამრიგად, ინფორმირებულობის ამაღლება შესაძლოა ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამცავ მექანიზმადაც განიხილოს. ამასთან დაკავშირებით, კერძო სექტორის დამსაქმებელი

აღნიშნავს, რომ მრავალჯერადი აღზრდელი საუბრებისა და კონსულტაციების მიუხედავად, მას სამუშაო გარემოში მაინც ესმოდა ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ გაკეთებული დისკრიმინაციული კომენტარები. მეორეს მხრივ, კვლევაში გამოიკვეთა, რომ ასეთი ზომები დამსაქმებლის მხრიდან რიგ შემთხვევებში პროდუქტიული არის. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მის მიმართ დისკრიმინაციის ფაქტის შემთხვევისას, დამსაქმებელმა, რომელიც ასევე ლგბტქ+ თემის წარმომადგენელია, მოაწყო საინფორმაციო შეხვედრა მთელ კოლექტივთან, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხებოდა. ამავე შეხვედრაზე დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ თუ რომელიმე თანამშრომელს კოლექტივში ლგბტქ+ თემის წარმომადგენელთა არსებობასთან პრობლემა ჰქონდა, შეეძლოთ თავისუფლად კოლექტივის დატოვება, რადგან ამ სივრცეში ნებისმიერი ნიშნით ადამიანთა გარიყვა და გამორჩევა დაუშვებელი იყო. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს ისეთ შემთხვევას, როდესაც თავის დამსაქმებელს, მომხმარებელმა შეურაცხყოფა მიაყენა და დასცინა გარენობის გამო, როგორც თავად ამბობს, ამ შემთხვევაში არ იცის როგორ მოიქცეს, რადგან მომხმარებელთან ვერაფერს გახდება, თუმცა გულწრფელად წუხს, რომ მსგავსი რამ მის სექტორში მოხდა, მან კი ხმა ვერ ამოიღო. განსხვავებული მოსაზრების მქონე დამსაქმებელი აცხადებს, რომ მას პირადად არ ჰქონია შემთხვევა, როდესაც თანამშრომლები მასთან დისკრიმინაციის პრობლემასთან დაკავშირებით მისულებდნენ და ასეთი შემთხვევა რომც იყოს, თვლის რომ თანამშრომლებმა ეს ერთმანეთში უნდა მოაგვარონ.

პრობლემის აქტუალობა

სექსუალური ორიენტაციის და გენდერის საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევების პრობლემატიკა ჯერ კიდევ არ კარგავს აქტუალობას. ეს წარმოჩენილი იყო 2019 წელს ადამიანების უფლებების საბჭოს კვლევაში, 2022 წელს გამოქვეყნებულ ევროპის საბჭოს პროექტში და ჩვენ მიერ ჩატარებულ 2023 წლის კვლევაში. აშკარაა, რომ ფართო საზოგადოებასა და ინსტიტუციურ დონეზე საჭიროა მეტი ძალისხმევის გამოყენება, როგორც ინფორმირებულობის და ცნობიერების ასამაღლებლად, ასევე, ზოგადად ლგბტქ+ ადამიანების უფლებების დასაცავად.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ თუ რესპონდენტებს საკუთარი კონფორმული გარეგნობა საშუალებას აძლევდათ საკუთარი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის დასამალად, ისინი ყოველთვის ამ გზას მიმართავდნენ. დამსაქმებლისა და თანამშრომელთა რეაქციის შიშის საფუძველზე, რესპონდენტები ყველანაირად გაურბოდნენ მათი იდენტობის გამოაშკარავების შესაძლებლობას, იმის მიუხედავად რომ თავს არაკომფორტულად გრძნობდნენ. ამგვარი შემთხვევები დაფიქსირებული იყო ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებულ კვლევაში, სადაც ბისექსუალური და ლესბოსელი ქალები თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გამოხატვის გამო, სამუშაო ადგილას დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდნენ. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ სამუშაო ადგილას დაუცველობის და არაკომფორტული შეგრძნებების გამო, მათ მოუწიათ სამსახურის დატოვება. ერთ-ერთ რესპონდენტს ასევე ჰქონდა საფუძვლიანი შიში, რომ ჰომოფობიური განწყობების საფუძველზე, მასზე ფიზიკურად იძალადებდნენ და თავდაცვის მიზნით სამსახური დატოვა.

აღსანიშნავია, ის შემთხვევებიც, როდესაც დამსაქმებელნი ვერბალურ დისკრიმინაციას და შეურაცხყოფას იყენებდნენ თემის წარმომადგენლებზე ზეწოლისთვის, რათა სამსახურიდან წასულიყვნენ. რესპონდენტი იხსენებს, რომ უფროსმა მას პირდაპირ უთხრა, რომ მომხმარებლის მოზიდვის მაგივრად, მისი იქ ყოფნა პირიქით შეამცირებდა მათ რიცხვს, საბოლოოდ კი მის გამო მომხმარებელი აღარც ეყოლებოდათ.

გავლენა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე

კვლევის ფარგლებში ასევე საინტერესო იყო გაგვეგო, რა გრძელვადიანი გავლენა ჰქონდა დისკრიმინაციის ფაქტებს რესპონდენტთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ხშირად ასეთი სახის ზიანი პერმანენტული ხასიათისაა. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სამუშაო ადგილას მუდმივი დისკრიმინაციის განცდის შემდეგ მან დატოვა სამსახური და სრულიად გაუქრა ახალი სამუშაო ადგილის პოვნის სურვილი და მოტივაცია. მისი თქმით, მან უკვე წინასწარ იცოდა ყველაფერი როგორ დამთავრდებოდა, აქედან გამომდინარე უკეთესის იმედიც აღარ ჰქონდა. ასეთმა გამოცდილებამ მის თვითშეფასებაზე იმოქმედა, რის შედეგადაც გრძელვადიან დეპრესიულ მდგომარეობაში იყო. კიდევ ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ სამსახურში მისვლა მისთვის ყოველდღიური სტრესის საფუძველი იყო, მას ეშინოდა, რადგან არ იცოდა კიდევ როგორი საფრთხის და დისკრიმინაციის წინაშე შეიძლებოდა აღმოჩენილიყო. ეს ყოველივე ასევე ჩანს „ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში“, სადაც რესპონდენტების თქმით ჰომოფობიური დამოკიდებულება მათ დაბალ თვითშეფასებას უყალიბებს და საკუთარი უძლურების შეგრძნებას უჩენს.

გავლენა ეკონომიკურ მდგომარეობაზე

კიდევ ერთი საკითხი, რომლის მოკვლევაც საინტერესო იყო ჩვენი კვლევისთვის, არის დისკრიმინაციის გავლენა თემის წარმომადგენელთა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. რესპონდენტები არ აღნიშნავენ, რომ მათ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას პირდაპირი გავლენა ჰქონდა მათ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე, მაგრამ ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მათ უმრავლესობას ჰომოფობიური დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციული სამუშაო გარემოს საფუძველზე, ერთხელ მაინც მოუწია სამსახურის დატოვება. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მას არასტაბილური შემოსავალი აქვს და პერიოდულად უმუშევარია, რადგან ხშირად როდესაც სამუშაო ადგილას არაკომფორტულად გრძნობს თავს და შიშის გრძნობა ეუფლება, ტოვებს სამსახურს.

დასკვნა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 12 სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის წევრებიც შეირჩნენ მიზნობრივი შერჩევის მეთოდით, მათგან 4 დამსაქმებელი და 8 დასაქმებული პირი. თორმეტივე ინტერვიუს ანალიზისა და დამუშავების შედეგად ჩვენი პირველი ჰიპოთეზა, სექსუალური ორიენტაციის გაუმჟღავნებლობა ხელს უწყობს თემის წარმომადგენლების მიერ სამსახურის შენარჩუნებას - დადასტურდა. დავასკვნით, რომ ლგბტქ+ თემის საზოგადოებაში

ინტეგრაცია დისკრიმინაციული ქმედებებით არის შეფერხებული. შევიწროების ფაქტები სხვადასხვა სახისაა, მათ შორის, ჩვენ მიერ გამოკითხულნი გამოყოფენ: ფსიქოლოგიურ ძალადობას, შეურაცხყოფას, გარეგნობის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებასა და დასაქმებაზე უარის თქმას. ზემოთ ხსენებული შემთხვევები ძირითადად დასაქმების კერძო სექტორში გვხვდება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შრომის ბაზრის ბერკეტები კერძო სექტორში უნდა გაძლიერდეს და უფრო მკაცრად გაკონტროლდეს. მნიშვნელოვანია ასევე დაზარალებულთათვის საჩივრის წარდგენისა და მისი დამუშავების პროცესის ხელმისაწვდომობა. აუცილებელია, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც მიიღებს და განიხილავს მსგავს საჩივრებს, რათა დამსაქმებელი მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს თანამშრომლების უფლებებს.

ჩვენი მეორე საკვლევი საკითხი, დამსაქმებლის პოზიცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ლგბტქ+ თემის ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაში - დადასტურდა. კვლევამ ცხადყო, რომ დისკრიმინაციის ფაქტების თვითმხილველები იშვიათად უჭერენ მხარს დაზარალებულს, ეს მიგვანიშნებს შემდეგზე - არა მხოლოდ დამსაქმებელი, არამედ მთლიანად ქართული სოციუმი არ არის კეთილგანწყობილი ქვიარ თემის მიმართ. შესაბამისად, ვხედავთ საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების საჭიროებას, რომლის მიღწევაც სამსახურში სპეციალური ტრენინგების ჩატარებით, შიდა პოლიტიკის არსებობით, უმაღლეს სასწავლებლებში კონფერენციების და საჯარო ლექციების ორგანიზებით შეიძლება.

კვლევამ გამოავლინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ლგბტქ+ თემს სრულფასოვან ცხოვრებაში. საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულების შედეგად მოწყვლადი ჯგუფის წევრებს უყალიბდებათ არასრულფასოვნების განცდა, რაც აბრკოლებს მათ, მოიძიონ ახალი სამსახური, ამრიგად ცალსახაა, რომ ეს მოქმედებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aghdgomelashvili, E. (2018). *from prejudice to equality: LGBT persons in Georgia (part II): LGBTI persons in Georgia*. Tbilisi: Women's initiatives supporting group (WISG).
- CRRC Georgia . (2022). *Fight against Discrimination, Hate Crimes and Hate Speech in Georgia* . Council of Europe .
- CRRC საქართველო. (2018). *სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: საზოგადოების განწყობა და ინფორმირებულობა*. ბილისი: ევროპის საბჭო.
- Human Rights Council. (2019). *Report of the Independent Expert on protection against violence and discrimination based on sexual orientation and gender identity*. United Nations general assembly.
- Kite, M. E., & Whitley, B. E. (1996). *Sex differences in attitudes toward homosexual persons, behaviours, and civil right: A meta-analysis*. *personality and social psychology bulletin*.
- Natsvlishvili, A., & Aghdgomelashvili, E. (2014). *Rights of LBT women in Georgia* . Geneva, Switzerland: Womens's initiatives supporting group (WISG) .
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). (2016). *ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში*. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი .
- აღდგომელაშვილი, ე. (2016). *წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე*. თბილისი: ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი(WISG).
- გვიანიშვილი, ნ. (2015). *ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში*. თბილისი: ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.
- გოგოლაძე, თ. (2020). *სიძულვილის ენა 2020*. თბილისი: მედიის განვითარების ფონდი.
- თოლორაია, ლ., დაუშვილი, თ., & ზუბაშვილი, თ. (2022). *ლგბტ+ თემის წევრთა პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობა საქართველოში* . თბილისი: კანონის უზენაესობს ცენტრი .
- სართანია, ქ. (2017). *სტუდენტების განწყობა უმცირესობისადმი და მედიის როლი*. თბილისი: ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI).
- საქართველოს პარლამენტი. (2014 წლის 02 05). *დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*. მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>-დან

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. (1995 წლის 24 08). *საქართველოს კონსტიტუცია*. მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>-დან

საქართველოს სახალხო დამცველი. (2018). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2019). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

საქართველოს სახალხო დამცველი. (2021). *საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი. (2012). *ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში 2012*. თბილისი: ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი.

ხორბალაძე, თ. (2015). *ჰომოფობია და გენდერული იდენტობა: მედია მონიტორინგის ანგარიში*. თბილისი: მედიის განვითარების ფონდი(MDF).

ჯალაღანია, ლ. (2020). *ლგბტ ქგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში*. თბილისი: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი(EMC).

ჯალაღანია, ლ. (2021). *ლგბტ+ ქგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში* . თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველი .



ახალგაზრდების აზარტულ თამაშებზე (gambling)
დამოკიდებულება და მისი ფსიქო-სოციალური ეფექტები

ია ნადირაშვილი
მარიამ გაფრინდაშვილი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: ia.nadirashvili307@sps.tsu.edu.ge
E-mail: mariam.gaprindashvili960@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

დღევანდელ რეალობაში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება საკმაოდ გავრცელებული და აქტუალური საკითხია, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მათი მეშვეობით, თამაშების აქტიური რეკლამირებითაც არის გამოწვეული. ასევე აღსანიშნავია აზარტული თამაშების პოპულარიზება ქალაქებში არსებულ ბანერებზე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მათდამი ახალგაზრდების ინტერესის ზრდისა და თამაშის დაწყების საკითხში. ცნობილია, რომ ლუდომანია, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, ადამიანის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად აისახება. UNICEF-ის უახლესი კვლევების მიხედვით, ყოველი მე-10 ახალგაზრდა აზარტული თამაშების მომხმარებელია. შესაბამისად, კვლევის მიზანია აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შედეგად გამოწვეული ფსიქო-სოციალური ეფექტების კვლევა ლოკალურ დონეზე, ქართველი ახალგაზრდების მაგალითზე. ვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდებს - დოკუმენტების ანალიზს, ექსპერტულ და სიღრმისეულ ინტერვიუს.

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების პირადი გამოცდილებითა და ზოგადი დაკვირვებით, გამოვლინდა, რომ ლუდომანია საქართველოშიც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა ახალგაზრდებში. გამოიკვეთა აზარტული თამაშების მიერ გამოწვეული ფსიქო-სოციალური პრობლემები - სოციალური კაპიტალის რღვევა, სოციალური აშლილობა, დაბალი თვითშეფასება და საკუთარ თავში ჩაკეცვა; იდენტობის კრიზისი, დეპრესია, აგონია, უხასიათობა, ნიჰილისტური დამოკიდებულება, ნევროზი. კვლევამ გამოკვეთა აზარტული თამაშების ნეგატიური ეფექტის გაცნობიერების მნიშვნელობა და აჩვენა, რომ მეტი ინფორმირება ერთ-ერთი ბერკეტია აზარტული თამაშების „ნორმალიზების“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდები, აზარტული თამაშები, დამოკიდებულება, ფსიქო-სოციალური ეფექტები.

შესავალი

21-ე საუკუნეში აზარტული თამაშები, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს თამაშს თანხისათვის, მატერიალური ღირებულების მქონე ფსონების დადებას, რისკსა და მოგების იმედს, არის საკმაოდ აქტუალური საკითხი. Gambling Statistics-ის უახლესი მონაცემების თანახმად, დღეს მსოფლიო მოსახლეობის 26% აქტიურადაა ჩართული აზარტული თამაშების ინდუსტრიაში. ეს ნიშნავს, რომ, მსოფლიო მასშტაბით, 1.6 მილიარდი ადამიანი აქტიურად თამაშობს აზარტულ თამაშებს, ხოლო 4.2 მილიარდი ადამიანი წელიწადში ერთხელ მაინც. UNICEF-ის 2022 წლის კვლევაში კი ხაზია გასმული იმ ფაქტზე, რომ ყოველი მე-10 ახალგაზრდა აზარტული თამაშების მომხმარებელია.

საქართველოში სხვადასხვა ტიპის აზარტული სათამაშო დაწესებულება საგრძნობლად მომრავლდა, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოების მხრიდან მათდამი ინტერესსა და მათ

გამოყენებას. ამას თან ერთვის ბოლო წლების განმავლობაში არსებული ონლაინ სათამაშო პლატფორმების მზარდი რიცხვი. ამავდროულად, არსებობს სხვადასხვა ტიპის რეკლამა, რომლებიც ხელს უწყობს აზარტული თამაშების პოპულარიზებას, ხელშემწყობ ფაქტორად კი ინტერნეტ ვებგვერდები და მასმედიის საშუალებები გვევლინება. ამას ცხადყოფს ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევაც, სადაც ნათქვამია, რომ რეკლამებმა, ბოლო ათწლეულის მანძილზე, მნიშვნელოვნად გაზარდა აზარტული თამაშების ხილვადობა (University of Oxford, 2021). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვამ რეკორდულ - 52.6 მლრდ ლარს მიაღწია და წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 4.7 მლრდ ლარით გაიზარდა (ჩაკვეტაძე, 2023).

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება არა მარტო ინდივიდუალურ, არამედ საზოგადოებრივ პრობლემასაც წარმოადგენს. ამ თემასთან დაკავშირებულმა კვლევებმა წარმოაჩინა ის ძირითადი ტენდენციები და საშიშროებები, რომლებიც სწორედ აზარტული თამაშების მომხმარებელთა ფსიქოლოგიურ თუ სოციალურ ყოფასა და კაპიტალს უქმნის საფრთხეს. ჯერ კიდევ 1998 წელს ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ახალგაზრდებს, რომლებსაც აზარტული თამაშებისადმი დიდი ინტერესი აქვთ და არიან კიდევ მათი მომხმარებელნი, მრავალი პათოლოგია უვითარდებათ, იქნება ეს ქრონიკული უხასიათობა, კლინიკური დეპრესია თუ სოციალური აშლილობა (Gupta & Derevensky, 1998). ჩვენ დავინტერესდით საქართველოში, ლოკალურ დონეზე, როგორ ვლინდება ახალგაზრდებში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ფსიქო-სოციალური ეფექტები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანია, შეისწავლოს და გაანალიზოს, ურთიერთმიმართება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასა და ახალგაზრდების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას შორის, საქართველოს მაგალითზე. კვლევის ამოცანები კი შეეხება ურთიერთმიმართებას ახალგაზრდებსა და აზარტულ თამაშებს შორის და მის ეფექტს ახალგაზრდების როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციალურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევის მთავარ კითხვას წარმოადგენს - რა ფსიქო-სოციალურ ეფექტებს იწვევს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება ახალგაზრდებში.

ზემოთქმულის განსახორციელებლად სტატია შემდეგი პრინციპით არის აგებული: ის იწყება კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩოებით, მოცემული საკითხის შესახებ, საერთაშორისო და ლოკალურ დონეზე, კონტექსტის შესაქმნელად, რასაც მოჰყვება კვლევის ანალიტიკური ნაწილი შეჯამებისა და დისკუსიის სახით, ბოლოს კი წარმოდგენილია დასკვნა.

ლიტერატურის მიმოხილვა

აზარტულ თამაშებთან, მათ გამოყენებასა და თამაშის მიერ გამოწვეულ ფსიქო-სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით, მსოფლიო მასშტაბით, არაერთი კვლევა ტარდება, რომელთა ამოსავალი პრინციპიც, პირველ რიგში, აზარტული თამაშების ხელმისაწვდომობის მზარდი ტენდენციაა. როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევაშია აღნიშნული, აზარტული თამაშები

დღეისათვის უკვე აღიქმება, როგორც „დროის გატარების“ ან „ჩვეულებრივი გართობის“ მექანიზმი. ამ ყველაფერს, უპირველესად, ხელს უწყობს მისი ხილვადობა და რეკლამირების მაღალი მაჩვენებელი. მკვლევრები მუდამ ხაზს უსვამენ ფაქტს, რომ ტელევიზიასა თუ ინტერნეტში ძალიან ხშირად ვხვდებით აზარტული თამაშების პოპულარიზაციას. მაგალითად, 2018 წელს FIFA World Cup-ის ტრანსლაციისას, ITV-ზე ყოველი მეექვსე რეკლამა აზარტულ თამაშებს ეხებოდა.

კვლევამ აჩვენა რამდენად არის აზარტული თამაშები დამოკიდებული ქცევა („sticky behaviour“) და როგორ მარტივად შეიძლება იქცეს პრობლემურ საკითხად. მკვლევრებმა გამოავლინეს, რომ ექვს თვეში აქტიურ მოთამაშეთა რიცხვი 6.9%-ით გაიზარდა, ხოლო მომდევნო სამ წელში მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა.

კვლევაში ასევე განხილულია ისიც, რომ მკვლევრების მიერ ბანკიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აქტიური მოთამაშეები ნაკლებს ხარჯავენ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. ისინი მიუთითებენ, რომ ნეგატიური კავშირია აზარტული თამაშების მოხმარებასა და თავის მოვლას, განათლებასა თუ სხვადასხვა სოციალურ აქტივობას შორის. გუნდი ამტკიცებს, რომ აზარტულ თამაშებს სერიოზული ნეგატიური შედეგის ქონა შეუძლია ადამიანთა სოციალიზაციის, მათი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (University of Oxford, 2021).

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების საწყისად შესაძლოა ბევრი რამ მოგვევლინოს. აქ შეიძლება მსგავსება დავინახოთ იმ მიზეზებთან, რაც ნებისმიერი სხვაგვარი დამოკიდებულებრივი ქმედების მოტივი შეიძლება გახდეს, კერძოდ, მოიცავს როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური და სოციალური რისკის ფაქტორებს. მათ შორის, გენეტიკურ მიდრეკილებას, შფოთვის, დეპრესიას, ADHD-ის, მოთამაშეთა გარემოცვას და ა.შ.

კვლევის თანახმად, დამოკიდებული ადამიანები თამაშს არა მხოლოდ მატერიალური სარგებლის წყაროდ, არამედ სტრესსა და შფოთვისთან გამკლავების მექანიზმადაც კი ხედავენ, შესაბამისად, ის ფსიქოლოგიურად პრობლემებთან გამკლავების წყაროდ აღიქმება.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებამ, რომელსაც აზარტული თამაშების აშლილობასაც უწოდებენ, ნებისმიერი დამოკიდებულების მსგავსად, შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის სხეულს, ტვინსა და გონებას. საერთო პრობლემებად კი დროის, ფინანსებისა და სოციალური ურთიერთობების დაკარგვას განიხილავენ. რასაც საბოლოოდ სხვადასხვა სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ პრობლემამდე მივყავართ (Champion, 2021).

რაც შეეხება აზარტული თამაშებისა და ახალგაზრდების დამოკიდებულებას, ამ თემაზე ჩატარებული კვლევები მნიშვნელოვნად ფოკუსირდება თამაშების ხელმისაწვდომობისა და მათი „ნორმალიზების“ საკითხზე. მკვლევრები მიიჩნევენ, რომ სწორედ ეს ხდება აზარტულ თამაშებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიზეზი.

კვლევები აჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში იცვლება ახალგაზრდების მიერ აზარტული თამაშების აღქმა და მათი გაგება. რეკლამებისა და გარკვეული მარკეტინგული გზების შედეგად, ახალგაზრდები აზარტულ თამაშებს უკვე „ნორმალურად“ განიხილავენ. მათთვის ციფრული ცხოვრება უფრო და უფრო ემსგავსება რეალობას, შესაბამისად, ციფრული ცხოვრების აზარტულ

თამაშებთან დაკავშირება, სწორედაც რომ, ახალგაზდების აზარტულ თამაშებთან კავშირის ზრდის მიზეზად გვევლინება (Wardle, 2019).

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასთან მიმართებით უამრავი თეორიული ამხსნელი არსებობს, განსაკუთრებით საინტერესოდ იგორ კუსისცინის (1984) თეორიული ჩარჩო გვევლინება, სადაც აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულებისა და მათი ეფექტების ძირითადი ელემენტებია გამოყოფილი - როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური. ასევე ახსნილია აზარტული თამაშების უშუალოდ თამაშის პროცესი და ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ზემოხსენებულ დამოკიდებულებას იწვევს. ავტორის თქმით, ეს შეიძლება იყოს იზოლირებული გარემო, სადაც სათამაშო ადგილი სპეციალურად შემოსაღვრულია მოთამაშის კომფორტისათვის; კომპლექსური და ციკლური რეაქციები, კოგნიტური შეფასებები, ფულის დაკარგული ეკონომიკური მნიშვნელობა თამაშის მსვლელობისას; ბიოლოგიური სავარჯიშოები, როდესაც მოთამაშეები ხდებიან ემოციური - ეს შეიძლება იყოს ენთუზიაზმი, ეიფორია, იმედი, თუნდაც მხიარულება; ანდაც დაეუფლოთ უარყოფითი ემოციები: იმედგაცრუება, შიში, სასოწარკვეთა, სინანული თუ უიმედობა. აღსანიშნავია კოგნიტურ-ემოციური ნაწილების მოქმედებაც, როდესაც მოთამაშეში ვლინდება მტრობა, სიამაყე, სიხარული, აგრესია. აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულებას ყველაზე საინტერესოდ რეალობისგან გათავისუფლების ფაქტორი ხსნის, როდესაც მოთამაშეები, თამაშის პროცესში, სწრაფად ახდენენ წარმოსახვით სამყაროში ტრანსფორმირებას - ეს ფაქტორი შემდგომში იწვევს ისეთ ფსიქო-სოციალურ ეფექტს, როგორცაა იდენტობის კრიზისი. რისკიანი, განუსაზღვრელი შედეგი - რაც ინდივიდის კოგნიტიურ, ემოციურ და ფიზიკურ აღზნებას იწვევს. ინდივიდი ფიქრობს, რომ სიტუაცია უსაფრთხოა. ის რეალური მარცხისა და სოციალური სასჯელისგან თავისუფალია. მსგავსი ხედვები კი მოთამაშეს კომფორტულ მდგომარეობას უქმნის. რაც ინდივიდს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდას, წარმოსახვით სამყაროში, განცალკევებულად, სუპერეგოს კონტროლისა და ფსიქოლოგიური დაცვის გარეშე ამყოფებს (Kusyszyn, 1984).

განსახილვევლად საკმაოდ საინტერესოა დერევენსკის, შეკისა და მერიკის დამოკიდებულების ზოგადი თეორიაც. სადაც გამოყოფილია ძირითადი პოსტულატები, რომლებიც წარმოადგენენ დამოკიდებულების საერთო რისკს. დამოკიდებულების განმარტების თანახმად, პირველია სახეშეცვლილი ფიზიოლოგიური დასვენების მდგომარეობა, რომელიც მუდმივად ან მეტისმეტად აღელვებული ან ჰიპოტენზიურია და მეორე - ფსიქოლოგიური ასახვის მახასიათებელი ფაქტორი, რომელიც არის არასრულფასოვნების, უარყოფისა და დაბალი თვითპატივისცემის. შესაბამისად, „ხელშემწყობი ფაქტორების ორივე კომპონენტი უნდა თანაარსებობდეს და ახორციელებდეს შესაბამის ზეგავლენას, სანამ ინდივიდუალური სურვილი ფეხს მოიკიდებს ქცევის დამოკიდებულებით პატერნზე ხელსაყრელ გარემოში” (Derevensky, Shek & Merrick, 2011). აზარტული თამაში დროებით აბათილებს მოწყენილობასა და დეპრესიას. აქედან გამომდინარე, ინდივიდებს აქვთ უფრო მკაფიო მიდრეკილება რისკის აღებისა და შეგრძნებების ძიების, ვიდრე ჩვეულებრივ. თეორიული ჩარჩოს თანახმად, აზარტული თამაშები დამოკიდებულებითი გატაცებაა, რაც ინდივიდს შესაძლებლობას აძლევს, თავი დააღწიოს არსებულ რეალობას.

დამოკიდებულების ზოგადი თეორია ემპირიულად იქნა დატესტილი და მხარდაჭერილი ახალგაზრდა პოპულაციაში (Derevensky, Shek, & Merrick, 2011, p. 11).

კვლევისათვის, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ფსიქო-სოციალურ ეფექტებთან დაკავშირებით, არჩევანი დერევენსკის, გუფტას, დეგუაიერის, ჰარდონისა და დიქსონის ერთობლივი ნაშრომის თეორიულ ჩარჩოზე შევაჩერეთ, სადაც ცალსახადაა წარმოდგენილი ის ძირითადი პოსტულატები, რომლებსაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება იწვევს, იქნება ეს სოციალური თუ ფსიქოლოგიური ფაქტორები. ჩვენი მიზანი გახლდათ არსებული თეორიის არა დადასტურება ან უარყოფა, არამედ გაგება იმისა, თუ როგორ მუშაობს ის ადგილობრივ დონეზე - ახალგაზრდებში. ავტორები აზარტულ თამაშთან დაკავშირებული პრობლემებისა და ეფექტების ახსნას ცდილობდნენ ფსიქოდინამიკური, გენეტიკური, ბიოლოგიური, კოგნიტურ-ბიჰევიორისტული და სოციოლოგიური თეორიებით, საიდანაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ეფექტები გამოვლინდა. კონცეპტუალურად, პათოლოგიურ თამაშს აღიქვამენ, როგორც კატეგორიულ ან სპექტრულ აშლილობას. თეორიული ჩარჩოს თანახმად, ისეთი ფაქტორები, როგორცაა დამოკიდებულებრივი ქმედება, სოციალური აშლილობა, იდენტობის კრიზისი, სოციალური კაპიტალის რღვევა, ემოციურ-მენტალური პრობლემები, გარემოსთან შეუთავსებლობა, უხასიათობა, დეპრესია, აგონია, ცხოვრებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება და უკიდურესი შემთხვევა - თვითმკვლელობა, ჩვენი რესპონდენტებისათვის ნაცნობი აღმოჩნდა (Derevensky, Gupta, Haroon, Dickson, Deguire, 2003), (გარდა თვითმკვლელობისა, თუმცა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ახალგაზრდას თვითმკვლელობის შემთხვევა).

კვლევის პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობაა, მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება აზარტული თამაშების ნეგატიურ ეფექტზე, გამოიკვეთოს პრობლემის სიმძაფრე როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამავდროულად, როგორც მოთამაშეებში, ისე ახალგაზრდებში შემცირდეს საკითხის ირგვლივ ინტერესი. ვინაიდან, კვლევამ აჩვენა, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება საქართველოში საკმაოდ გავრცელებული პრობლემაა და, ასევე, გავრცელებულია ის ფსიქო-სოციალური ეფექტებიც, რაც ზემოხსენებულ თეორიულ ჩარჩოშია წარმოდგენილი.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, შეისწავლოს და გაანალიზოს, როგორი ურთიერთმიმართება არსებობს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასა და ახალგაზრდების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას შორის, საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების შესწავლის მაგალითზე.

მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

- შევისწავლოთ, როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს ახალგაზრდებსა და აზარტულ თამაშებს შორის;

- ვიკვლიოთ, როგორი ეფექტი აქვს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას ახალგაზრდების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე;
- გამოვავლინოთ, როგორი ეფექტი აქვს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას ახალგაზრდების სოციალურ მდგომარეობაზე.

თვისებრივი მეთოდოლოგიით ჩატარებული კვლევა შედეგა რამდენიმე ნაწილისგან.

ერთი ეტაპი გულისხმობს დოკუმენტების ანალიზს, რომლის ფარგლებშიც გავეცანით და გავანალიზეთ სხვადასხვა კვლევა და ლიტერატურა ახალგაზრდების აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასა და მის ფსიქო-სოციალურ ეფექტებთან დაკავშირებით.

შემდეგი ეტაპი ითვალისწინებს ექსპერტულ გამოკითხვას, თვისებრივი მეთოდოლოგიით, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით, მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე. გამოვკითხეთ ფსიქოლოგი, სოციალური ფსიქოლოგი და სოციოლოგი. ექსპერტები შეირჩნენ კონკრეტულ საკითხზე მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით. ფსიქოლოგები, რომელთაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ და, შესაბამისად, კარგად იცნობენ იმ ფსიქო-სოციალურ ეფექტებს, რასაც აზარტული თამაშები იწვევს ახალგაზრდებში. ხოლო სოციოლოგი ამ სფეროს კვლევისა და კვლევების ხელმძღვანელობის გამოცდილების მიხედვით შეირჩა.

ასევე, თვისებრივი მეთოდოლოგიით ჩატარებულ კვლევაში, ჩართული იყვნენ მიზნობრივად შერჩეული ახალგაზრდები, რომელთაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეხება ჰქონდათ, ან აქვთ, აზარტულ თამაშებთან. რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა „თოვლის გუნდის“ მეთოდით, ინფორმაცია მოვიპოვეთ სიღრმისეული ინტერვიუს სახით.

სულ გამოვკითხეთ 10 ახალგაზრდა, 19-დან 30 წლამდე. რესპონდენტთა მოძიება შევწყვიტეთ მას შემდეგ, რაც დაიწყო პასუხების გამეორება.

ინტერვიუებისას ვკონცენტრირდით ისეთ საკითხებზე, როგორცაა აზარტულ თამაშებში ჩართვის ასაკი, ამის წინაპირობა/მიზეზი/მოტივაცია, პრობლემის აქტუალურობისა და სიმძაფრის შეფასება, სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემების გამოცდილება, ძირითადი პრობლემები, რასაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება წამოჭრის ახალგაზრდებში; ასევე დავინტერესდით რესპონდენტთა აზრით აზარტული თამაშების რეკლამირებისა და პოპულარიზების თუ მათ მიმართ გარკვეული შეზღუდვების დაწესების აუცილებლობის შესახებ და მათი ხედვით, თუ რა წარმოუდგენიათ პრობლემისგან თავის დაღწევის მთავარ გზად.

შედეგები/დისკუსია

ვინაიდან კვლევა გახლავთ ანალიტიკური ხასიათის, შეგროვებული მონაცემები დერევენსკის, შეკისა და მერიკის თეორიული ჩარჩოს საფუძველზე გაანალიზდა. ჩვენი მიზანი გახლდათ, კვლევის მიგნებების დაკავშირება თეორიულ ჩარჩოსთან და ამავდროულად, არსებული თეორიის

არა დადასტურება ან უარყოფა, არამედ გაგება იმისა, თუ როგორ მუშაობს ის ადგილობრივ დონეზე - ახალგაზრდებში.

თეორიული ჩარჩოს პირველი პუნქტი და მიგნებაა **დამოკიდებულებრივი ქმედება**. ცნობილია, რომ დამოკიდებულებრივი ქმედება ემსახურება ყოველდღიური პრობლემებისა და ცხოვრებისული სტრესისგან თავის დაღწევას. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი მთავარი ინტერესის ობიექტი თავდაპირველად ფინანსური უზრუნველყოფა გახლდათ. არგუმენტად კი, სახელმწიფოში სამსახურობრივი განვითარებისა და წინსვლის არქონა დაასახელეს. ამიტომ მათთვის გამდიდრებისა და ფულის შოვნის ყველაზე იოლი და საინტერესო გზა აზარტული თამაშებია. როგორც კვლევაში მონაწილე სოციოლოგმა აღნიშნა, დღესდღეობით ახალგაზრდების დიდ ნაწილს განათლებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვს. ახალგაზრდების ხედვით, დასაქმება და სასურველი ანაზღაურების მოპოვება შეუძლებელია, ამიტომ აზარტული თამაშები მათთვის საუკეთესო გამოსავალია. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კვლევაში მონაწილე ერთ-ერთ რესპონდენტს სწორედ აზარტული თამაშებისგან გამოწვეულმა ფინანსურმა ზარალმა პირველი სამსახურის მოძიება აიძულა და დღეს რომ ის დასაქმებულია, სწორედ აზარტული თამაშების დამსახურებად მიაჩნია. დამოკიდებულებრივი ქმედების კიდევ ერთი ასპექტი რეკლამირებასთანაა დაკავშირებული, როგორც ბანერებზე, ისე მედიასა თუ ინტერნეტში.

აზარტი და ცნობისმოყვარეობა - ადამიანი საკუთარი ბუნებით გახლავთ მოთამაშე, იგივე ჰომოლუდენსი. ეს ფენომენები ზოგიერთ პიროვნებაში განსაკუთრებულად გააქტიურებულია და აზარტული თამაშების პირდაპირ მოთხოვნილებას იწვევს. როგორც კვლევაში მონაწილე ფსიქოლოგმა აღნიშნა, ცნობისმოყვარეობის ფაქტორი ახალგაზრდებში განსაკუთრებულად მაღალია, რაც მეტად უბიძგებს მათ აზარტული თამაშებით დაინტერესებისკენ, რისი დაძლევაც, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ისეთივე რთულია, როგორც წამალზე დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა. რაც, ვფიქრობთ, რომ შემდგომი სიღრმისეული კვლევის ჩატარების იდეასაც ბადებს. აზარტული თამაშების რეკლამებში, ძირითადად სტერეოტიპული, შესაძლო გამდიდრების იდეები გვხვდება. რეკლამები მოუწოდებს ადამიანებს, რომ აზარტული თამაშები დიდი სიამოვნება, ილბალი და გართობაა. ეს სტერეოტიპული აზრები მოკლებულია სიმართლეს, ის სიტუაციურ განწყობებზეა ორიენტირებული, რასაც ძირითადად სწორედ ახალგაზრდა შეიძლება წამოეგოს. შესაბამისად, მარტივი წარმოსადგენია, რომ მოზარდზე მსგავსი რეკლამები იოლად ახდენს გავლენას, რაც თამაშზე დამოკიდებულების მაპროვოცირებელი მიზეზი შეიძლება გახდეს. კვლევაში მონაწილე რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ამგვარ რეალობაში ისინი კარგავენ ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, ზოგად სოციალურ კავშირებს და, რაც მთავარია, მათ ნდობას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მძიმეა მაშინ, როდესაც ინდივიდის ნებისყოფა შესაძლოა ადვილად მოექცეს გავლენის ქვეშ.

დროის არასწორი მენეჯმენტი - აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დროის არასწორი მენეჯმენტია, როგორც რესპონდენტებმა, ისე ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ინტერესის სფეროს არქონა და ზედმეტი თავისუფალი დრო გახლავთ უდიდესი ფაქტორი ახალგაზრდებში აზარტული თამაშების დამოკიდებულების გაღვივებისა.

სოციუმის როლი

სამეგობრო/ სანაცნობო წრე - ჩვენი კვლევის მთავარი ინტერესის ობიექტი სწორედ ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შესწავლაა. სოციუმი, როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთი უმთავრესი ცნებაა აზარტულ თამაშებთან მიმართებით. ვინაიდან რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ სწორედ გარემომ, სამეგობრომ თუ სანაცნობო წრემ აიძულა, ან უბიძგა პირველად აზარტული თამაშების სფეროში შეღწევა. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, უმეტესად სწორედ სამეგობრო წრიდან დაიწყო აზარტული თამაშებისადმი მცირე ინტერესი, რომელიც შემდგომ მისდამი მწვავე დამოკიდებულებაში გარდაიზარდა.

გარემო - რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ქუჩა და უბანი, ქუჩის ავტორიტეტები და ის ადამიანები, რომლებიც სოციალური თუ ეკონომიკური კაპიტალით გამოირჩევიან, დიდ გავლენას ახდენენ ახალგაზრდებზე. კვლევაში მონაწილე ექსპერტების ხედვით, ახალგაზრდებს ხშირად აქვთ სურვილი ქუჩის ავტორიტეტებად იქცნენ. ცხოვრების სწორედ ამ ეტაპზე ყალიბდება მათი შეხედულებები და ზოგადად პიროვნება. შესაბამისად, ხშირად იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს გარემო, რომელშიც იზრდება ინდივიდი. სწორედ საცხოვრებელ გარემოში იწყება ახალგაზრდის სოციალიზაცია, რაც გულისხმობს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე დასწავლის პროცესს. სოციალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, მოზრდილების ქცევაზე, მსოფლმხედველობასა და მოქმედებაზე ახდენს გავლენას. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზაციის პროცესები სწორედ ადრეულ ასაკში ხდება განსაკუთრებული ცხოვრებისეული სტილის ჩამოყალიბების საფუძველი. **ოჯახი** - ამ თვალსაზრისით ეთნიკურობა, რწმენა, კოლექტივისტური ღირებულებები, ნათესავები, ოჯახისშვილობა მნიშვნელოვანი ფაქტორებია. რთულია ისეთი ტიპის კვლევის მოძიება, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ყველა პერსპექტივას შეისწავლის, თუმცა ჩვენი კვლევა მდიდარია ისეთი ინფორმაციით, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდებში აზარტული თამაშების მიერ გამოწვეულ იდენტობის კრიზისთანაც.

იდენტობის კრიზისი - თავისუფალ ნებაზე უარის თქმა. ჯგუფის წევრობა. კვლევაში მონაწილე სოციალურმა ფსიქოლოგმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდი ძლიერი ლიდერის მქონე სოციუმში ხვდება, ლიდერის, რომელიც კარგი მოთამაშე და მოდერატორია, ახალგაზრდა, რომლის გონებაცა და ზოგადი მისწრაფებებიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, თავისუფლად ხდება მიმყოლი და ამგვარ სოციალურ ჯგუფში საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ცდილობს. შესაძლოა, ჯგუფში საკუთარი ადგილი იპოვოს, ან პირიქით, იდენტობაც კი დაკარგოს. მსგავსი შემთხვევები კი მრავლად შეინიშნებოდა კვლევაში მონაწილე რესპონდენტების პასუხებში. არსებობს შინაგანი (როდესაც ჯგუფში იქცევი ისე, როგორც ყველა და ასევე ფიქრობ ჯგუფის გარემოც) და გარეგანი (როდესაც ინდივიდუალურად ფიქრობ, რომ არასწორად იქცევი, მაგრამ ჯგუფთან ყოფნისას ინდივიდუალურ მოწოდებას უგულებელყოფ) კონფორმულობა, რესპონდენტების უმრავლესობა სწორედ გარეგანი კონფორმულობის წარმომადგენელი არიან. მათი თქმით, საცხოვრებელ გარემოში, სანაცნობო წრეში არსებული იმპულსები, მათში უდიდეს გავლენას ახდენს ინტერესის გაღვივების კუთხით და ხშირად საკუთარ იდენტობაზეც კი უარი უთქვამთ, კოლექტივის დომინირებისა თუ გავლენის გამო. რესპონდენტების თქმით, ჯგუფის

წესები გვკარნახობს, რომ თუკი მის რომელიმე წევრს სჭირდება დახმარება, ამ შემთხვევაში, ფულადი, სხვა წევრები ვალდებული არიან მოიძიონ თანხა. შესაბამისად, ჯგუფის ფუნქციონირება და ის მექანიზმი, რომელიც ინდივიდს თავს მის წევრად აგრძნობინებს, „აიძულებს“ გააკეთოს ის, რასაც ჯგუფი მისგან მოითხოვს. როგორც კვლევაში მონაწილე სოციალურმა ფსიქოლოგმა აღნიშნა, ახალგაზრდებში დისპოზიციური განწყობები, ანუ ქცევითი ნორმები და პიროვნებისთვის მნიშვნელოვანი ფასეულობები ჩამოყალიბების პროცესშია, ეს კი ხშირად იწვევს კონფლიქტს ოჯახთან, ახლობლებსა თუ მეგობრებთან, რასაც საკმაოდ ბევრმა რესპონდენტმაც გაუსვა ხაზი.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა **სოციალურ აშლილობას უკავშირდება**, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში საკუთარი თავის წარმოჩენის შიშს, დაბალ თვითშეფასებასა და საკუთარ თავში ჩაკეტვას გულისხმობს. თვითგაცხადების შიში - როდესაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ახალგაზრდების თვალში მშობლები, ახლობლები, მეგობრები მსაჯულები ხდებიან. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საკუთარ თავებს დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მოუზადებლად მიიჩნევდნენ, მათში გაიზარდა არასრულფასოვნების განცდაც. აზარტზე დამოკიდებული ახალგაზრდა იზოლირდება საზოგადოებისგან. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ არ გააჩნდათ სურვილი და, რაც მთავარია, უნარი იმისა, რომ ყოფილიყვნენ აქტიური მოქალაქეები, ჩართულიყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სხვა ქვეყნებისა თუ საქართველოს გამოცდილება საკმაოდ დიდი ხანია ადასტურებს, რომ დამოკიდებულების პრობლემა საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და ის ნებისმიერი მოქალაქის, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას.

ასევე, ხაზი უნდა გავუსვათ, როგორც რესპონდენტების, ისე ექსპერტების მიერ გამოვლენილ ყველაზე მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემებს, როგორცაა:

უხასიათობა, ნიჰილისტური დამოკიდებულება, ნევროზი, აგონია, სუიციდი.

ახალგაზრდა მოთამაშეებში ვლინდება კავშირი ჯანმრთელობის მენტალურ, პიროვნულ რღვევასთან, დეპრესიასთან, მღელვარებასთან, პარანოიასთან და მათ შორის, კრიმინალურ აქტივობასთან. აზარტულ თამაშებთან ახალგაზრდების მიმართებაში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებად გამოიკვეთა მშობლის როლი, კონკრეტულად, ყურადღების დაბალი ხარისხი. ამის საპირისპიროდ, კვლევაში მონაწილე ექსპერტებიცა და რესპონდენტებიც აღნიშნავენ, რომ ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდი, როგორც არის მფარველობის მექანიზმი, მშობელთან სიახლოვის მაღალ დონესთანაა დაკავშირებული, რაც ძირითადად ყურადღებას გულისხმობს. ეს უზრუნველყოფს აზარტულ თამაშებში ახალგაზრდების მინიმალური დოზით ჩართულობას (Derevensky, Shek, & Merrick, 2011).

გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, აზარტული თამაშები მძიმე ზემოქმედებას ახდენს მოთამაშის ფსიქიკაზე. იწვევს ფსიქოლოგიურ ტრავმას მოთამაშეში, რაც მას მეტად მიჯაჭვულსა და დამოკიდებულს ხდის. დღეს უკვე ცნობილია, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება დაავადებაა (გიორგაძე, 2013). უხასიათობა, ნიჰილისტური დამოკიდებულება, ხასიათის სწრაფი ცვლილება, პანიკური შეტევები, ინფანტილური ქცევა - სწორედ ფსიქოლოგიური პრობლემების

გამომხატველი ფაქტორებია. ერთ-ერთმა რესპონდენტმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ახლობელი „მოგების“ ფორმულის შექმნას ცდილობდა, თუმცა, მან ეს ვერ შეძლო, სოლიდური თანხა წააგო და სიცოცხლე სუიციდით დაასრულა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის პროცესში ახლებურად შეფასდა და გაანალიზდა არსებული სოციალური პრობლემა, რესპონდენტებისა და ექსპერტების გამოცდილებების საფუძველზე, რამაც კვლევას დამატებითი ვალიდაცია შესძინა. კვლევამ გამოავლინა ახალგაზრდების აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შედეგად გამოწვეული როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციალური პრობლემები. მათ შორის: სოციალური კაპიტალის რღვევა, რაც გულისხმობს სანაცნობო წრესთან კონფლიქტს, ნდობის დაკარგვას და ა.შ; ასევე სოციალური აშლილობა - სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში საკუთარი თავის წარმოჩენის შიში, დაბალი თვითშეფასება და საკუთარ თავში ჩაკეტვა; იდენტობის კრიზისი, დეპრესია, აგონია, უხასიათობა, ნიჰილისტური დამოკიდებულება, ნევროზი.

კვლევისთვის ერთ-ერთი ძირითადი მიზნებაა ის, რომ საჭიროა გაიზარდოს საკითხის შესახებ ინფორმირებულობა საზოგადოების ცალკეულ წევრებს შორის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, და ხაზი გაესვას იმას, თუ როგორი მავნეა აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება, როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. გამოვლინდა ისიც, რომ ეს პრობლემა არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული ინსტიტუციის პრობლემა. ეს გახლავთ ეროვნული/საყოველთაო პრობლემა. საჭიროა, როგორც სახელმწიფოებრივმა, ისე საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა მოახდინონ რეფლექსია არსებულ საკითხებზე.

ბიბლიოგრაფია

გიორგაძე, თ. (2013). „ზოგიერთი ასპექტი აზარტული თამაშების ისტორიიდან“ პროფესიონალის ხმა #1.გვ 4-10 პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, ქუთაისი.

ჩაკვეტაძე, კ. (2023). „როგორია ონლაინ აზარტული თამაშების კომპანიების შემოსავალი საქართველოში?“ Forbes Georgia.

Champion, C. (2021). *Gambling addiction can cause psychological, physiological health challenges*. Ucla Health.

Derevensky, J., Gupta, R., Hardoon, K., Dickson, L., & Deguire, A. (2003). *Youth Gambling*. New York: Prometheus Books.

Derevensky, J., Shek, D., & Merrick, J. (2011). *Youth Gambling The hidden addiction*. Walter de Gruyter GmbH & Co. KG, Berlin/Boston.

Gupta, R., & Derevensky, J. (1998). *An empirical examination of Jacob's General Theory of Addictions: Do adolescent gamblers fit the theory?* Journal of Gambling Studies, 14. 17-29.

Kusyszyn, I. (1984). *The psychology of gambling*. Sage Publications, Inc. in association with the American Academy of Political and Social Science.

Unicef. (2022). *Engagement of adolescents in gambling is alarmingly high in Georgia*. Unicef Georgia.

University of Oxford. (2021). *Gambling research: The 'fun' can stop with unemployment, ill- health and even death*. University of Oxford.

Wardle, H. (2019). *Perceptions, people and place: Findings from a rapid review of qualitative research on youth gambling*. London School of Hygiene and Tropical Medicine, 15-17 Tavistock Place, London WC1H9SH, United Kingdom.

<https://www.casino.org/features/gambling-statistics/>



პარტიული ევროსკეპტიციზმი საქართველოში: 2021-2023 წლებში

დimitრი შავლოხაშვილი
თამარ კირკიტაძე

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის და მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

E-mail: dimitri.shavlokhshvili442@sps.tsu.edu.ge

E-mail: tamunakirkitadze26@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში, წარმოდგენილია პარტიული ევროსკეპტიციზმის კვლევა საქართველოში, 2021-2023 წლებში, კერძოდ, 2021 წლის შარლ მიშელის შეთანხმებიდან, 2023 წლის ჩათვლით, კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე. სტატის მიზანია იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რამაც საქართველოს პარტიულ სივრცეში აღნიშნული ევროსკეპტიკური განწყობების წარმოქმნა და მისი შემდგომი განვითარება განაპირობა. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუები, კონტენტ-ანალიზი, საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და დოკუმენტების ანალიზი. კვლევა ცდილობს, შჩერბაკისა და ტაგარტის (2003) „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის თეორიის დახმარებით, ახსნას საქართველოში არსებული ევროსკეპტიციზმის სახეები პარტიულ სივრცეში. ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა, რომ პარტიულ ევროსკეპტიციზმს საქართველოში „რბილი“ და „ხისტი“ განცხადებების სახესხვაობები განაპირობებს. ამრიგად, ნაშრომი ფოკუსირებულია იმაზე, რომ კვლევის მეშვეობით დაამტკიცოს ან უარყოს აღნიშნული ჰიპოთეზა. კვლევა არის სიახლე იმდენად, რამდენადაც მოცემული თემის შესახებ ქართული აკადემიური წყაროები, ფაქტობრივად, არ არსებობს. სტატია მიზნად ისახავს, გარკვეული სიახლე შემატოს და ზოგადი ცოდნით გაამდიდროს არსებული აკადემიური სფერო. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ამოცანები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- საკითხთან დაკავშირებული მეორეული წყაროების შესწავლა
- ქართველი პოლიტიკოსების განცხადებების შესწავლა
- სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება დარგის ექსპერტებთან
- პოლიტიკური თეორიების დაკავშირება აღნიშნულ საკითხთან
- შედეგების წარმოდგენა და განზოგადება

საკვანძო სიტყვები: ქართული პოლიტიკური ელიტა, ევროსკეპტიციზმი, ევროკავშირი, „რბილი ევროსკეპტიციზმი“, „ხისტი ევროსკეპტიციზმი“.

შესავალი

ევროკავშირი, როგორც ცნობილია, სათავეს 1950-იანი წლებიდან იღებს. 1951 წელს, ევროპის ფოლადისა და ქვანახშირის გაერთიანება ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ, 1958 წელს, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (Meunier & Namara, 2007). თავდაპირველად ევროკავშირის მიმართ დადებითი დამოკიდებულება არსებობდა, რაზეც მისი გაფართოებებიც მეტყველებს, თუმცა ევროპული ინტეგრაციის მიმართ თანდათან უარყოფითი დამოკიდებულება გაჩნდა. ყველაზე მეტად დიდი ბრიტანეთი აქტიურობდა, რასაც ლეიბორისტული პარტიის დეპუტატის, ტონი ბენის 1975 წელს წარმოთქმული სიტყვებიც მოწმობს - „ჩემი შეხედულება ევროკავშირის შესახებ ყოველთვის იყო არა! არა იმიტომ რომ მე მტრულად ვარ განწყობილი უცხოელების მიმართ, არამედ იმიტომ, რომ მე ვარ დემოკრატიის მომხრე. მე ვფიქრობ, რომ ისინი იქ აშენებენ იმპერიას და მათ უნდათ, რომ ჩვენც მათი იმპერიის ნაწილი ვიყოთ და მე არ მინდა ეს“ (Benn, 1975).

ევროსკეპტიკური დამოკიდებულებები ახალი არ არის, ვინაიდან მისი განმაპირობებელი რამდენიმე მოვლენა ჯერ კიდევ 2004 წელს, ევროკავშირის გაფართოებისას გამოიკვეთა, როდესაც წევრ ქვეყნებს ათი ახალი სახელმწიფო და დაახლოებით 75 მილიონი მაცხოვრებელი დაემატა (Zaiceva & Zimmermann, 2016). უკმაყოფილება ევროკავშირის მიმართ გაიზარდა, რადგან გაფართოებაში მოყვნენ აღმოსავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები, რომლებიც ტერიტორიულად ახლოს იყვნენ არაწევრ ქვეყნებთან. ევროსკეპტიციზმი, როგორც ერთგვარი ფენომენი, უფრო და უფრო ვრცელდება ევროპულ პოლიტიკურ დისკურსში, რომელიც აღნიშნავს სკეპტიციზმს, ან აშკარა წინააღმდეგობას ევროკავშირის, მისი პოლიტიკის და მისი ინსტიტუტების მიმართ. ევროკავშირი, როგორც ევროპულ ქვეყნებს შორის გაერთიანების პროექტი, არ ყოფილა თავისი მოწინააღმდეგეების გარეშე. ევროსკეპტიციზმი, რომელიც მოიცავს ევროკავშირის კრიტიკის მთელ რიგს, განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა, რაც, ერთი მხრივ, გამოწვევებს უქმნის ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და მათ მთავრობებს, მეორე მხრივ ხელს უშლის სხვა არაწევრი ქვეყნების დაინტერესებას, გახდნენ ევროკავშირის წევრი და მიიღონ ის სარგებელი, რომელსაც სხვა წევრი ქვეყნები იღებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მის წევრ ქვეყნებს შორის მშვიდობის, სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა, ევროსკეპტიკური სენტიმენტები სულ უფრო და უფრო ვრცელდება თანამედროვე მსოფლიოში. საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია საქართველოსთვისაც, იქნება ეს პარტიული თუ საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი. აღნიშნული კუთხით, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ ისეთ პრობლემაზე, როგორცაა საქართველოში მომძლავრებული ულტრამემარჯვენე და ნაცონალისტურად განწყობილი ჯგუფები, რომლებიც ქართულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ სივრცეში აკეთებენ ისეთ განცხადებებს და ხელს უწყობენ ისეთი რიტორიკის გავრცელებას, რომელიც გაზრდის ევროკავშირის მიმართ სკეპტიციზმსა და უარყოფით დამოკიდებულებებს, მათ შორის, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ანტი-მიგრანტულ რიტორიკას (სადუნიშვილი, 2019), რაც ევროსკეპტიკურ განწყობებს კიდევ უფრო ამძლავრებს და ხელს უშლის საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს. საინტერესოა ქართული პოლიტიკური პარტიების განწყობები შარლ მიშელის მიერ 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებულ შეთანხმებასთან (EEAA, 2021) დაკავშირებით. რაც მთავარია, ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფი ევროსკეპტიკურ პოზიციებს გამოხატავს. მნიშვნელოვანია რამდენად იმოქმედა პოლიტიკურ პარტიებზე ევროპული საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის არმინიჭების თაობაზე (რადიო თავისუფლება, 2022) და რა მიმართულებით შეცვალა პოლიტიკური რიტორიკა. საგულისხმოა პარტიული ევროსკეპტიციზმის შესწავლა, ვინაიდან იგი არც ისე ნაცნობია ქართულ აკადემიურ სივრცეში და ქართულენოვან სფეროში საერთოდ რთულია მისი პოვნა, თუმცა გვაქვს მნიშვნელოვანი სტატია - „Party-Based Euroscepticism: The Case of Georgia“ ჟურნალ „The Journal of Post-Soviet Democratization“-ში, რომელშიც საქართველოში პარტიული ევროსკეპტიციზმის გამომწვევი ფაქტორებია ახსნილი.

ევროსკეპტიკურ რიტორიკასა და პოლიტიკას აქვს პოტენციალი გაამძაფროს განხეთქილება, როგორც წევრ, ისე არაწევრ ქვეყნებს შორის, რაც ძირს უთხრის ისეთი საერთო გამოწვევების გადაჭრის მცდელობებს, როგორებიცაა მიგრაცია, უსაფრთხოება, ეკონომიკური ზრდა,

დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება და სხვა. გარდა ამისა, ევროსკეპტიციზმთან ასოცირებული ნაციონალისტური და პოპულისტური ძალის აღორძინება საფრთხეს უქმნის ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებს, მათ შორის საქართველოშიც, თანაც იმ ფონზე, რომ ქვეყანამ სულ რაღაც 30 წელზე ოდნავ მეტია, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა და შესაბამისად, ჯერ კიდევ დემოკრატიზაციის გზაზე იმყოფება. საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობა მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს, რომლის მიღწევაც შეუძლებელი იქნება თუ ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და მთლიანად პოლიტიკურ სპექტრში იარსებებს ევროსკეპტიკური დამოკიდებულებები, იქნება ეს „რბილი“ თუ „ხისტი“ ევროსკეპტიციზმი (Taggart & Szczerbiak, 2003). შესაბამისი აკადემიური ლიტერატურის შესწავლით, გაანალიზებითა და დამუშავებით, ვეცდებით გამოვიკვლიოთ ქართული პოლიტიკური პარტიების ევროსკეპტიციზმი, კერძოდ კი ის, თუ რით არის ნასაზრდოები და რა სახით ვლინდება ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგში.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კონტენტ-ანალიზი. დავამუშავეთ უკვე არსებული ოფიციალური მონაცემები, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე. არსებული სტატიების გაცნობა და გაანალიზება ჩვენ მიერ დასმული საკითხის სრულყოფილად გამოკვლევაში დაგვეხმარა. იმისათვის, რომ არ დავყრდნობოდით მხოლოდ არსებულ კვლევებსა და მიგნებებს, ჩავატარეთ ექსპერტული სიღრმისეული ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან, კომპეტენტურ პირებთან და რაც ყველაზე მთავარია, მოქმედი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან. ვფიქრობთ, ეს მიდგომა მაქსიმალურად დაგვეხმარა კვლევის სრულყოფასა და სიახლეების შემოტანაში. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში ინტერვიუებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ ZOOM-ონლაინ პლატფორმა.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებთან მიმართებით, გამოვიყენეთ არაალბათური მიზნობრივი შერჩევა. აღნიშნული ნაშრომის კვლევის ობიექტებს წარმოადგენენ საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები და მათი წევრები, აგრეთვე ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. ნახევრად-სტრუქტურირებული სიღრმისეული (ექსპერტული) ინტერვიუები ჩატარდა დარგის ექსპერტებთან, კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია - ინტერვიუს გზამკვლევი. კვლევის მიზანია იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომლებმაც საქართველოს პარტიულ სივრცეში, აღნიშნული ევროსკეპტიკური განწყობების წარმოქმნა და მისი შემდგომი განვითარება განაპირობა. კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- საკითხთან დაკავშირებული მეორეული წყაროების შესწავლა
- ქართველი პოლიტიკოსების განცხადებების შესწავლა
- სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება დარგის ექსპერტებთან
- პოლიტიკური თეორიების დაკავშირება აღნიშნულ საკითხთან
- შედეგების წარმოდგენა და განზოგადება

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, ჩამოყალიბდა კვლევის კითხვები:

- რა თავისებურებებით ხასიათდება ქართული პოლიტიკური ელიტის რიტორიკა ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტებისადმი კვლევის პერიოდში.
- განსხვავდება თუ არა პოლიტიკური პარტიების რიტორიკა ევროკავშირის მიმართ?
- რა ძირითადი განმარტებელი ფაქტორები არსებობს, რომელიც წარმოშობს არსებული რიტორიკის სხვაობას?

კვლევისთვის შეირჩა ქართული ონლაინ გამოცემები - „რადიო თავისუფლება“ „Publika.ge“, „Netgazeti.ge“, „Ipn.ge“. კვლევის ფარგლებში შესწავლილია აღნიშნული ონლაინ გამოცემების მიხედვით, ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების განცხადებები ევროკავშირთან და მის ინსტიტუტებთან მიმართებით, საქართველოსათვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამდე და მას შემდგომ. განცხადებები მოვიძიეთ სამი ძირითადი კოდის გამოყენებით: „ევროპა“, „ევროკავშირი“, „ევროპული“ და მათგან ნაწარმოები სიტყვები, ხოლო კოდირება-კატეგორირების შემდეგ მონაცემები დაიყო სამ თემატურ ჯგუფად: ხისტ, რბილ და არაევროსკეპტიკურ განცხადებებად.

აღნიშნული ინტერნეტ გამოცემები რამდენიმე მიზეზის გამო შეირჩა, კერძოდ, მათში ჩანს შედარებით ნეიტრალური ხასიათი პოლიტიკური მიკუთვნებულობის პერსპექტივიდან. აგრეთვე, საკვლევი პერიოდის განმავლობაში არ ჰქონიათ რაიმე შეფერხება და აქტიურად აშუქებდნენ ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ასევე ინტერნეტ სივრცეში ნახვების მიმართულებითაც წარმოადგენენ მოწინავე გამოცემებს. შესაბამისად, ამ მედიასაშუალებებზე სწორედ ჩამოთვლილი მიზეზების გამო გავაკეთეთ არჩევანი.

თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ტაგარტისა და შჩერბიაკის (2003) Theosing Party-Based Euroscepticism: Problems Of Definition, Measurement And Causality - ნაშრომი, ვინაიდან და რადგანაც, ავტორები პარტიების ორ ძირითად კატეგორიას გამოყოფენ, ეს კატეგორიებია - „ხისტი“ და „რბილი“ ევროსკეპტიციზმი. თეორია საშუალებას მოგვცემს გავიგოთ და გავანალიზოთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში არსებული ევროსკეპტიციზმი და შესაბამისად, მივაკუთვნოთ ისინი „რბილი“ ან „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის პარტიულ ტიპებს. „რბილ ევროსკეპტიციზმში“ საერთო ევროპული პოლიტიკის გარკვეული ასპექტების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება იგულისხმება. „ნაწილობრივი ოპოზიცია“ ორგანიზაციის მიმართ, გრძნობა იმისა, რომ „ევროკავშირის განვითარების ტრაექტორია და მოდელი“ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ინტერესს არ შეესაბამება. „რბილი“ ევროსკეპტიკოსები ევროკავშირის დატოვებას არ ემხრობიან, მაგრამ არც შემდეგი ინტეგრაციის მიმართ ავლენენ დადებით დამოკიდებულებას. მიუხედავად ამისა, ღიად უარყოფენ ევროკავშირის ისეთ ასპექტებს როგორცაა: მიგრაციის მაჩვენებელი, ევროკავშირის ვალუტა, ეკონომიკური პოლიტიკა და ცვლილებებს მოითხოვენ. ხოლო, „ხისტი“ ევროსკეპტიციზმი, ევროკავშირისა და ევროპული ინტეგრაციის მიმართ „პრინციპული ოპოზიცია“-ის არსებობით განისაზღვრება და იმ პოლიტიკურ პარტიებს აერთიანებს, რომლებიც თვლიან, რომ მათმა ქვეყანამ ევროკავშირი უნდა დატოვოს, შესაბამისად, ყოველგვარ პოლიტიკას, იქნება ეს ეკონომიკური თუ პოლიტიკური, მკაცრად ეწინააღმდეგებიან. აგრეთვე, ევროკავშირი მათთან უარყოფითი ღირებულებების მატარებლად

წარმოჩინდება. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ის ქართული პარტიები, რომლებიც პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნიან, ან გარკვეული წვლილი შეაქვთ მის განხორციელებაში.

აღნიშნული თეორიული ჩარჩო შეირჩა იმის დასადგენად, რომ გავიგოთ, რა სახის ევროსკეპტიკურ პარტიებს ვხვდებით საქართველოში, 2021-2023 წლების საკლვევ პერიოდში. ვფიქრობ თეორიული ჩარჩო საშუალებას მოგვცემს, ავხსნათ ის ძირითადი ტენდენციები და მახასიათებლები, რომლითაც ხასიათდება ქართული პოლიტიკური სპექტრი და კონკრეტულად ევროკავშირის რომელი პოლიტიკით არიან უკმაყოფილონი, მიგრაციული პოლიტიკით, საერთო ვალუტით, სხვა რომელიმე ღირებულება თუ ზოგადად უარყოფენ ევროკავშირში გაწევრიანებას მისი ყოველგვარი პოლიტიკის გამოვლინებით, იქნება ეს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა. ორივე შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ პოლიტიკოსთა განცხადებების შესწავლა საშუალებას მოგვცემს მივაკუთვნოთ საქართველოში არსებული პარტიები ევროსკეპტიციზმის კონკრეტულ კატეგორიას. აღნიშნული თეორიული ჩარჩო მიგვიყვანს იმ მიზნამდე, რომელიც იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენაა, რამაც საქართველოს პარტიულ სივრცეში, აღნიშნული ევროსკეპტიკური განწყობების წარმოქმნა და მისი შემდგომი განვითარება განაპირობა. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ კავშირი, ერთი მხრივ ქართული პოლიტიკური სპექტრის მიერ გაკეთებულ ევროსკეპტიკურ განცხადებებსა და მეორე მხრივ ტაგარტისა და შჩერბიაკის ტიპოლოგიას შორის, რადგანაც აღნიშნულის გარეშე, კვლევის მიმდინარეობას მეტად გაუმართავი, არასტრუქტურირებული და აღწერითი ხასიათი ექნება. ტიპოლოგიისა და კონტენტ ანალიზის მეთოდის კავშირით ჩვენ არა მხოლოდ აღვწერთ ამა თუ იმ პარტიის განცხადებებსა და მივაკუთვნებთ რომელიმე ტიპოლოგიას, არამედ ავხსნით, რატომ და რა ნიშნით მივაკუთვნეთ აღნიშნული პარტია, კონკრეტულ კატეგორიას.

ლიტერატურის მიმოხილვა

პარტიაზე დაფუძნებული ევროსკეპტიციზმის კვლევა და გაანალიზება მეცნიერებისა და მეცნიერთათვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან არაერთი ტიპოლოგია არსებობს და თითოეული აღნიშნულ ტერმინს თავისი პრიზმიდან უყურებს. რა თქმა უნდა, ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ვინაიდან მათთვის დამახასიათებელი კონკრეტული ნიშან-თვისებები აქვთ, თუმცა გარკვეული გადაკვეთებიც არის. ევროსკეპტიციზმის ყველაზე მეტად გავრცელებულ ტიპოლოგიას ტაგარტი და შჩერბიაკი გვთავაზობენ საკუთარ ნაშრომებში ჯერ - „Parties, Positions and Europe: Euroscepticism in the EU Candidate States of Central and Eastern Europe“ -ში (2001), ხოლო შემდეგ „Theosing Party-Based Euroscepticism: Problems Of Definition, Measurement And Causality“ -ში (2003). პარტიული ევროსკეპტიციზმის განსაზღვრისა და დიფერენცირებისას „ხისტ“ და „რბილ“ ევროსკეპტიციზმს გამოყოფენ (Taggart & Szczerbiak, 2003). „ხისტი“ ევროსკეპტიციზმი, რა თქმა უნდა უფრო რადიკალური ვერსიაა და ევროპული ინტეგრაციის ყველა ფორმას ეწინააღმდეგება, რადგან მათ არ აქვთ სურვილი იყვნენ ასეთი კავშირის წევრები. ისინი ევროკავშირს, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით ეწინააღმდეგებიან. სწორედ ამიტომ, მსგავსი ხედვის მატარებლები მიიჩნევენ, რომ ყველა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინსტიტუტის დატოვებაა საჭირო. მსგავსი ხედვის რწმენა იმაზეა დაფუძნებული, რომ ევროკავშირი უარყოფითი ღირებულებების მქონე გაერთიანებაა, რომელიც მათ ხედვებთან სრულიად

შეუთავსებელია. რაც შეეხება ევროსკეპტიციზმის მეორე ფორმას, „რბილი“ ევროსკეპტიციზმი ისეთი შემთხვევაა, როდესაც პარტიები თვლიან, რომ მათი ქვეყნის ეროვნული ინტერესები იმ დონით არ არის გათვალისწინებული, როგორც ეს უნდა იყოს. „ხისტი“ ევროსკეპტიციზმისგან განსხვავებით, ისინი პირდაპირ არ არიან ევროკავშირში გაერთიანების წინააღმდეგ მიმართულნი. შესაბამისად, „რბილი“ ევროსკეპტიკოსები, არათუ არ ეწინააღმდეგებიან ევროკავშირის მომავალ ინტეგრაციას, არამედ არც მის დატოვებას ემხრობიან. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი არსებულ რეალობას ეგუებიან, სწორედ, რომ „რბილი“ ევროსკეპტიციზმის მატარებლები ეწინააღმდეგებიან არსებულ სტატუს-ქვოს, მოწყობას, პრაქტიკას და შესაბამის ცვლილებებს მოითხოვენ. რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები თითოეული ქვეყნის ეროვნულ ინტერესთანაა დაკავშირებული. (Taggart & Szczerbiak, 2003). მოცემულ ტიპოლოგიას რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი აქვს. ჯერ ერთი, ხშირია შემთხვევა, როდესაც კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, როგორც „რბილი“, ასევე „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის ნიშან-თვისება გააჩნია და ხდება გადაფარვა. არ არსებობს რაიმე მყარი კონსესუსი, თუ სად უნდა გავავლოთ ზღვარი. აღნიშნული შემთხვევის თვალსაჩინო მაგალითია თურქეთის ულტრანაციონალისტური „ნაციონალური მოძრაობის“ პარტია, რომელიც, როგორც „ხისტ“, ისე „რბილ“ პოლიტიკურ პარტიადაა მიჩნეული (Gulmez, 2020). ასევე, მსგავსი შემთხვევა გვაქვს ჩეხეთში, „ბოჰემიისა და მორავიის კომუნისტური პარტიის“ შემთხვევაში (Gulmez, 2020).

ტიპოლოგიის კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ შჩერბიაკმა და ტაგარტმა თავდაპირველად თავიანთი ტიპოლოგია „ევროკავშირის“ წევრი ქვეყნების პარტიული შეხედულებებიდან გამომდინარე ჩამოაყალიბეს და შესაბამისად, ეს ტიპოლოგია ვერ იძლეოდა საშუალებას, რომ იგივე კონტექსტში გვესაუბრა ევროკავშირის არაწევრი, ან წევრობის კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნების მიმართ. მაგალითად, „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები უფრო კონკრეტულად ის პარტიები არიან, რომლებიც ევროკავშირიდან საკუთარი ქვეყნის გასვლას ითხოვენ, ხოლო არაწევრი ქვეყნის ესა თუ ის პარტია, იგივეს ვერ მოითხოვს, რადგან ფიზიკურად არ არის ამ კავშირის წევრი. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი, ფაქტობრივად, პირველები იყვნენ, რომლებმაც წინა პლანზე წამოსწიეს თვით „ევროსკეპტიციზმის“ ცნება და თავიანთი ტიპოლოგიით საფუძველი ჩაუყარეს იმ კრიტიკას, რომელმაც ამ ტერმინის განვითარებასა და გამრავალფეროვნებას დაუდო საფუძველი.

კიდევ ერთი კრიტიკა აღნიშნული ტიპოლოგიის კლასიფიკაციას შეეხება, ვინაიდან, როგორც „რბილი“, ისე „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის შემთხვევაში, ავტორები პარტიების მანიფესტებსა და საჯარო გამოსვლებს დაეყრდნენ, რამაც აზრთა სხვადასხვაობამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ვინაიდან, ადამიანს მისი მრავალფეროვნად ინტერპრეტირება შეუძლია და შესაძლოა, ერთი კონკრეტული პარტია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ „რბილ“, ან „ხისტ“ ევროსკეპტიკოსად იქნას მიჩნეული.

მიუხედავად არსებული კრიტიკისა და გამოწვევებისა, ტიპოლოგია იძლევა შედარებით მკაფიო და მარტივ კლასიფიკაციის სისტემას ევროკავშირის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებების კატეგორიზაციისთვის. ტერმინები „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმი ადვილად გასაგები და გადმოსაცემია, რაც ხელმისაწვდომს ხდის აუდიტორიის ფართო სპექტრისთვის, მათ შორის პოლიტიკის შემქმნელების, მკვლევარების და ფართო საზოგადოებისთვის. ის განაპირობებს დისკუსიების წამოწყებასა და დებატების წარმართვას, რაც უფრო ეფექტური კომუნიკაციისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ტიპოლოგია გვეხმარება შედარებითი ანალიზის გაკეთებაში, რაც საშუალებას აძლევს

მკვლევრებს, რომ სისტემატურად შეადარონ და დააპირისპირონ „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმი სხვადასხვა ქვეყნებში, რაც ხელს უწყობს ევროსკეპტიკური დამოკიდებულების მამოძრავებელ ფაქტორებში მსგავსებისა და განსხვავებების იდენტიფიცირებას. მიუხედავად იმისა, რომ „რბილი და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის ტიპოლოგია არ არის ნაკლოვანებების გარეშე და გააჩნია რიგი ხარვეზები, დღეისათვის ის მაინც გვთავაზობს ღირებულ ჩარჩოს ევროსკეპტიკური დამოკიდებულებების, ქცევების ორგანიზებისა და ანალიზისთვის.

კრისტოფერ ფლუდი (2002) ევროსკეპტიციზმს განსაზღვრავს, როგორც ეჭვისა და უნდობლობის გამოხატვას ევროკავშირისა და მასში ინტეგრაციის მიმართ. მისი ტიპოლოგია შეგვიძლია სკალაზე გამოვსახოთ და მივანიჭოთ რიცხვები ერთიდან ექვსამდე. სკალის სათავეში აღმოჩნდებიან ინტეგრაციის მომხრეები, რომელთაც „მაქსიმალისტებს“ უწოდებენ, ხოლო მის საპირისპიროდ არიან „ანტი-ევროპელები“, რომლებიც ინტეგრაციის მოწინააღმდეგეებად გვევლინებიან. მათ შორის კიდევ ოთხი ტიპის მიმდინარეობაა: „რევიზიონისტები“, რომლებიც ინტეგრაციას უარყოფენ და მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის სტრუქტურა მასტრიხტის შეთანხმებამდე არსებულ სიტუაციას უნდა დაუბრუნდეს; „მინიმალისტები“, იმ შეხედულების პარტიები არიან, რომლებიც ევროკავშირის ამჟამინდელ მდგომარეობას ეთანხმებიან, თუმცა მის მომდევნო გაფართოებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან; „გრადუალისტები“, რომლებიც კავშირის გაერთიანებას არ ეწინააღმდეგებიან, თუმცა მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს ნაბიჯ-ნაბიჯ, გონივრულ ვადებსა და ყველანაირი აჩქარების გარეშე; და ბოლოს „რეფორმისტები“, რომლებსაც სახელიდანვე გამომდინარე არსებული რეალობის ამოტრიალება და შეცვლა სურთ, ოღონდ კონკრეტული ქმედებები გათვალისწინებული არ არის. (Flood, 2002). ავტორს, სურდა დაემუშავებინა და განეგრძო შჩერბიაკისა და ტაგარტის (2003) ტიპოლოგია და ამიტომ ორი „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმთან ახლოს მდგარი დაყოფა აიღო და შუალედური ე.წ. „ზომიერი ევროსკეპტიციზმი“ დაამატა. რა თქმა უნდა, რთულია ზომიერი არგუმენტებით ისაუბრო ისეთ საკითხზე, როგორც ევროსკეპტიციზმია. ასევე, ფლუდმა იმდენად მკვეთრი დაყოფა შემოგვთავაზა, რომ რთულია არ გააკრიტიკო, მიუხედავად იმისა, რომ ტიპოლოგიამ ყველა ის კონკრეტული მახასიათებელი წარმოადგინა, რომელიც ამა თუ იმ ტიპის პარტიას უნდა გააჩნდეს. ამ ყველაფრის პრაქტიკაში განხორციელებას, სწორედ ეს სიმკვეთრე უშლის ხელს. არც ცნებებია იმდენად მოქნილი, რომ პრაქტიკაში გამოვიყენოთ, მითუმეტეს, რომ არც ერთი მათგანი, სხვა შემთხვევების მსგავსად არ გულისხმობს ევროპული ცივილიზაციის, კულტურისა და სხვა იმ ელემენტების უარყოფას, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვიხმაროთ სიტყვა „ევროსკეპტიციზმი“, არამედ ხშირ შემთხვევაში, ნეიტრალურ შთაბეჭდილებას ქმნის და წარმოგვიდგება, როგორც უბრალოდ პარტიული, იდეოლოგიური დაპირისპირება. რაც მთავარია, ამ ტიპოლოგიის მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ავტორი ტერმინ „ევროსკეპტიციზმს“, არ იყენებს, არამედ საუბრობს ინტეგრაციის მომხრეებსა და უარყოფელების შესახებ.

პარტიული ევროსკეპტიციზმის ანალიზი 2021-2023 წლებში

როგორც კვლევის მეთოდებში აღინიშნა, კვლევისთვის შეირჩა ქართული ონლაინ გამოცემები: „რადიო თავისუფლება“, „Publika.ge“, „Netgazeti.ge“, „Interpressnews.ge“. შევისწავლეთ ყველა ის განცხადება, რომელიც 2021 წლის 1 იანვრიდან, 2023 წლის 1 ივნისამდე, ქართული

პოლიტიკური პარტიებისა და მათი წევრების მხრიდან გაკეთდა. შესაბამისად, კვლევის სრულყოფისათვის შეიქმნა ცხრილი, რომელიც ნათლად ასახავს, თუ რომელი ქართული პოლიტიკური პარტია ევროსკეპტიციზმის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება. ცხრილში მოცემულია 12 ქართული პოლიტიკური პარტია და მათი მიკუთვნებულობა შესაბამის ტიპოლოგიასთან. რა თქმა უნდა, შესაბამისობისას, ისევ და ისევ, შჩერბიაკისა და ტაგარტის (2003) „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის ტიპოლოგია გამოვიყენეთ. პარტიები კონკრეტულ ტიპოლოგიებს პოლიტიკოსთა განცხადებების გაანალიზების საფუძველზე შევუსაბამეთ.

ცხრილი #1

ტიპოლოგია განმარტება	პარტია	მაგალითი
<p>ხისტად ევროსკეპტიკური - ევროპული ინტეგრაციის ყველა ფორმას ეწინააღმდეგებიან, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურული კუთხით. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ეროვნულ სუვერენიტეტს, დემოკრატიას და კულტურას. მათ ასევე სჯერათ, რომ ევროკავშირი ძალიან ბიუროკრატიული, არაეფექტური და კორუმპირებულია. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები ხშირად ითხოვენ, მათმა ქვეყანამ დატოვოს ევროკავშირი. მათ ასევე შეუძლიათ მხარი დაუჭიროონ ისეთ პოლიტიკას, რომელიც შეასუსტებს ევროკავშირს, მაგალითად როგორცაა ევროკავშირის ბიუჯეტის შემცირება ან ევროკავშირის კანონმდებლობისათვის ვეტოს დადება. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ ევროკავშირი აღარ არის ანგარიშვალდებული თავისი მოქალაქეების წინაშე. „ხისტი“ ევროსკეპტიკოსები ხშირად ასოცირდებიან მემარჯვენე პოპულისტურ პარტიებთან, მაგრამ ისინი ზოგიერთ მემარცხენე და ცენტრისტულ პარტიებს შორისაც გვხვდებიან.</p>	<p>„ალტ-ინფო“</p>	<p>„საქართველო დასავლეთს ვერ დაეყრდნობა და ეს უბრალოდ ილუზიაა, რადგან უკრაინაც კი არ არის დასავლეთზე დამოკიდებული, დასავლური სახელმწიფოები რუსეთთან ფარული ვაჭრობით სარგებლის მოპოვებას ცდილობენ, ამიტომ საქართველომაც იგივე უნდა გააკეთოს“ (პუბლიკა, 2021). 2022 წლის 2 ივლისს „ალტ-ინფოს“ პარტიის წევრებმა და მხარდამჭერებმა პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს და ძალადობრივი გზით ჩამოხიეს და დაწვეს, „ევროკავშირის“ დროშა, რაც ნათლად ასახავს მათ დამოკიდებულებას ევროინტეგრაციის მიმართ (რუსთავი 2,2022). იგივე ქმედებას ჰქონდა ადგილი 2023 წლის 14 მარტს, როდესაც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და მისმა თანამომხრეებმა კვლავ ჩამოხსნეს და დაწვეს „ევროკავშირის“ დროშა (პუბლიკა, 2023). „ევროპა საქართველოში ცდილობს შეცვალოს და გარყვნას ქართული ოჯახი“ (პუბლიკა, 2022).</p>
<p>რბილად ევროსკეპტიკური - „რბილი“ ევროსკეპტიციზმი არის ისეთი შემთხვევა, როდესაც პარტიები მიიჩნევენ, რომ მათი ქვეყნის ეროვნული ინტერესები იმ დონით არ არის გათვალისწინებული, როგორც უნდა იყოს. „ხისტი“ ევროსკეპტიციზმისგან განსხვავებით, ისინი პირდაპირ არ არიან ევროკავშირში გაერთიანების წინააღმდეგ მიმართულნი, არამედ მის დატოვებასაც</p>	<p>„ქართული ოცნება“</p>	<p>„თუმცა, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. 19 აპრილის შეთანხმების ანულირებით, დღეიდან ქვეყანა დაუბრუნდა კონსტიტუციურ ჩარჩოს და პოლიტიკური პროცესები საქართველოში მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად გაგრძელდება“ (კობახიძე, 2021). „თუ საზოგადოებას ეუბნებით, არ გვინდა რუსეთი, რადგან ისინი ერევან ჩვენს სუვერენიტეტში და გვინდა კუბილიუსი, რომელიც ჩვენი უფროსი იქნება, ეს მიუღებელია“ (მაჭარაშვილი,2022). „რეზოლუციას, რომელიც ქართული დემოკრატისა და</p>

<p>ეწინააღმდეგებიან. ეს არ ნიშნავს, რომ ეგუებიან არსებულ რეალობას, არამედ სწორედ ისინი ეწინააღმდეგებიან სტატუს-ქვოს, მოწყობას პრაქტიკას და მოითხოვენ შესაბამის ცვლილებებს. მიაჩნიათ, რომ არსებობს ზედმეტი ბიუროკრატია და აწუხებთ, რომ ევროკავშირს აქვს გარკვეული გავლენა ეროვნულ სუვერენიტეტზე.</p>		<p>მედიის თავისუფლების მტრების - სააკაშვილისა და გვარამიას განთავისუფლებისკენ მოგვიწოდებს არაფერი აქვს საერთო ევროპულ ღირებულებებთან და ასეთ რეზოლუციას, პირდაპირ ვიტყვით, ჩალის ფასი აქვს“ (კობახიძე, 2022).</p> <p>„ევროპარლამენტის რეზოლუცია მოკლებულია სამართლიანობას და მასში მოყვანილია დამახინჯებული „ფაქტები“ (თალაკვაძე, 2022).</p> <p>„თუ საქართველო სტატუსს უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, ქვეყანამ მასზე უარი უნდა თქვას - სტატუსის მისაღებად ღირსებას ვერ დავთმობთ“ (ხუნდაძე, 2022).</p> <p>„საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშ დადგა! რა განსხვავებაა ჩვენთვის, ვინ იქნება მბრძანებელი, თუკი კვლავ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მოგვიწევს?!“ (ხუნდაძე, 2022).</p> <p>„ტყუილებზე დაფუძნებული ევროპა კი არა, საკუთარი ოჯახი არ მინდა“ (ლუდუშაური, 2022).</p> <p>„კანდიდატის სტატუსი პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს იძლევა - თითქოს ფულს ნიშნავს“ (კობახიძე, 2022).</p> <p>„სტატუსს, ვიცით, არ გვაძლევენ იმიტომ, რომ საქართველო სანქციებში და ომში არ ჩაერთო“ (კალაძე, 2022).</p> <p>„არსებობს ინტერესი, რომ საქართველო ომში იყოს ჩართული“ (ყაველაშვილი, 2022).</p> <p>„მოუწოდებ ევროპარლამენტის წევრებს, რომ თავი შეიკავონ გავლენის მოხდენის მცდელობისგან საქართველოს სასამართლოზე“ (პაპუაშვილი, 2022).</p> <p>„ცალკეული ევროპარლამენტარის განცხადებებს ევროპასთან და ევროპულ ღირებულებასთან საერთო არ აქვს - ევროპა და ევროპული ღირებულებები სხვანაირად წარმომიდგენია“ (კალაძე, 2022).</p> <p>„ამ რეზოლუციას თავისი შინაარსიდან გამომდინარე არანაირი ფასი არ აქვს“ (კალაძე, 2022).</p> <p>„ევროპარლამენტის რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს - ჩალას სიმძიმე და წონა ვერ ექნება, როგორც არ უნდა შეფუთო“ (კობახიძე, 2022).</p> <p>„ეს კონკრეტული ევროპარლამენტარები არიან სალომე სამადაშვილები და ლევან ხაბეიშვილები, არც მეტი, არც ნაკლები“ (კობახიძე, 2023).</p> <p>„სამწუხაროა, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციები იქცა დეზინფორმაციის გავრცელების წყაროდ, რაც ძირს უთხრის ამ ინსტიტუციების მიმართ ნდობას“ (პაპუაშვილი, 2023).</p> <p>„როდესაც სიცრუეზე, სიყალბეზე და კრიმინალების მფარველობაზე პირდაპირი მითითებებით არის საუბარი, ამ რეზოლუციას, რა თქმა უნდა, სერიოზული სახე ვერ ექნება“ (კალაძე, 2023).</p> <p>„არ მინდა ევროპა, რომელიც მეუბნება - დამნაშავე უნდა გაუშვა, კონსტიტუცია უნდა დაარღვიო, კანონი უგულვებელყო, მართლმსაჯულებაში ჩაერო, ეს არის</p>
---	--	--

		ევროპა? - შინაარსობრივ განხილვაში ვერ შემოდიან, მაგრამ მაგიდის აყირავება ეხერხებათ“ (ყაველაშვილი, 2023)
		„საქართველომ მუდმივი სამხედრო ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს“ (ნეტგაზეთი,2022). „საქართველოს ხელისუფლება ქმნის ილუზიას იმის სურვილისა, რომ სურს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, რეალურად კი ცდილობენ ძირშივე მოკვეთონ ნებისმიერი მცდელობა ორმხრივი ურთიერთობების კუთხით და მიიღონ: „მორიგი ქულები“ დასავლელი პარტნიორების წინაშე“ (ინაშვილი,2021). „მე ზოგადად ვფიქრობ, რომ საქართველომ უნდა იმეგობროს რუსეთთან და არა იომოს“ (დავით თარხან-მოურავი,2022). ასევე პარტია აპელირებს ღირებულებებზე, რომელსაც ევროპა რყენის საქართველოში და არა მარტო საქართველოში.
<p>არაევროსკეპტიკური - არაევროსკეპტიციზმი არის პოზიცია ევროინტეგრაციის მიმართ, რომელიც არც სკეპტიკურადაა განწყობილი და არც ეწინააღმდეგება ევროკავშირს და ევროინტეგრაციას. არაევროსკეპტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირი არის ღირებული ინსტიტუტი, რომელმაც მრავალი სარგებელი მოუტანა მის წევრ ქვეყნებს. მათ შეიძლება მხარი დაუჭირონ შემდგომ ინტეგრაციას, მაგრამ აგრეთვე ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიის პატივისცემა.</p>	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„ევროპული საქართველო“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„გირჩი“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„გირჩი მეტი თავისუფლება“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„ლეიბორისტული მოძრაობა“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„საქართველო სთვის“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„ლელო“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
	„სტრატეგია აღმაშენებელი“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება
„მოქალაქეები“	პარტიას/ან მის წევრს, არ გაუკეთებია ევროსკეპტიკური განცხადება	

ქართული პოლიტიკური პარტიების 2021-2023 წლების განცხადებების შესწავლისას, დადგინდა, რომ არსებობს: 1 ხისტად ევროსკეპტიკური პარტია, 2 რბილად ევროსკეპტიკური პარტია, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ჩართულნი არიან პოლიტიკურ დღის წესრიგში მათი ევროსკეპტიკური დამოკიდებულებები არ შეიძლება. გამოიყო პარტიული ევროსკეპტიციზმის 4 ძირითადი თავისებურება, ესენია: 1-ეკონომიკური, 2-პოლიტიკური, 3-კულტურული, 4-გეოპოლიტიკური.

ეკონომიკური ფაქტორით გამოწვეული ევროსკეპტიციზმი 2021-2023 წლებში შედარებით ნაკლებად გამოიხატება, თუმცა მაინც არსებობს. მაგალითად 2021 წლის ევროკავშირის შემოთავაზებულ მაკროსაფინანსო დახმარებაზე უარის თქმა ეკონომიკური ევროსკეპტიციზმის ერთგვარი გამოვლინება იყო. მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც ყველაზე მეტად „ქართული ოცნების რიტორიკაში“ ჩანს. განცხადებები ცხადყოფს, რომ მმართველი პარტია ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების ჩარევას საქართველოს შიდა პოლიტიკაში, ამა თუ იმ განცხადებითა და ქმედებით უპირისპირდება, რაც ყველაზე მეტად სასამართლოსთან მიმართებით იკვეთება. აგრეთვე, იქმნება ილუზია, რომ არსებობს შიში სახელისუფლებო პარტიის მხრიდან, ძალაუფლების დაკარგვისა, თითქოს ევროკავშირში ინტეგრაციით ქვეყანა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების უნარს დაკარგავს. ფაქტობრივად, მათი მხრიდან ეს ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვასთან ასოცირდება, თუმცაღა, ღიად და პირდაპირ არ ეწინააღმდეგებიან ევროკავშირში ინტეგრაციას. კულტურული ფაქტორი ეროვნულ ტრადიციებთან და ღირებულებებთან ასოცირდება, ევროსკეპტიკური პარტიები შიშობენ, რომ ევროკავშირი აიძულებს საქართველოს, აითვისოს დასავლური ღირებულებები და ეს გამოიწვევს ტრადიციული ქართული კულტურის ეროზიას. ევროკავშირს აქვს მტკიცე ვალდებულება, ხელი შეუწყოს დასავლურ ღირებულებებს, როგორცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა. ზოგიერთი ქართველი შიშობს, რომ ეს ღირებულებები ეწინააღმდეგება ტრადიციულ ქართულ ღირებულებებს, მაგალითად როგორცაა ოჯახისა და რელიგიის მნიშვნელობა (პუბლიკა, 2022). გეოპოლიტიკური ფაქტორი შეგვიძლია ავსხნათ შემდეგნაირად- ევროკავშირში გაწევრიანება დააზარალებს ქვეყნის ურთიერთობას რუსეთთან. ისინი ამტკიცებენ, რომ რუსეთი ევროკავშირს საფრთხედ აღიქვამს და ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს რუსეთის აგრესიის სამიზნედ გახდის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ რამდენიმე მიზეზია, რის გამოც ქართული პარტიები ევროსკეპტიციზმს განიცდიან. არსებობს მრავალი სხვა ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ევროსკეპტიციზმს საქართველოში და ეს კომპლექსური საკითხია, რომელსაც მარტივი პასუხები არ აქვს.

საერთო ზოგადი ფონის თანახმად, საქართველოში ევროსკეპტიციზმის ფენომენი ნამდვილად არსებობს, არა ერთ, არამედ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ საუბარი არ გვაქვს და არ ვეხებით ფრაქციებს, ან უბრალოდ პოლიტიკურ მოძრაობას, მაგალითად როგორცაა: „ხალხის ძალა“, „ერთობა, რაობა, იმედი“, „ქართული მარში“ და სხვა, ამკარად ანტიევროპულად განწყობილ ძალებს, რომლებიც არ წარმოადგენენ პოლიტიკურ პარტიებს. ასევე, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საქართველოში ნაკლებადაა „ხისტად“ ევროსკეპტიკური პარტიები, უფრო ხშირად ვხვდებით „რბილად“ ევროსკეპტიკებს და ასევე არაევროსკეპტიკებს. თუმცა, არსებული ტიპოლოგიის გარდა, შესაძლოა არსებობდეს რაიმე შუალედური ვარიანტი, რომელშიც გავაერთიანებთ ისეთ პარტიებს, რომლებიც თავისი არსითა და ქმედებებით ზუსტად, არც ხისტია და არც რბილი. შჩერბიაკისა და ტაგარტის ტიპოლოგიას დავუმატებდი მესამე შუალედურ რგოლს, რომელსაც შესაძლოა „პრაგმატული“ ევროსკეპტიციზმი ვუწოდოთ. სწორედ აღნიშნულ კატეგორიას მივაკუთნებდი „ქართულ ოცნებას“. ამ პარტიის ევროსკეპტიკური განცხადებები, მათი მხრიდან ერთგვარი ობიექტური რეალობის არაღიარებაზე მიუთითებს. ობიექტური რეალობაა, რომ საქართველოს სასამართლოს სჭირდება გაჯანსაღება, რაზეც ევროპარლამენტარები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც საუბრობენ, თუმცა გუნდის წევრები ცდილობენ იხელმძღვანელონ პრაგმატულად და

დაუპირისპირდნენ იმ ობიექტურ მოცემულობას, რაც მართლაც არსებობს, კონკრეტულად იქნება ეს სასამართლოს თუ სხვა შემთხვევაში. ოცნების პრაგმატიზმი ჩანს იქიდანაც, რომ ჩვენი ჩრდილოელი „მეზობლის“ მიმართ პრაქტიკულად ქმედითი და გამოსადეგი პოლიტიკის გატარების მიზნით, რომელიც არგალიზიანების პოლიტიკაა, ევროპარლამენტარებს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათ საქართველოს ომში ჩათრევა უნდათ და მათი მიზანია ქვეყანაში არეულობის, რევოლუციების მოწყობა და ასე შემდეგ.

ექსპერტთა შეფასებები

2021-2023 წლებში პარტიულ ევროსკეპტიციზმს ექსპერტები სხვადასხვაგვარად აფასებენ, უმეტეს შემთხვევაში მათი უმრავლესობა დაახლოებით ერთ აზრზეა და შესაბამისად მსგავსი მოსაზრებებით ევროსკეპტიციზმს განიხილავენ, როგორც პარტიულ ფენომენს, რომელიც ნამდვილად არსებობს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ ექსპერტთაგან ერთ-ერთის, რონდელის ფონდის მკვლევრის განცხადებით, ევროსკეპტიციზმი არ არის უცხო ზოგადად ევროპისა და დასავლეთისთვის და იგი 2021-2023 წლებში თავად ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც კი შეინიშნება. „ზოგადად ევროსკეპტიციზმი, საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა დღესდღეისობით, და ის თვით ევროკავშირის ქვეყნებშიც არსებობს, ამის ნათელი მაგალითია უნგრეთი, თავისი ორბანის მთავრობითურთ, გარდა უნგრეთისა ევროსკეპტიკური ელემენტები იტალიასაც აქვს“ (პირისპირი ინტერვიუ, 05.05.2023). თუმცა ექსპერტი არ საუბრობს იმაზე, თუ რა იწვევს უშუალოდ ევროსკეპტიციზმს ევროპის ამ ქვეყნებში, თუმცადა სხვა ექსპერტის მოსაზრებით ამის მიზეზი, უშუალოდ ევროკავშირსა და ამ ხელისუფლებებს შორის იდეოლოგიური აზრთა სხვადასვაობაა.

„თუ ჩვენ გადავხედავთ პარტიების მიერ შექმნილ წერილობით დოკუმენტებს, იქნება ეს მათი წესდება თუ პროგრამები, ყველა მეინსტრიმული და ძირითადი მოქმედი პარტია არის აშკარად პროევროპული, პრონატო, პროდასავლური, თუმცა მნიშვნელოვანია, ის, რამდენად შეესაბამება პარტიების დეკლარირებული განცხადებები მათ რეალურ მოსაზრებებსა და ქმედებებს, რაც შეიძლება შევისწავლოთ მათ მიერ გაკეთებული განცხადებების მიხედვით“ (პირისპირი ინტერვიუ, 05.05.2023). აღნიშნულმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ „ქართულ ოცნებას“ დეკლარირებულ ყველა დოკუმენტში მკვეთრად აქვს ხაზი გასმული, რომ პარტია ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფვის, თუმცა განცხადებებმა გვიჩვენა, რომ პარტია საწინააღმდეგოდ იქცევა, რაც მათი გაჟღერებული განცხადებებიდან შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რაზეც ექსპერტთა ერთი ნაწილიც საუბრობს. „ქართული ოცნების მაღალჩინოსნების განცხადებები ხაზს უსვამს შიდაპარტიულ „ერთგვარ შეთქმულებას“, რომელიც აშკარად ანტიევროპულად გამოიყურება და გვაძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ „ქართულ ოცნება“ -ს ნამდვილად ახასიათებს ევროსკეპტიციზმი. მეორე მხრივ, იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ მმართველ პარტიას ჰყავს სატელიტი ძალები, როგორცაა „ხალხის ძალა“ და „ალტ ინფო“, რომელზეც ახორციელებს სრულ ან ნაწილობრივ კონტროლს. მათი საშუალებით „ქართული ოცნება“ ცდილობდა, წარმოეჩინა პარტია, როგორც კვლავ პრო-ევროპული და პროდასავლური. თუმცა „ხალხის ძალისა“ და „ალტ ინფოს“ აღნიშნული ქმედებები ვერ გამოიჩინა შედეგიანობით და ბოლოს თავად მმართველ ძალას მოუწია ანტიდასავლური და პრორუსული განცხადებების გაჟღერება“ (პირისპირი ინტერვიუ, 07.05.2023)

პარტიული ევროსკეპტიციზმის მიზეზებზე საუბრისას უნდა გამოვყოთ ერთის მხრივ „ქართული ოცნება“ და მეორეს მხრივ სხვა ოპოზიციური, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო პარტიები. ექსპერტთა აზრით, სახელისუფლებო პარტიის ევროსკეპტიციზმი რამდენიმე

ფაქტორით შეგვიძლია ავხსნათ, როგორცაა პოლიტიკური, კულტურული და ნაკლებად ეკონომიკური.

„პოლიტიკური ფაქტორი თავის თავში ძალაუფლების შენარჩუნებას გულისხმობს. „ქართული ოცნების“ შემთხვევაში თუ აღნიშნულ საკითხზე ვისაუბრებთ, ვფიქრობ მათ არა აქვთ სურვილი განახორციელონ ის რეფორმები, რომელიც საქართველო ევროკავშირის გზაზე წინსვლისთვისაა საჭირო. ვგულისხმობ სასამართლოს დამოუკიდებლობას, მედია პლურალიზმს, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დეოლიგარქიზაციას და დეპოლარიზაციას. ესაა ის საკითხები რაზეც დგას ქართული ოცნების ძალა და რეფორმირება ამ კუთხით და ასეთი ნაბიჯების გადადგმა შეიძლება დაუჯდეს ძალაუფლების დაკარგვად“ (პირისპირი ინტერვიუ, 05.05.2023). ასევე, ძალაუფლების შენარჩუნებას უსვამს ხაზს, „ევროპულ-ქართული ინსტიტუტის“ წარმომადგენელი, რომლის თქმითაც „შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალაუფლების შენარჩუნება არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც მოხდა არსებული ანტიდასავლური რიტორიკის გაქდერება“ (პირისპირი ინტერვიუ, 07.05.2023).

ექსპერტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ევროსკეპტიციზმი უშუალოდ ვლინდება ევროპარლამენტარების წინააღმდეგ გამოთქმულ განცხადებებში და მას იმდენი ზიანი არ მოაქვს ქვეყნისათვის, როგორც უშუალოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე გაკეთებულ აქცენტს - „პოლიტიკურის მხრივ ეს უფრო მეტად შლეიფია, რომელიც გამოიხატება კონკრეტული ევროპარლამენტარების წინააღმდეგ გამოთქმულ განცხადებებში. ეს უფრო ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარეობს, ვიდრე, უფრო ევროინტეგრაციის წინააღმდეგ მიმართულ რიტორიკად. ანუ „ქართული ოცნება“ აკრიტიკებს მხოლოდ იმ ევროპარლამენტარებს, რომლებიც უშუალოდ „ქართულ ოცნებას“ აკრიტიკებენ და არა ზოგადად ევროპარლამენტს. ანუ, ქართული ოცნება არ ახდენს ევროპარლამენტის დელეგატიმაციას“ (პირისპირი ინტერვიუ, 02.05.2023). რაც შეეხება მეორე ფაქტორს, რომელიც „ქართული ოცნების“ ევროსკეპტიკურობას უსვამს ხაზს, ესაა კულტურული ფაქტორი, რომელიც ერთის მხრივ კვლავ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მცდელობად შეგვიძლია აღვიქვათ. თითქოს ევროკავშირი რყვნის ოჯახის ღირებულებებს და ევროპული ღირებულებები შორსაა ქართული ტრადიციული ღირებულებებისგან, ასევე განცხადებები, რომ ევროპარლამენტში ერთსქესიანთა ქორწინებებს აკანონებენ და ის, რომ ევროპარლამენტში „ლგბტქ“ თემის პოპულარიზაციასაკენ მიმართული ფოტოგამოფენები ეწყობა. „რაც შეეხება კულტურულ ფაქტორებს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა კულტურული მიმართულების კონსერვატიზმი ოფიციალურ პლატფორმად დააფიქსირა, როდესაც ის გამოვიდა კონსერვატიული მოქმედების კონფერენციაზე უნგრეთში. გაცხადებულად მთავარი გზავნილი ამ კონფერენციისა, არის ოჯახის ერთიანობა და თავად ღარიბაშვილის გამოსვლაშიც, ეკონომიკური და პოლიტიკური ნარატივები ნაკლებად იყო გამოყოფილი, არამედ ძირითადი აქცენტი, კულტურაზე, კერძოდ, ოჯახის სიწმინდეზე, ქრისტიანობაზე იყო გაკეთებული“ (პირისპირი ინტერვიუ, 16.05.2023).

ექსპერტთა აზრით, ეკონომიკური ფაქტორი არის ის ერთადერთი ნათელი რგოლი, რომელშიც ევროსკეპტიციზმი თითქმის არ ვლინდება, მაგალითად ვიზა-ლიბერალიზაცია, რომელიც რა თქმა უნდა წინ გადადგული ნაბიჯია ევროინტეგრაციის გზაზე, მაგრამ არა პოლიტიკური, არამედ უფრო მეტად ეს არის საზოგადოების ლოიალობის მიმხრობის სტრატეგია და იგივე შეეხება ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც გარდა ჩვენი ვალდებულებებისა, ითვალისწინებს უამრავ ფინანსურ სარგებელს, იქნება ეს გრანტები თუ სესხები. „ქართული ოცნება“ ჯერ კიდევ ბევრ ბენეფიტს იღებს ევროკავშირიდან, როგორცაა საქართველოსა და

რუმინეთს შორის არსებული, შავი ზღვის ქვეშ გამავალი ელექტროკაბელი. ეს არის დიდი ინვესტიცია ევროპის მხრიდან, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ვიყენებთ ბაზრებს, ვიყენებთ უვიზო რეჟიმს, რომლის მიმართულებითაც არ არსებობს შეფერხებები და ამ მხრივ „ქართული ოცნების“ ნარატივში სკეპტიკურს ვერ ამოვიკითხავთ. ეკონომიკური ფაქტორი არის ერთგვარი წებოვანი მასა, მე ვიტყვოდი, რომ ერთადერთიც, რომელიც დღეს ბრიუსელსა და თბილისს აკავშირებს“ (პირისპირი ინტერვიუ, 07.05.2023).

დასკვნა

მოცემული კვლევის ფარგლებში, პოლიტიკოსების განცხადებების შესწავლამ, მეორეულ მონაცემთა ანალიზმა და ექსპერტულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ საქართველოში ევროსკეპტიკური პოლიტიკური პარტიები ნამდვილად არსებობენ. კვლევის ჰიპოთეზა, რომ „პარტიულ ევროსკეპტიციზმს საქართველოში „რბილი“ და „ხისტი“ განცხადებების სახესხვაობები განაპირობებს“, გამართლდა, რადგან საქართველოში, ტაგარტისა და შჩერბიაკის ტიპოლოგიის მიხედვით, გვხვდება, როგორც „ხისტად“ ევროსკეპტიკური განცხადებების და კურსის მქონე პარტია - „ალტ-ინფო“, ისე „რბილად“ ევროსკეპტიკური პარტიები, როგორცაა „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ და „პატრიოტთა ალიანსი“. თუმცა, ისიც შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოში ევროსკეპტიციზმის ფენომენი არა იმდენად „ხისტი“ და „რბილი“ სახესხვაობებით, არამედ ღია და ფარული ფორმებით უფროა გამოწვეული. მაგალითად, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „ალტ-ინფო“ ევროსკეპტიკურ პოლიტიკურ შეტყობინებებს ღიად აჟღერებენ, ხოლო, „ქართული ოცნების“ რიტორიკა შეფარულ ან ირიბ კრიტიკას ეყრდნობა. პოლიტიკოსთა განცხადებების შესწავლისა და ექსპერტთა ინტერვიუების შემდეგ პარტიების „ხისტ“ და „რბილ“ კატეგორიებად დაყოფისას გამოვლინდა გარკვეული მსგავსება- განსხვავებები, რომლებიც ცხრილშია ასახული:

ცხრილი #2

კონტენტ-ანალიზის შედეგად მიღებული კლასიფიკაცია		ექსპერტთა კლასიფიკაცია	
ტიპოლოგია	პარტია	ტიპოლოგია	პარტია
ხისტად ევროსკეპტიკური	„ალტ-ინფო“	ხისტად ევროსკეპტიკური	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ „პატრიოტთა ალიანსი“
რბილად ევროსკეპტიკური	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ „პატრიოტთა ალიანსი“	რბილად ევროსკეპტიკური	„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ „გირჩი“
არაევროსკეპტიკური	ყველა სხვა შესწავლილი პარტია	არაევროსკეპტიკური	ყველა სხვა შესწავლილი პარტია

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ჩვენს მიერ პოლიტიკოსთა განცხადებების შესწავლის შედეგად პარტია „ალტ-ინფო“ „ხისტ“ ევროსკეპტიკურ პარტიებს მიეკუთვნება. ექსპერტთა ნაწილის მიერ ასევე „ხისტ“ ევროსკეპტიკოსებად მოიაზრებიან „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ და „პატრიოტთა ალიანსი“. რაც შეეხება „რბილ“ ევროსკეპტიკებს, ამ შემთხვევაში, უმეტესად ემთხვევა ავტორთა და ექსპერტთა მოსაზრებები. აღნიშნული სხვაობა, „ხისტი“

ევროსკეპტიკოსების მიკუთვნებულობის შესახებ რამოდენიმე მიზეზით შეიძლება იქნას ახსნილი, მათ შორის მთავარია ის, რომ ექსპერტებს, მართალია მიეცათ ბარათები, სადაც განმარტებული იყო ევროსკეპტიციზმის ორივე მიმართულების დეფინიციები, თუმცა შესაძლოა მიზეზად დავასახელოთ დროის ფაქტორი. კვლევამ აჩვენა ისიც, რომ პარტიულ სპექტრში გამოვლენილი ევროსკეპტიციზმი ეკონომიკურზე მეტად, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორებით უფროა გამოწვეული. ამაზე მეტყველებს ექსპერტთა სრული უმრავლესობის თანხმობა იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ბენეფიტები არის ერთგვარი „წებოვანი მასა“, დამაკავშირებელი ქართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ევროკავშირს შორის. ექსპერტთა ერთი ნაწილის აზრით, „ქართული ოცნების“ შემთხვევაში საქმე გვაქვს გაუცხადებელ ევროსკეპტიციზმთან, რომლებიც არა პირდაპირი კრიტიკით არიან დაკავებულნი, არამედ ირიბი. ექსპერტთა სრული უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეკონომიკურ ჭრილში „ქართული ოცნება“ არაევროსკეპტიკურია და კარგად იყენებს ევროკავშირის ერთგვარ „ბენეფიტებს“.

დამუშავებული მასალის, ჩატარებული ინტერვიუების, განცხადებების შესწავლისა და ამ ყოველივესთან ჰიპოთეზის დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში არსებული „რბილი“ და „ხისტი“ ევროსკეპტიციზმის ისეთი ფაქტორიც მოქმედებს, როგორცაა მაგალითად ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა, რომელიც ძირითადად პარტია „ალტ-ინფოს“ განცხადებებში იკვეთება მწვავედ, ხოლო მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია „ქართული-ოცნების“ რიტორიკასა და „პატრიოტთა ალიანსის“ განცხადებებში. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ სკეპტიციზმი ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პოლიტიკის აღქმის მიმართ, რომელსაც წინა, სუვერენიტეტის დაკარგვის შიშის მიზეზთან მივყავართ. გასათვალისწინებელია გეოპოლიტიკური ფაქტორიც, რადგანაც რუსეთის ფედერაციასთან ტერიტორიული სიახლოვე ზოგიერთი პოლიტიკური ძალისათვის შეიძლება შემაფერხებელ ფაქტორადაც იქცეს.

მოცემული კვლევა ევროსკეპტიციზმის ირგვლივ არსებული ქართული აკადემიური ლიტერატურის გამდიდრების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ ის მცირეოდენ წვლილს მაინც შეიტანს აღნიშნული ქვედარგის კვლევის განვითარებაში და საკითხით დაინტერესებულ პირებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს.

ბიბლიოგრაფია

Flood, C. (2002). Political Myth: A Theoretical Introduction. new york: Routledge.

Paul Taggart, A. S. (2003). Theosing Party-Based Euroscepticism: Problems Of Definition, Measurement And Causality. Sussex European Institute.

Petr Popecky, C. M. (2002). The Two Sides of Euroscepticism, Party Positions on European Integration in East Central Europe. london: sage publications.

Tabatadze, S. (2022). Party-Based Euroscepticism; The Case Of Georgia. The Journal of Post-Soviet Democratization 30.

ამირანაშვილი, ნ. (2023). რას ითვალისწინებს „ალტ-ინფოს“ მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი. თბილისი: <https://publika.ge/ras-itvaliswinebs-alt-infos-mier-parlamentshi-iniciirebuli/>

ბურდული, ნ. (2022). “პატრიოტთა ალიანსის”, “მარშის” და სხვების წერილი პუტინს. თბილისი: <https://netgazeti.ge/life/592465/>

იმედი. (2022). ცალკეული ევროპარლამენტარის განცხადებებს ევროპასთან და ევროპულ ღირებულებასთან საერთო არ აქვს - ევროპა და ევროპული ღირებულებები სხვანაირად წარმომიდგენია. თბილისი: <https://imedinews.ge/ge/politika/257937/kakha-kaladze>

ინტერპრესნიუსი. (2022). ევროპარლამენტის რეზოლუციაზე - ასეთ რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს! თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/714527-irakli-kobaxize>

ინტერპრესნიუსი. (2021). 9 აპრილის შეთანხმების ანულირებით, დღეიდან ქვეყანა დაუბრუნდა კონსტიტუციურ ჩარჩოს და პოლიტიკური პროცესები მოქმედი კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად გაგრძელდება. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/669087-kartuli-presis-mimoxilva-09082021/>

ინტერპრესნიუსი. (2021). ირმა ინაშვილი ვლადიმერ პუტინს წერილით მიმართავს. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/668372-irma-inashvili-vladimer-putins-cerilit-mimartavs/>

ინტერპრესნიუსი. (2022). თუ საქართველო სტატუსს უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, ქვეყანამ მასზე უარი უნდა თქვას - სტატუსის მისაღებად ღირსებას ვერ დავთმობთ! თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/714687-dimitri-xundaze>

ინტერპრესნიუსი. (2022). რეზოლუცია, სადაც ტყუილები წერია, როგორ უნდა იყოს ანგარიშგასაწევი? - ტყუილებზე დაფუძნებული ევროპა კი არა, საკუთარი ოჯახი არ მინდა. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/715072-aluda-gudushauri>

ინტერპრესნიუსი. (2022). 6 თვე რასთან დაკავშირებით დაგვიწესეს? - შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, არსებობს ინტერესი, რომ საქართველო ომში იყოს ჩართული. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/717619-mixeil-qavelashvili>

- ინტერპრესნიუსი. (2022). ევროპარლამენტის რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს - ჩალას სიმძიმე და წონა ვერ ექნება, როგორც არ უნდა შეფუთო. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/738348-irakli-kobaxize>
- ინტერპრესნიუსი. (2022). კანდიდატის სტატუსი პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს იძლევა. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/715226-irakli-kobaxize>
- ინტერპრესნიუსი. (2022). კუბილიუსი საქართველოს უფროსი გგონიათ - თუ საზოგადოებას ეუბნებით, არ გვინდა რუსეთი, რადგან ისინი ერევიან ჩვენს სუვერენიტეტში და გვინდა კუბილიუსი, რომელიც ჩვენი უფროსი იქნება, ეს მიუღებელია. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/714069-guram-macharashvili>
- ინტერპრესნიუსი. (2022). მოუწოდებ ყველას და მათ შორის ევროპარლამენტის წევრებს, რომ თავი შეიკავონ გავლენის მოხდენის მცდელობისგან საქართველოს სასამართლოზე. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/719055-shalva-papuashvili>
- ინტერპრესნიუსი. (2022). რეზოლუცია მოკლებულია სამართლიანობას და მასში მოყვანილია დამახინჯებული ფაქტები. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/714690-archil-talakvaze>
- ინტერპრესნიუსი. (2022). საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშ დადგა! რა განსხვავებაა ჩვენთვის, ვინ იქნება მბრძანებელი, თუკი კვლავ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მოგვიწევს?! თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/714692-dimitri-xundaze-rezoluciaze>
- ინტერპრესნიუსი. (2022). ხომ ვიცით, არ გვაძლევენ იმიტომ, რომ საქართველო სანქციებში და ომში არ ჩაერთო. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/716378-kaxa-kalaze>
- ინტერპრესნიუსი. (2023). ეს კონკრეტული ევროპარლამენტარები არიან სალომე სამადაშვილები და ლევან ხაბეიშვილები, არც მეტი, არც ნაკლები. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/743368-irakli-kobaxize>
- ინტერპრესნიუსი. (2023). არ მინდა ევროპა, რომელიც მეუბნება - დამნაშავე უნდა გაუშვას, კონსტიტუცია უნდა დაარღვიო, კანონი უგულუბელყო, მართლმსაჯულებაში ჩაერიო, ეს არის ევროპა? თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/747109-mixeil-qavelashvili>
- ინტერპრესნიუსი. (2023). რეზოლუციას ჩალის ფასი აქვს. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/744956-kaxa-kalaze-rezolucias-chalis-pasi-akvs/>
- ინტერპრესნიუსი. (2023). სამწუხაროა, რომ ევროპარლამენტის რეზოლუციები იქცა დეზინფორმაციის გავრცელების წყაროდ, რაც ძირს უთხრის ამ ინსტიტუციების მიმართ ნდობას. თბილისი: <https://www.interpressnews.ge/ka/article/744598-shalva-papuashvili>
- კანდელაკი, ს. (2021). ევროსკეპტიციზმი და რელიგია. თბილისი: საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
- პუბლიკა. (2023). ევროკომისიის გადაწყვეტილებას დეზინფორმაციის ტალღა მოჰყვა. თბილისი: <https://publika.ge/article/evrokomisiis-gadawyvetilebas-dezinformaciis-talgha-mohyva/>



მედიის პასუხისმგებლობის საკითხი საკუთარ სოციალურ ქსელში ლგბტკ+ საზოგადოების უფლებების შემლახველ კომენტარებთან დაკავშირებით ქართული კომერციული სამაუწყებლო მედიის მაგალითზე

ელენე ჩოხელი
მარიამ მათიაშვილი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: elene.chokheli316@sps.tsu.edu.ge
E-mail: mariam.matiashvili707@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

2023 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის 59% იყენებს მინიმუმ ერთ სოციალურ მედიაპლატფორმას. აქტიური მომხმარებლების რაოდენობით პირველ ადგილს, ტრადიციულად, Facebook-ი იკავებს, რომელსაც ყოველთვიურად 2.9 მილიარდი ადამიანი იყენებს. (Forbes.ge, 2022). საზოგადოების ასეთი ჩართულობა, სხვა მრავალთან ერთად, უკავშირდება იმ ფაქტსაც, რომ მანამდე არსებულ მედიასაშუალებებს შორის სოციალურ მედიას აღმოაჩნდა უპირატესობა აუდიტორიის ინტერაქციის კუთხით, რაც გულისხმობს ე.წ. მოწონების, გაზიარებისა და კომენტარის დაწერის შესაძლებლობას.

ვინაიდან კომენტარით ადამიანი გამოხატავს პირად დამოკიდებულებას და ეს სოციალური მედიის შემადგენელი ნაწილია, აქტუალურია საკითხი, თუ რამდენადაა მედიასაშუალება პასუხისმგებელი საკუთარ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ უარყოფითი ხასიათის კომენტარებზე. ერთ-ერთი თემა, რომელიც სოციალურ ქსელებში განსაკუთრებით იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, უკავშირდება ლგბტქ+ საზოგადოების კონსტიტუციურ უფლებებს. სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ, რა საპასუხო რეაქცია აქვს ქართულ მედიასაშუალებებს ლგბტქ+ საზოგადოების უფლებების შემლახველი კომენტარების წინააღმდეგ. კვლევას ჩავატარებთ სამი ქართული მედიაარხის, „მთავარი არხის“, ტელეკომპანია „იმედისა“ და „რადიო თავისუფლების“ ფეისბუქგვერდებზე დაკვირვებით.

კვლევა მოიცავს კონკრეტული საკითხის შესახებ „მთავარი არხის“, ტელეკომპანია „იმედისა“ და „რადიო თავისუფლების“ ფეისბუქგვერდებზე 2023 წლის მაისი-ივლისის პერიოდში გამოქვეყნებულ "ნიუსებსა" და მათ კომენტარებზე დაკვირვებასა და ანალიზს.

კვლევის მეთოდად გამოვიყენებთ თვისებრივ კონტენტ-ანალიზს, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ და შევისწავლოთ კონკრეტულ ფეისბუქგვერდებზე გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალის კომენტარების შინაარსობრივი მხარე. კერძოდ, რა დამოკიდებულება ჭარბობს საზოგადოებაში ლგბტქ+ თემის წარმომადგენლების მიმართ და რამდენად იზღუდება კომენტარის დაწერის უფლება მისი შინაარსის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ვიყენებთ ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდს კვალიფიციურ პირებთან.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია „ინოვაციების ათვისებისა“ და „ციფრული კონსტიტუციონალიზმის კონცეფციები“.

საკვანძო სიტყვები: ლგბტქ+, მედია, კომენტარები, სიმულვილის ენა, გამოხატვის თავისუფლება

კვლევის აქტუალობა

21-ე საუკუნე თანამედროვე ტექნოლოგიების ხანაა. ტექნოლოგიების განვითარებამ საზოგადოება მიიყვანა ინფორმაციის გავრცელების ისეთ საშუალებამდე, როგორცაა ინტერნეტი. ეს გულისხმობს სოციალურ მედიას და მოიცავს სოციალურ ქსელებს:

“ფეისბუქს”, “ინსტაგრამს”, “ტვიტერს” და ა.შ. ყველა მათგანი მომხმარებლებს აძლევს საშუალებას გამოხატონ აზრი ნებისმიერ საკითხზე და დაწერონ კომენტარი, შევიდნენ ერთმანეთთან დისკუსიაში და სხვა. აზრთა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, კომენტარები შინაარსობრივად განსხვავდება, თუმცა, როგორც წესი, ადამიანები თავიანთ მოსაზრებას საჯაროდ არ გამოხატავენ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი კონკრეტული საკითხის მიმართ ნეიტრალურად ფიქრობენ. ძირითადად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები იწერება და სოციალური ქსელების საშუალებით ინტერაქციის უპირატესობის მაგალითიც სწორედ ესაა. მიუხედავად ამისა, არსებობს მეორე მხარეც - რამდენად შეუზღუდავი და თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი სოციალურ ქსელში საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვისას. ზოგადად, ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს შორის უმეტესობა შეზღუდვადია და გამონაკლისი არც გამოხატვის თავისუფლებაა. აქედან გამომდინარე, კანონიერად, ერთი ადამიანის უფლება შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუკი ამით სხვისი ილაზხება. ეს არ ეხება მაინცდამაინც შინაარსობრივად უარყოფით კომენტარებს, არამედ საუბარია სიმულვილის ენის შემცველ და შეურაცხმყოფელ შინაარსზე. ქართული სოციალური ქსელების მაგალითზე, მსგავსი მოსაზრებები ხშირად იწერება ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ. საინტერესოა, რას აკეთებს ქართული მედია მსგავსი შემთხვევების აღმოსაფხვრელად და საერთოდ, არის თუ არა პასუხისმგებელი საკუთარი პოსტების ქვეშ დაწერილ მიუღებელი კომენტარების გამო. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, შეგვიძლია ვისაუბროთ „იქსზე“ (ყოფილი „ტვიტერი“), როგორც სოციალური ქსელი, რომელიც აქტიურად შლის არაეთიკურ კომენტარებს და ამასთანავე ბლოკავს მომხმარებლებსაც იმავე პრინციპით. საქართველოში ოფიციალურად არ არსებობს კანონი, რომელიც დაარეგულირებს ამ საკითხს ან დაავალდებულებს რომელიმე მედიასაშუალებას, რომ გარკვეული კომენტარები წაიშალოს ველიდან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მედიაორგანიზაცია და მისი სოციალური ქსელი შეიძლება იყოს უფლებების შემლახველი კომენტარების გავრცელების არეალი.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია დავადგინოთ, რა საპასუხო რეაქცია აქვს ქართულ მედიასაშუალებებს ლგბტქ+ საზოგადოების უფლებების შემლახველი კომენტარების წინააღმდეგ. ამისათვის ჩვენ დავაკვირდით „მთავარი არხის“, „რადიო თავისუფლებისა“ და ტელეკომპანია „იმედის“ ფეისბუქ გვერდებს 2023 წლის მაისი-ივლისის პერიოდში, ვინაიდან ეს თემა სოციალურ ქსელში აქტუალური ხდება მაისში, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნის გამო და პიკს აღწევს ივლისში, თბილისის პრაიდის კვირეულში. „მთავარ არხსა“ და „იმედს“ ერთმანეთისგან განსხვავებული იდეოლოგიები აქვთ და სწორედ ამიტომ ყურადღება გავამახვილეთ იმაზეც, თუ რამდენად აქვს გავლენა მათ იდეოლოგიურ განსხვავებას ჩვენი კვლევის საგანზე. რაც შეეხება „რადიო თავისუფლებას“, გარკვეული პერიოდის წინ საქართველოში ის, ფაქტობრივად, იყო

ერთადერთი, რომელიც მედიას აკისრებდა პასუხისმგებლობას შეურაცხმყოფელი კომენტარების გამო. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად აგრძელებს „რადიო თავისუფლება“ ამ პრაქტიკას დღეს. ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ აკისრია თუ არა ქართულ სოციალურ მედიას პასუხისმგებლობა გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით დაწერილ არაეთიკურ კომენტარებზე და რას აკეთებს ის იმისთვის, რომ ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენელთა ინტერესებისა თუ უფლებების შელახვას ხელი არ შეუწყოს. ამისთვის საჭიროა ვიცოდეთ სად გადის ზღვარი გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობასა და კონკრეტული ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენის აღმოფხვრას შორის. აქედან გამომდინარე, კვლევის კითხვები შემდეგნაირია:

- რამდენად აქცევენ ყურადღებას ქართული მედიაარხები ლგბტქ+ საზოგადოების უფლებების დაცვას?
- რამდენად აქვთ ჩამოყალიბებული კონკრეტული მახასიათებლები, რომელთა გამოც შეიძლება აუდიტორიას გამოხატვის თავისუფლება შეეზღუდოს?

პასუხების დასადგენად თვისებრივი კვლევის მეთოდები გამოვიყენეთ: დოკუმენტების ანალიზი - რითაც ვიკვლიეთ თუ როგორ აშუქებს უცხოური თუ ქართული მედია ლგბტქ+ თემებს და ამასთან, რა პრაქტიკა არსებობს მსოფლიოში მედიასაშუალების მიერ თავის სოციალურ ქსელში უფლებების შემლახველი კომენტარების წაშლის კუთხით. კონკრეტულად საქართველოში არსებული ვითარების დასადგენად კი დავაკვირდით სამი ქართული მედიასაშუალების ფეისბუქგვერდებს, ლგბტქ+ თემასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოქვეყნებულ „ნიუსებს“ და პოსტების ქვეშ განთავსებულ კომენტარებს. ამით ჩვენ დავადგინეთ თუ რა სიხშირით იწერება მედიასაშუალებათა სოციალურ ქსელებში ინფორმაცია ლგბტქ+ ჯგუფის შესახებ, რა რეაქცია და დამოკიდებულება აქვს საზოგადოების ნაწილს და რამდენად უზრუნველყოფს ქართული მედია იმას, რომ მათი საშუალებით სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები არ გავრცელდეს. გარდა ამისა, ჩავატარეთ სამი ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ, რის საშუალებითაც შევძელით საკვლევი თემის ირგვლივ უშუალოდ ქართული მედიის პასუხისმგებლობასა თუ უკვე არსებულ გამოცდილებაზე დასკვნების გამოტანა. ეს ექსპერტები არიან ჟურნალისტი, ფსიქოლოგი და ლგბტქ+ აქტივისტი. ამით ჩვენ გავაანალიზეთ საკვლევი საკითხის სამი ძირითადი მიმართულება:

- რა პასუხისმგებლობა აკისრია მედიას აღნიშნული საკითხის ირგვლივ?
- რატომ ხდება საჭირო მედიასაშუალების მიერ ზოგჯერ კომენტარების წაშლა?
- რა გავლენის მოხდება შეუძლია საზოგადოების არაეთიკურ შეფასებებს ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენლებსა თუ სხვებზე?

თეორიული ჩარჩო

თანამედროვე საზოგადოება სიახლეებს, მაგალითად, ახალ ტექნოლოგიებს, იდეებს, გატაცებებს, მოდასა და ქცევის ახალ სტანდარტებს მუდმივად უპირისპირდება და გამოჩენისთანავე არ ითვისებს, თუნდაც იგი სასარგებლო და ლოგიკური იყოს. ინოვაციის გავრცელებას მედია და მასობრივი კომუნიკაციაც უწყობს ხელს. ადრე სიახლის ათვისების პროცესი მის გარეშე მიმდინარეობდა. თანამედროვე საზოგადოებაში კი ეს როლი მასმედიას ეკისრება - სწრაფად და რაც შეიძლება ფართოდ გავრცელოს ახალი ინფორმაცია და ამ გზით ბიძგი მისცეს სოციალურ ცვლილებებს (შამილიშვილი, მ. წერეთელი, მ. (2020) *ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი, თსუ*). ინოვაციების ათვისების მიმართ საზოგადოების მიმდებლობისა და მათი განწყობების კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის კომუნიკაციების ცნობილ თეორეტიკოსსა და მეცნიერს, ევერეტ როჯერსს. მის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მთელ მსოფლიოში, ნებისმიერ ქვეყანასა და ნებისმიერ საზოგადოებაში სიახლის მიმართ ტოლერანტული ადამიანი ცოტაა, ამიტომ უკვდავების წყაღიც რომ გამოვიგონოთ, აუცილებლად გამოჩნდება მოწინააღმდეგეების არმია. სიახლის მიღება სხვადასხვა შიშებთან და ინფორმაციის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული. მან გლობალურად ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიმუშავა ინოვაციების დიფუზიის მრუდი, რომელიც საზოგადოების სიახლის მიმართ დამოკიდებულებას გვიჩვენებს.

როჯერსის თანახმად, ინოვაცია კრიტიკულმა მასამ (34%) უნდა აითვისოს იმისთვის, რომ ის მდგრადი იყოს. მან საზოგადოება 5 ნაწილად დაყო: ინოვატორები, ადრეული ადეპტები, ადრეული უმრავლესობა, გვიანი უმრავლესობა და ჩამორჩენილები. (ინსტრუქტორის გზამკვლევი: ინოვაციის ათვისება, 2021) ინოვატორები ნებისმიერ საზოგადოებაში უმცირესობას 2.5%-ს შეადგენენ. ისინი არიან ცვლილების აგენტები, მამაცი ადამიანები, ტრენდის შემქმნელები და მისაბამი მაგალითები ადრეული ადეპტებისთვის, რომლებსაც ასევე ძალიან აინტერესებთ ახალი იდეები. ინოვატორებისთვის მთავარი სტიმული სიახლეა. გვიანი უმრავლესობა, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი (34%), კონსერვატორები არიან. მათ უჭირთ სიახლის მიღება, თუკი ის უკვე ფართო მასებში არ არის გავრცელებული. ჩამორჩენილები ტრადიციული ხალხია, რომელიც სკეპტიკურად უყურებს ნებისმიერ სიახლეს და მხოლოდ მაშინ იღებს ახალ იდეებს, როცა ისინი უკვე ძალიან მეინსტრიმული ან ტრადიციული ხდება. ისევე როგორც ტექნოლოგიებში, იდეებსა და გატაცებებში ინოვაციების ათვისების მიმართ ადამიანები არ არიან ტოლერანტულები, ასევეა ლგბტქ+ ჯგუფის მიმართ, ამიტომ ასეთ დროს მედია ხელს უნდა უწყობდეს უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლას, სტერეოტიპების მსხვრევასა და ამ ჯგუფის წევრების ინტეგრაციას საზოგადოებაში.

სოციალური მედიაკომპანიების ძალაუფლების შეზღუდვის საკითხზე სამეცნიერო წრეებში აქტუალური გახდა კონცეფცია „ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ შესახებ. „ციფრული

კონსტიტუციონალიზმი“ ჩამოყალიბდა, როგორც იდეათა ერთობლიობა, რომლის მიზანია ძირითადი უფლებების დაცვა და ძალაუფლების დაბალანსება ციფრულ სამყაროში. „ციფრული კონსტიტუციონალიზმი“ ახდენს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის ღირებულებების ადაპტაციას ციფრულ სამყაროსთან (Shengelia, N. 2021. “Fundamental Human Rights and Eroding Constitutionalism“, E-Journal of Law). დღეისთვის ჩვენთვის ცნობილი მეცნიერები, რომელთაც ჩამოაყალიბეს და განავითარეს „ციფრული კონსტიტუციონალიზმი“, არიან ედოარდო ჩელესტე და ნიკოლას სუზორი.

ედოარდო ჩელესტეს აზრით, ციფრულმა ტექნოლოგიებმა მიანიჭა უზარმაზარი ძალაუფლება არასახელმწიფო აქტორებს - მულტინაციონალურ კორპორაციებს, რომლებიც ფლობენ ან მართავენ ამ ტექნოლოგიებს და დააკნინა ტრადიციული კონსტიტუციური სუბიექტი სახელმწიფო. ეს ცვლილებები შეიძლება გლობალურად გაგებულ იყოს, როგორც კონსტიტუციური წონასწორობის დარღვევა, რომელსაც კონსტიტუციური სისტემა პასუხობს ნორმატიული კონტროლებით (Edoardo, C., Shengelia, N., 2021. Editorial of international conference on “Regulating Online Disinformation: Comparative Perspectives”, International Journal of Social Sciences). ნიკოლას სუზორის აზრით, “ციფრული კონსტიტუციონალიზმის“ პროექტი არის გადააზრება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ძალაუფლების შეზღუდვა ციფრულ საუკუნეში. „ციფრული კონსტიტუციონალიზმი“ გულისხმობს, რომ ჩვენ განვაავითაროთ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შეზღუდვის ახალი გზები რთულ სისტემაში, რომელიც მოიცავს სხვადასხვა მთავრობას, ბიზნესს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. სუზორის აზრით, საჯარო სამართალი კარგავს თავის ცენტრალურ როლს. შესაბამისად, კერძო კომპანიების მიერ შემუშავებული თვითრეგულირება იკავებს ცენტრალურ პოზიციას. ამავე დროს სუზორი აღნიშნავს, რომ ერთობლივი მმართველობის მცდელობები წარუმატებელია და ამდენად უმნიშვნელოვანესია საჯარო სამართლის მიერ მბოჭავი როლის შესრულება. კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ „ფეისბუქის“ მსგავსად, „ტვიტერი“, „გუგლი“, „მაიკროსოფტი“ და სხვა ტექნოლოგიური პლატფორმები შეიცავს სერიოზულ რისკებს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის, ასევე დემოკრატიის ფუნქციონირების თვალსაზრისით.

ფიზიკური სამყაროს პარალელურად ვირტუალური სამყაროს წარმოქმნამ ახალი სამართლებრივი სივრცის გაჩენა განაპირობა. ეს სამართლებრივი სივრცე იმართება კერძო კომპანიების მიერ. კერძო კომპანიები წყვეტენ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობის საკითხებს. საგულისხმოა, რომ აშშ-ში, სადაც დარეგისტრირებულია გიგანტური ტექნოლოგიური კომპანიების უმრავლესობა, იზრდება კრიტიკა პლატფორმების მიმართ. ტრადიციული მიდგომის თანახმად, ტექნოლოგიური კომპანიები თავისუფალი არიან შინაარსის რეგულირების საკითხებში, რადგან ისინი კერძო კომპანიებს წარმოადგენენ და აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება იცავს მათ მთავრობის ცენზურისგან. სოციალურ ქსელებში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის სიძულვილის ენა, რისი გამოვლენა და სოციალური

პლატფორმებიდან ამოღება მთელ რიგ პრობლემებს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილის ენა „ფეისბუქის“ საზოგადოებრივი სტანდარტების მიხედვით აკრძალულია, არ არსებობს სიძულვილის ენის საერთო განსაზღვრება და მისი გამოვლენა რთულდება სოციალური ქსელების ხელთ არსებული ინსტრუმენტებით. ხშირია სიძულვილის ენის შემცველი გამონათქვამების არასწორი იდენტიფიცირება და ამგვარად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

ლიტერატურის მიმოხილვა:

საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე პრიმა მუხლის შესაბამისად, დანაშაულად ითვლება რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირი, წერილობითი ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძალადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს. (კუბლაშვილი, მ., 2022. „სოციალურ ქსელში სიძულვილის ენის სამართლებრივი რეგულირება: არსებული მდგომარეობა და სირთულეები“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია). ამ ჩამონათვალში იგულისხმება, ცხადია, ლგბტქ+ ჯგუფიც და მათ მიმართ სიძულვილის ენის გამავრცელებელი კომენტარები. ამ შემთხვევაში ერთი მხარეა უშუალოდ კომენტარის ავტორი, ხოლო მეორე მხარეს დგას პლატფორმა, რომლითაც ეს კომენტარი ვრცელდება. თუ ვინაა ამ შემთხვევაში დანაშაულზე პასუხისმგებელი, ამ კითხვას პასუხი ევროპულმა სასამართლომ გასცა 2021 წელს, როცა დაადგინა, რომ საკუთარ გვერდზე სხვათა ისეთი კომენტარების გამო, რომლებიც სიძულვილის ენას შეიცავს, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს უშუალოდ ამ გვერდის მფლობელს. ეს კი არამხოლოდ კერძო პირებს, არამედ მედიასაშუალებათა სოციალურ ქსელებსაც მოიაზრებს. (Mc Cornilius, F., 2021, “Who is responsible for regulating hate speech online”).

„ჩვენ არ ვცდილობთ, შევზღუდოთ თქვენი იდეების გამოხატვა, მაგრამ არ ვაქვეყნებთ მასალებს, რომლებიც შეიცავს ცილისწამებას, დისკრედიტაციას, უხამსობას, ვულგარულობას, შეურაცხყოფას, ძალადობისკენ მოწოდებას, პორნოგრაფიას, მუქარას, დამცირებას, დისკრიმინაციას. ასევე არ ვაქვეყნებთ მასალებს, რომლებიც შეიცავს სიძულვილისკენ მოწოდებას ან კანონით იკრძალება. ვებსაიტის ადმინისტრაციამ შეიძლება, მიზანშეწონილად მიიჩნიოს ასეთი მასალების წაშლა“ (Times.ge, 2017) - რამდენიმე წლის წინ სწორედ ამ სიტყვებს წაიკითხავდით „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდზე. ეს მედიასაშუალება, როგორც ჩანს, იღებდა პასუხისმგებლობას დაებალანსებინა მის მიერ გავრცელებულ “ნიუსებთან” დაკავშირებით საჯაროდ დაწერილი კომენტარები და ამის ძირითადი ხერხი იყო შინაარსობრივად უფლებების შემლახველი და სიძულვილის ენის გამავრცელებელი მოსაზრებების წაშლა. დღეს ეს განცხადება „რადიო თავისუფლების“

გვერდზე აღარ გვხვდება, თუმცა რეალურად, ამ წლების განმავლობაში კანონიერად არაფერი შეცვლილა.

აღნიშნული საკითხი პირდაპირ გადაჯაჭვულია გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად „ყველას აქვს უფლება სიტყვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს, მოითხოვონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ წარმოებათა ლიცენზირება“ (“Freedom of Expression: Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human rights“, 2022, Council of Europe). ერთი შეხედვით, ეს მუხლი იცავს ადამიანის უფლებას, საჯაროდ გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება და მოსაზრებები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და „რადიო თავისუფლების“ ზემოთ მოყვანილი განცხადება პირიქით უზღუდავს საზოგადოების ნაწილს ამ უფლებას, მაგრამ, რეალურად, საქმე ასეთი მარტივი არაა. საკუთარი უფლების დაცვაზე საუბარი ზედმეტია მაშინ, როცა თუნდაც გამოხატული მოსაზრება უხეშად ლახავს სხვათა თავისუფლებებს. სწორედ ამიტომ, გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთია იმ უამრავ უფლებებს შორის, რომელთა შეზღუდვა არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ აუცილებელიცაა კონკრეტულ შემთხვევებში გარკვეული არგუმენტების საფუძველზე. გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა შეიზღუდოს თუკი ამით საფრთხის ქვეშ დგება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული უშიშროება, სხვათა უფლებები და ა.შ. ამ თავისუფლებათა განხორციელება (იმდენად, რამდენადაც აკისრებს მას ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას) შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალურებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2022).

რა ვითარებაა, ზოგადად, არაეთიკურ კომენტარებთან დაკავშირებით მედიის პასუხისმგებლობის კუთხით? "მედიაჩეკერის" მიერ გამოქვეყნებული 2018 წლის მონაცემების მიხედვით, მედიაორგანიზაციების 65%-ის კომენტარების სექციაში მათი ჟურნალისტების მიმართ შეურაცხმყოფელი მოსაზრებები იწერება (Mediachecker.ge, 2018) მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე მედიასამუალება შლის თავიანთი პოსტების ქვეშ დაწერილ შეურაცხმყოფელ კომენტარებს კონვენციის მე-10 მუხლით განსაზღვრული პირობების დაცვით. ერთ-ერთი გამოცემა, რომელიც კომენტარების სექციის გაუმჯობესებაზე დროსა და რესურსებს ხარჯავს, არის [The New York Times](#). გამოცემა მხოლოდ ზოგიერთ მასალაზე ტოვებს კომენტარების სექციას. ძირითადად, ეს სექცია ღიაა მასალის გამოქვეყნებიდან 24

საათის განმავლობაში. ამის გარდა, აღსანიშნავია „The Guardian“-იც. ის აანალიზებს კომენტარებს და აწვდის მკითხველს ინფორმაციას, რა შინაარსის მოსაზრება დაიშვება და რომელი დაიბლოკება. სწორედ ისე, როგორც ეს “რადიო თავისუფლებას” ჰქონდა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ამ უკანასკნელის ვებგვერდზე მსგავსი შინაარსის განცხადება ამ დროისათვის აღარ იძებნება. როგორც ჩანს, ამ მედიასაშუალებამ კომენტარების ბალანსის აუცილებლობა ვერ დაინახა. ეს დამოკიდებულება დღესდღეობით მსოფლიოსთვის უცხო არ არის. არაეთიკური კომენტარების წაშლაზე დროსა და რესურსს არ ხარჯავენ ისეთი უცხოური მედიასაშუალებები, როგორებიცაა “CNN”, “The Verge”, “Reuters”, “Toronto Star”, “Popular Science” და ა.შ. 2016 წელს მათ რიგებს შეუერთდა ამერიკული “VICE NEWS”. არგუმენტი, მათივე წარმომადგენლების განცხადებებით, ისაა, რომ ძალიან ხშირია სხვადასხვა შინაარსის შეურაცხმყოფელი კომენტარები, რაც უკვე მონიტორინგს აღარ საჭიროებს.

კვლევის მიგნებები

როგორც აღმოჩნდა, ლგბტქ+ თემის შესახებ ქართულ მედიასაშუალებათა ფეისბუქგვერდებზე პოსტები ხშირად არ იდება. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით “ნიუსების” გავრცელებას გვერდს უვლიან, მაგრამ სოციალურ ქსელში გადმოტანის აუცილებლობას, აშკარაა, რომ ხშირად არც ხედავენ. საზოგადოების დამოკიდებულება კი იმ რამდენიმე პოსტზე დაკვირვებითაც შეიძლება დავადგინოთ. პოსტებზე ყველაზე ხშირად ორი - სიცილის ან სიბრაზის რეაქციაა გამოხატული და, ლოგიკურია, კომენტარებიც, ძირითადად, მსგავსი შინაარსისაა. თითოეული “ნიუსის” ქვემოთ სიძულვილის ენის შემცველი და ლგბტქ+ ჯგუფის უფლებების შემლახველი ძალიან ბევრი კომენტარია, რაც ცხადყოფს, რომ საქართველოში კომენტარების რეგულირებასა და კონვენციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას ყურადღება საერთოდ არ ექცევა. განვიხილოთ ჩვენ მიერ შესწავლილი მედიასაშუალებების მაგალითები ცალ-ცალკე: “მთავარ არხზე” 2023 წლის მაისიდან ივლისის ჩათვლით ლგბტქ+ თემასთან დაკავშირებით ფეისბუქგვერდზე განთავსებული პოსტების ქვეშ დაწერილი კომენტარების დაახლოებით 76.8% სიძულვილის ენის შემცველია. აღნიშნული საკითხის ფარგლებში გავრცელებული ინფორმაციის თითქმის ყველა კომენტარი არაეთიკურია ტელეკომპანია “იმედის” შემთხვევაში. მის ფეისბუქგვერდზე კომენტარების ეს მაჩვენებელი დაახლოებით 99.8%-ს უდრის. შედარებით და აშკარად კარგი ვითარებაა “რადიო თავისუფლების” სოციალურ ქსელში დაწერილ კომენტარებთან მიმართებით. სამი თვის განმავლობაში ლგბტქ+ თემის შესახებ გამოქვეყნებულ “ნიუსებზე” კომენტარების დაახლოებით 49.4 პროცენტია ამ ადამიანების უფლებების შემლახველი, რაც, მიუხედავად იმისა, რომ დიდი რიცხვია, ჩვენ მიერ გამოკვლეულ მედიასაშუალებებთან შედარებით ყველაზე კარგი შედეგია. ეს გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას, რომ შესაძლოა “რადიო თავისუფლება” თუ სრულყოფილად არა, გარკვეულწილად მაინც მისდევდეს იმ კომენტარების ბალანსირების პრინციპს, რომლებიც,

ფაქტობრივად, ამ მედიასაშუალებების დახმარებით ვრცელდება. სამწუხაროდ, ამის დაზუსტებით თქმა არ შეგვიძლია, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსგავსი განცხადება ამ მედიასაშუალებების ვებგვერდზე გამოქვეყნებული აღარაა.

ქართულ სოციალურ მედიაში პუბლიკაციები ლგბტქ+ თემის ირგვლივ იშვიათი არ არის. რაც შეეხება კომენტარებს, შეურაცხმყოფელი, უხამსი და დამამცირებელი ხასიათის კომენტარები ამ თემატიკის პუბლიკაციების თანმდევი ნაწილია. საზოგადოების ნაწილი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს თემის წარმომადგენლების მისამართით, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომენტარების ველში მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება არ იკვეთება, არამედ გვხვდება ტოლერანტული მოსაზრებებიც. ჟურნალისტის აზრით, მედია პასუხისმგებელია უარყოფითი შინაარსის (სიძულვილის ენის შემცველ) კომენტარებზე. სწორედაც პასუხისმგებლობიანი მედიის არსი ისაა, რომ მისი მეშვეობით არ გავრცელდეს სიძულვილის ენა. „მან შეძლებისდაგვარად უნდა აღკვეთოს სიძულვილის ენის ტირაჟირება და ასეთის არსებობისას უნდა იზრუნოს ამ კომენტარების წაშლაზე. ამ ეტაპზე არ არსებობს ზოგადი კანონი, რომელიც ამგვარ კომენტარებს დაარეგულირებს, მაგრამ მედიაორგანიზაციების ნაწილს აქვს შიდა რეგულაციები, რომელთა დაცვა არის თითოეული მედიაორგანიზაციის პრეროგატივა“, - აღნიშნავს ჟურნალისტი. რამდენად იცავს სოციალური მედია ეთიკის ნორმებს და რამდენად იბრძვის იმისთვის, რომ არ იყოს გამოყენებული მათ გვერდზე სიძულვილის ენა, ამის გადაჭრით თქმა მხოლოდ კვლევის ჩატარების შემდგომია შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტი ფიქრობს, რომ მედიათა უმრავლესობა არ არის ფოკუსირებული სიძულვილის ენის აღკვეთისკენ. ჟურნალისტი ამბობს, რომ ერთის გამოხატვის თავისუფლება არ უნდა ზღუდავდეს სხვის თავისუფლებას, არ უნდა მოიცავდეს შეურაცხყოფას, სიძულვილის ენას, შუღლის გაღვივების მოწოდებებს და ა.შ.

სოციალური ფსიქოლოგი ამბობს, რომ უარყოფითი სახის კომენტარები საზოგადოებაზე ძალიან დიდ ნეგატიურ გავლენას ახდენს მის თვითშეფასებაზე, კარგად ყოფნასა და სხვა ბევრ ფაქტორზე. არამხოლოდ მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში, ზოგადად ადამიანის იდენტიფიცირების გარეშეც უარყოფითი გავლენის მქონე შეიძლება იყოს, განსაკუთრებით კი ისეთი ჯგუფისთვის, რომელიც უკვე განიცდის გარკვეულ სტრესსა და წნეხს უამრავი ადამიანის მხრიდან. ხშირ შემთხვევაში ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენლებს უკვე აღენიშნებათ ხოლმე დეპრესიული ფონი, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს საზოგადოების მხრიდან წამოსული ნეგატიური განწყობა, რაც ყველაზე ხშირად დღესდღეობით სოციალური ქსელების საშუალებით ხდება.

საზოგადოების ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება იყოს „გადამდები“ კომენტარების საშუალებით. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვყოთ ადამიანების ორი კატეგორია: ერთი, რომელსაც უკვე აქვს ნეგატიური განწყობა რომელიმე ჯგუფის მიმართ და შემდეგ უკვე საკუთარ თავსაც აძლევს იმავეს გაკეთების უფლებას, ვინაიდან ადამიანები, ზოგადად, კონფორმიზმისკენ არიან მიდრეკილნი. და მეორე - ვისაც არც უფიქრია ამ თემაზე

და ძირითადი ინფორმაცია, რასაც აწყდება, არის ნეგატიური კომენტარები, რომელსაც საზოგადოება დროდადრო აჰყვება ხოლმე. ნაკლებად შესაძლებელი სცენარია, როცა ადამიანები ბოლომდე ჩამოყალიბებულნი არ არიან თავიანთ მოსაზრებებში, მაგრამ ბევრი ნეგატივის შედეგად უჩნდებათ უსამართლობის განცდა. გამონაკლისის შემთხვევაში შეიძლება ამას პოზიტიური გავლენაც ჰქონდეს, რასაც ემპათიამდე მივყავართ.

თუ ნეგატიური აზრების გავრცელების წინააღმდეგ მედიამ კომენტარების წაშლით უნდა იბრძოლოს, ამ შემთხვევაში უკვე მეორე კითხვის ნიშანი ჩნდება: რა რეაქცია ექნება კომენტარის ავტორს წაშლის შემთხვევაში და რამდენად აღიქვამს ამას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად. ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგის თქმით, კომენტარის წაშლა, ფრუსტრაციასა და ბრაზის დონეს გაზრდის და განწყობებიც უფრო ნეგატიური გახდება ლგბტქ+ ჯგუფის მიმართ. ნეგატიური ტიპის კომენტარების წაშლა კიდევ უფრო გაამყარებს მათში გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ნარატივს.

ადამიანისთვის სხვაზე იერიშის გადატანა მარტივია მაშინ, როდესაც მის პირისპირ არ იმყოფება. ადამიანებს შეუძლიათ შეურაცხყოფა მიაყენონ, დაემუქრონ და დააშინონ როდესაც მეორე ადამიანის რეაქციას ვერ ხედავენ, ეს რეაქცია კი, როგორც წესი, იქნებოდა შფოთვა, შიში, ბრაზი და სევდა. როდესაც კომენტარები მიემართება ჯგუფს და არა - კონკრეტულ ადამიანს, ავტორი ვერ აღიქვამს, რომ მისი სიტყვები შეიძლება დიდ ზიანს აყენებდეს კონკრეტულ ადამიანსაც.

ცალკე საკითხია, რომ ადამიანები საჯაროდ კომენტარს წერენ ძირითადად მაშინ, როდესაც რაღაც ძალიან მოსწონთ ან არ მოსწონთ, ამიტომ ძირითადად სოციალურ მედიაში რადიკალური შეხედულებები გვხვდება. ნეგატიური კომენტარების წაშლა კი საფრთხეს არ შეუქმნის აზრთა მრავალფეროვნებას, რადგან როდესაც ადამიანების მიზანი საკუთარი აზრის გახმოვანებაა, ამ დამოკიდებულებას სხვათა უფლებების შეზღუდვის გარეშე გააკეთებს.

ადამიანებისთვის, რომლებსაც ეს კომენტარები მიემართებათ, რთული გადასატანია მათი კითხვა სისტემატურად. საშუალოდ ნეგატიური შედეგი იქნება ის, რომ იმოქმედებს თვითშეფასებაზე, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და სოციალიზაციაზე. უკიდურეს შემთხვევაში კი ადამიანი მიდის თვითმკვლელობის მცდელობამდე და თვითდაზიანებამდე.

ჟურნალისტისგან განსხვავებით, აქტივისტი ფიქრობს, რომ ლგბტქ+ თემებს ქართულ სოციალურ მედიაში უფრო მაშინ აშუქებენ, როცა რაიმე მძიმე ამბავი მოხდება. საზოგადოების მხრიდან წამოსული უარყოფითი კომენტარების რაოდენობა კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ეხება ამბავი და რომელი მედია აშუქებს მას. „საზოგადოების დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია სკანდალზე ორიენტირებული,

არაეთიკური და პროპაგანდისტული მედიის მიერ გაშუქებული ამბების კომენტარებში“, - ამბობს ის. მედია აღარ არის მხოლოდ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ნიუსი. მედიის ნაწილია ის, რაც ამ "ნიუსის" ქვეშ კომენტარების სახით ხდება, ამიტომ ნაწილობრივ მედიაც უნდა იზიარებდეს პასუხისმგებლობას უარყოფითი სახის კომენტარებზე. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ მედია ადამიანს ინფორმირებული აზრის ჩამოყალიბებასა და არჩევანის გაკეთებაში უნდა დაეხმაროს, შესაბამისად, მისი უპირველესი დანიშნულებაა, რომ მაქსიმალურად დაიცვას თავისი პლატფორმა ხელოვნურად მოტივირებული, სიძულვილის შემცველი და ძალადობისკენ მომწოდებელი აზრების შემცველი კომენტარებისგან. აქტივისტი ფიქრობს, რომ უარყოფითი შინაარსის მარეგულირებელი კანონის ნაცვლად უმჯობესია გამოსავალი მედიის თვითრეგულირება იყოს. ძალადობისკენ მოწოდება ყველაზე მარტივი ინდიკატორია იმისათვის, რომ მივიღოთ კომენტარის წაშლის გადაწყვეტილება. მისთვის გაუგებარია ლგბტქ+ ადამიანებისა და კომენტარების ავტორთა გამოხატვის თავისუფლების ერთმანეთთან შეპირისპირება, რადგან ვინმეს გამოხატვის თავისუფლება თუ ირღვევა, ეს სწორედ ლგბტქ+ ჯგუფია. „განსაკუთრებით ბოლო წლებში გადადგა ქვეყანამ ნაბიჯები უკან. 2021 წელს ვერ შევიკრიბეთ ქუჩაში და ჩავატარეთ რამდენიმე კერძო, დახურული ივენთი. 2023 წელს ვერც ეს მოვახერხეთ, რადგან საზოგადოების ნაწილმა კერძო ტერიტორია დაარბია“, - ამ მაგალითით ამტკიცებს აქტივისტი, რომ მხოლოდ ლგბტქ+ საზოგადოების გამოხატვის თავისუფლება ილახება და არა მათზე დაწერილი უარყოფითი კომენტარების ავტორებისა.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უშუალოდ მედიის მიმართ არ არსებობს რაიმე სახის კანონი, რომელიც მედიასაშუალებებს დაავალდებულებს მათ მიერ გამოქვეყნებული „ნიუსების“ კომენტარები აკონტროლოს და სიძულვილის ენის შემცველი მოსაზრებები წაშალოს. არამხოლოდ საქართველოში, მსოფლიოს მასშტაბით მედიაორგანიზაციების ძირითადი ნაწილი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას იმ კომენტარებს, რომლებიც, ფაქტია, მათი საშუალებით ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ კანონიერად, ერთი შეხედვით, არაფერი ირღვევა, ფაქტობრივი შედეგები თვალმისაცემია. ლგბტქ+ ჯგუფის მიმართ სხვადასხვა მედიაორგანიზაციის სოციალურ ქსელში განთავსებული შეურაცხმყოფელი კომენტარები უარყოფით გავლენას ახდენს როგორც უშუალოდ ლგბტქ+ ადამიანზე, ასევე სხვათა დამოკიდებულებებზეც მათ მიმართ. ხოლო რამდენადაც მედია მსგავსი უმოქმედობით ხელს შეუწყობს, როგორც მინიმუმ, სტერეოტიპების გავრცელებას ლგბტქ+ ჯგუფის მიმართ და მათი უფლებების შელახვას, სასურველია საკითხი თვითრეგულირების ფარგლებში მაინც გადაიჭრას.

რაც შეეხება მეორე მხარეს - ირღვევა თუ არა კომენტარების წაშლით ავტორთა გამოხატვის თავისუფლება, კითხვაზე პასუხი ცალსახაა: გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციურად აუცილებელია გარკვეული პირობების შემთხვევაში, მათ შორის მაშინაც,

თუკი ამით სხვათა უფლებები ილახება. ამ შემთხვევაში სიძულვილის ენის გამავრცელებელ კომენტარს უფრო დიდი ზიანი შეიძლება მოჰყვეს საზოგადოების ნაწილის მიმართ, რაც ასევე ამართლებს მის წაშლას.

ცალსახაა, რომ ქართულ მედიაში ლგბტქ+ ჯგუფის წარმომადგენელთა უფლებებზე ზრუნვა, რაც არაეთიკური კომენტარების წაშლით გამოიხატებოდა, მიღებული პრაქტიკა არ არის და შესაბამისად, არც ის კონკრეტული მახასიათებლებია ჩამოყალიბებული, რის გამოც შესაძლოა კონკრეტული კომენტარები სამართლიანად წაიშალოს.

ბიბლიოგრაფია

ინსტრუქტორის გზამკვლევი: ინოვაციის ათვისება, 2021.
<https://lms.techclubs.ge/mod/page/view.php?id=153> (ნანახია 09.01.2024)

კუბლაშვილი, მ., 2022. „სოციალურ ქსელში სიძულვილის ენის სამართლებრივი რეგულირება: არსებული მდგომარეობა და სირთულეები“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

შამილიშვილი, მ. წერეთელი, მ. 2020. *ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი. თბილისი, თსუ*

Edoardo, C., Shengelia, N., 2021. Editorial of international conference on “Regulating Online Disinformation: Comparative Perspectives”, International Journal of Social Sciences, Volume 1. Issue 1

“Freedom of Expression: Guide to the Implementation of Article 10 of the European Convention on Human rights“, 2022, Council of Europe

Mc Cornilius, F., 2021, “Who is responsible for regulating hate speech online”.
<https://openculture.agency/who-is-responsible-for-regulating-hate-speech-online/>

(ნანახია 10.01.2024)

Shengelia, N. 2021. “Fundamental Human Rights and Eroding Constitutionalism“, E-Journal of Law
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> (ნანახია 11.01.2024)

<https://www.mediachecker.ge/ka/etika/article/57452-komentarebis-marthva-gamotsveva-mediisthvis> (ნანახია 11.01.2024)

<https://www.ttimes.ge/archives/81688> (ნანახია 09.01.2024)



კრიმინალური ავტორიტეტების საფლავები, როგორც მეხსიერების ადგილები,
საქართველოში

ნინო ხატისაშვილი
თინათინ ჭავჭავანიძე

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nino.khatisashvili840@sps.tsu.edu.ge

E-mail: tinatin.tchavtchanidze241@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

მეხსიერების პოლიტიკა კომპლექსური ფენომენია და გულისხმობს კონკრეტული აქტორების ძალისხმევას, წახალისონ საზოგადოების მიერ რაიმე კონკრეტული თემატიკის დამახსოვრება ან დავიწყება, ჩამოაყალიბონ წარსულის დეტერმინირებული ინტერპრეტაცია ან გადააფასონ უკვე არსებული (ქარაია, 2023). ამისათვის აქტორები იყენებენ სხვადასხვა მნიშვნელოვან (ანუ დამახსოვრებით) ხერხს, მათ შორისაა ე.წ. “სამგლოვიარო ხელოვნების” იდეა, ანუ სამგლოვიარო სივრცეებისათვის სპეციალური დაკვეთით შექმნილი ის ობიექტები, რომელნიც უზრუნველყოფენ ინდივიდუალური მეხსიერების შენარჩუნებას (Oliveto, 2022). სწორედ ეს უკანასკნელი ფენომენი იკვეთება ჩვენი კვლევის საკითხში: კრიმინალური ავტორიტეტები 90-იანი წლებიდან დღემდე აქტიურად იყენებენ მეხსიერების პოლიტიკის ფორმულებს ორი ძირითადი მიზნის გამო: 1) წახალისონ მათი სუბკულტურა ქართული საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში ; 2) გახადონ სუბკულტურა უფრო მეტად აქტუალური.

კვლევის უმთავრესი მიზანია შევისწავლოთ კრიმინალური ავტორიტეტების სუბკულტურის რეპრეზენტაცია (არსებული სოციალურ - კულტურული და პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით). კვლევა მოიცავს თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვას, ანალიზს, კონკრეტული ობიექტების ადგილზე გაცნობასა და თვისებრივი კვლევის მეთოდებს: დოკუმენტის ანალიზსა და სიღრმისეულ ინტერვიუს. თეორიულ ჩარჩოდ ავირჩიეთ პიერ ნორას კონცეფცია “მეხსიერების ადგილების” შესახებ.

საკვანძო სიტყვები: კანონიერი ქურდები, მემორიალი, მეხსიერება, პოლიტიკა.

შესავალი

საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე “ქურდული სამყაროს” მონაცემების მოპოვება რთული და არასრულფასოვანია, რადგან ამ ინსტიტუტის წარმომადგენელთა უმრავლესობა საკუთარ წარმომავლობას კარგად ნიღბავს. მათი საქმიანობისა და ავტორიტეტის შესახებ ცნობილი, ძირითადად, მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ ხდება, როცა სახელმწიფოს მხრიდან უკვე ვეღარ იდენტიფიკაციას, მაგრამ შეიქმნება იდეისა და პიროვნების დადებითი ხატი. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური მონაცემები კანონიერ ქურდთა საფლავების სრულ რაოდენობაზე არ არსებობს, მაგრამ სხვადასხვა მსხვილ საინფორმაციო წყაროსა და კვლევით მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში გამოიყოფა ორი მსხვილი რეგიონი, რომელშიც აღნიშნული საკითხი ყველაზე მეტადაა აქტუალური და პრიორიტეტული, ესენია: იმერეთი, კერძოდ კი ქუთაისი და ხონი, ხოლო მეორე - თბილისი. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს უდიდესი ქალაქების ბოლოდროინდელ დემოგრაფიულ მონაცემებს, თბილისისა და იმერეთის რეგიონები მოსახლეობის რიცხვითი მონაცემების მიხედვით, შესაბამისად, პირველ და მეორე ადგილებს იყოფენ, ხოლო უშუალოდ ქალაქთა მოსახლეობის მიხედვით, ქუთაისი მესამე ადგილზე დგას (საქართველოს სტატისტიკის

ეროვნული სამსახური, 2023). შესაბამისად, სუბკულტურის სარეპრეზენტაციოდ ყველაზე დიდი სამიზნე აუდიტორიაა შერჩეული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1)§1 ასამართლებს საქართველოს მოქალაქეებს “ქურდულ სამყაროში” მონაწილეობის ან მათ კრიმინალურ კულტურასთან კავშირის საფუძველზე (Supremecourt, 2014). მეორე მხრივ, ქვეყანაში დასჯადია ისეთი სიმბოლოების გამოყენება, რომელიც უკავშირდება პოლიტიკური დანაშაულებრივი ჯგუფების ისტორიას, რომელთა შორისაცაა ნაცისტური და საბჭოური ნიშნები. თუმცა ამჟამინდელი არცერთი კანონ-კრებული არ ითვალისწინებს ორგანიზებული დანაშაულის წევრთა სუბკულტურის მახასიათებელი სიმბოლოების გამოყენების შეზღუდვას, ან - აკრძალვას. მსგავსმა დაუბრკოლებელმა გარემომ ხელი შეუწყო კრიმინალური ავტორიტეტების სუბკულტურის რეპრეზენტაციას იმ კუთხით, რომელიც კვლევაშია წარმოდგენილი.

მეთოდოლოგია

მოცემული კვლევის მიზანია საქართველოს მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერებისა და კონკრეტული ობიექტებისა თუ დოკუმენტების კვლევით დადგინდეს, რა სპეციფიკური ასპექტები გამოიყოფა, ერთი მხრივ, კანონიერ ქურდთა სასაფლაოების სიმბოლურ კონსტრუირებაში და მეორე მხრივ, როგორ აღიქვამს ამას თვითმხილველი. ეს კი იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, თუ რამდენად სრულყოფილად ასრულებს თავის დანიშნულებას აქტორების მიერ შემუშავებული “სამგლოვიარო ხელოვნების” მნემონიკური ტექნიკა მოცემულ პოლიტიკურ კონტექსტში. შესაბამისად, კვლევის კითხვები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- როგორ რეპრეზენტირდება კრიმინალურ ავტორიტეტთა სუბკულტურა.
- რა წარმოდგენის შექმნას ცდილობს საზოგადოებისთვის.

კვლევაში გამოვიყენეთ თვისობრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: დოკუმენტთა ანალიზის მემეგობით შევისწავლეთ სხვადასხვა სტატია და რეპორტაჟი, რომელიც მეტნაკლებად ეხებოდა კანონიერ ქურდთა საფლაოების მოწყობა-მართვის საკითხს. გავანალიზეთ ჟურნალისტთა და ფოტოგრაფთა მიერ მომზადებული ფოტომასალა, რომელსაც, ურთიერთშედარების მიზნით, დაჯურთეთ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. ჩატარდა შვიდი სიღრმისეული ინტერვიუ თბილისსა (ოთხი რესპონდენტი) და ხონში (სამი რესპონდენტი), რომელთაგან ორი წარმომადგენელი (ხონელი) აქტიურად სტუმრობდა სასაფლაოებს, პატივის მიგების მიზნით.

ლიტერატურის მიმოხილვა

მეხსიერების პოლიტიკის საკითხებით აქტიური დაინტერესება იწყება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან. გაჩნდა უამრავი თეორიული ჩარჩო, რომელთაგანაც ნაწილი ხსნის იმას, თუ როგორ ემსახურება სხვადასხვა სოციალური აქტი კონკრეტული საკითხის “მეხსიერების” დამკვიდრებასა

და პოპულარიზაციას. ამ ჩარჩოებს ზუსტად მიესადაგება ფრანგი აკადემიკოსის, პიერ ნორას ე.წ. „მეხსიერების ადგილების“ კონცეფცია (“Liex De Memories”). ნორას მიხედვით, კონკრეტული სიმბოლური ფენომენები მოქმედებენ საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაზე და ხელს უწყობენ დამახსოვრების პოლიტიკას (ქარაია, 2023). სწორედ ამ სიმბოლურ ფენომენებს განეკუთვნება მემორიალები და პანთეონები (ჩვენს შემთხვევაში, საფლავები). ეს უკანასკნელი მთლიანად ეყრდნობა “სამგლოვიარო ხელოვნების,” იდეას: კონკრეტული სამგლოვიარო სივრცეებისათვის სპეციალური დაკვეთით შეიქმნას ისეთი ნივთები, რომელნიც კონკრეტული ინდივიდის ხსოვნას შეინარჩუნებენ (Oliveto, 2022). მკვლევრის შენიშვნით, სამგლოვიარო ხელოვნების იდეა ისტორიულად არ იყო გათვლილი ყველა ადამიანის ინდივიდუალურობაზე, ვინაიდან ის უკავშირდებოდა დიდგვაროვნების, ეპოქალური გმირების, გავლენიანი პირების პოპულარიზაციას და ჯამში ქმნის ასმანის მიერ გამოყოფილ “კულტურულ მეხსიერებას” (Assman, 1995). როგორც ასმანი განმარტავს, კულტურულსა და კომუნიკაციურ მეხსიერებას შორის სწორედ ის მთავარი განსხვავებაა, რომ კომუნიკაციურში ყველა ინდივიდი თანაბრად ატარებს და ქმნის მეხსიერებას, ხოლო კულტურულში თითოეული - ატარებს. მაგრამ შემქმნელის სტატუსი მხოლოდ სოციუმის რჩეულთ ენიჭებათ. აქედან გამომდინარე, სულაც არაა გასაკვირი, თუ რატომ დამკვიდრდა კანონიერ ქურდთა სუბკულტურაში ორიგინალური და სიმბოლიკებით დატვირთული სამარხების დეკორირების ხელოვნება, - ამით ხაზი უნდა გაესვას გარდაცვლილი პიროვნების მაღალ იერარქიულობას და, რაც მთავარია, უნდა უზრუნველყოს პიროვნული კულტისა და იდეოლოგიის (მოცემულ შემთხვევაში, კრიმინალური, “ქურდულის”) ხსოვნა-დამახსოვრება. უახლოეს პერიოდში გაკეთდა არაერთი ტელერეპორტაჟი და გაირკვა, რომ კანონიერი ქურდების მეხსიერების პოლიტიკა არ ხორციელდებოდა მხოლოდ ინდივიდუალურ ან სოციალურ დონეზე, გამოიკვეთა აშკარა მხარდაჭერა ძალაუფლების მქონე ხელისუფლების პირებიდან. 2020 წლის “Formula News-ის” 9:04 წუთიანი იუთუბ - ვიდეომასალიდან ირკვევა, რომ ვაკის უბნის სასაფლაოს ადმინისტრაციამ გაუმჭვირვალე სიტუაციაში ფარულად და არაკანონიერად დაუმტკიცა “კანონიერ ქურდთა სამმოს” დასაკრძალი ტერიტორია, რაზედაც მათ ჟურნალისტებს არაკომპეტენტური და არასრულყოფილი კომენტარი გაუკეთეს (Youtube, 2020). იმავე წელს ჩაიწერა და გამოქვეყნდა ჟურნალისტ ბექა ყორშიას სიუჟეტი, სადაც ქართველი პოლიტიკოსი, პარტია “თავისუფალი საქართველოს” ყოფილი წევრი და პარლამენტარი, გოგი წულაია აცხადებს, რომ მიუღებელია კრიმინალის საფლავი იყოს მოვლილი და პოპულარიზებული მაშინ, როცა პანთეონებში სახელმწიფო მოღვაწეთა საფლავები “მიყრუებული და გაუბედურებულია” (TvMtavari, 2020). ეს ადასტურებს იმას, რომ ბრაიან კონვეის (2010) დამახსოვრების თეორიის მიხედვით, იკვეთება მეხსიერების ინსტიტუციონალურ დონეზე ფორმირება, ანუ საკითხი ირიბად წაქეზებულია საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების მიერ და ეფუძნება ორმხრივ გარიგებას მთავრობასა და ქურდულ სამყაროს შორის, კერძოდ: პარტია “ქართული ოცნება” პოლიტიკურ ღონისძიებებში ძლიერი და მრავალრიცხოვანი კრიმინალური სამყაროს მხარდაჭერის სანაცვლოდ ხელს უწყობს ფარულად მათი სუბკულტურის “კოლექტიურ და კულტურულ” მეხსიერებად ქცევას და არ მიმართავს არანაირ დავიწყების იმ შვიდ მექანიზმს, რომელზედაც საუბრობს პოლ კონერტონი (ჯონსი და თორია, 2022). ამ ტენდენციას, ასევე, მიესადაგება ორგანიზებული დანაშაულის ის

კონცეფცია, რომ მეხსიერების შექმნის მცდელობისას ხშირად მოქმედებს ე.წ. “მფარველ-კლიენტური” ურთიერთმიმართების გამოყენება, რომელიც მთლიანად პატრონაჟის სისტემას ემყარება და გულისხმობს ძალაუფლების მქონე ავტორიტეტების მიერ კონკრეტული აქტორების არაკანონიერ მფარველობას (კუხიანიძე, 2013).

შედეგები/დისკუსია

კვლევის მიმდინარეობისას შევისწავლეთ ორი უმსხვილესი რეგიონის, თბილისისა და იმერეთის, სამი სასაფლაო და ოთხი სხვადასხვა კანონიერი ქურდის საფლავი: კახა “გალსკი” ფარფალიას (გარდაიცვალა 2020 წელს) სამარხი საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე (თბილისი), გია მანაგაძის (გარდაიცვალა 2010 წელს) სამარხი საფიჩხიის სასაფლაოზე (ქუთაისი) და შოთა გაგუასა (გარდაიცვალა 2014 წელს) და გია “დუდუკა” ფირცხალავას (გარდაიცვალა 1998 წელს) საფლავები ხონში (იხილეთ დანართი). პირველი და წამყვანი ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა, ისაა, რომ კანონიერ ქურდთა საფლავის მორთულობა დამოკიდებულია გარდაცვლილის გავლენებსა და მისი გარდაცვალების დროზე. 90-იანი წლებიდან ნელ-ნელა ვულკანური ქვები ნაცვლდება ძვირფასი მარმარილოთი, ხოლო ქურდული სუბკულტურისთვის დამახასიათებელ “ჩაცუცქვას” დიდების სავარძელში ჩაჯდომა ანაცვლებს. აუცილებლად აღსანიშნავია საფლავების ადგილმდებარეობა: კანონიერ ქურდთა დასაკრძალავად ყოველთვის ირჩევა სასაფლაოს ყველაზე დიდი და თვალშისაცემი ადგილები, რასაც ადასტურებს ის, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი საფლავებიდან ყველა სავალი გზის პირას მდებარეობს, ხოლო კახა ფარფალიას საფლავი (იხ. მეორე ფოტო) კი პირდაპირ ეკლესიის გვერდითაა, რაც, ცხადია, განაპირობებს იმას, რომ ოთხივე საფლავი მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მნიშვნელოვანია საკრალური სიმბოლიკის გამოყენება: გია მანაგაძის მარმარილოს საფლავს მტირალი ანგელოზისა და მტრედის, როგორც სულიწმინდის, სიმბოლოები “ამშვენებს” (იხ. პირველი ფოტო), შოთა გაგუას საფლავს ქანდაკება არ ახლავს, თუმცა გარდაცვლილი ტუფის ქვაზე ეკლესიისა და მშვენიერი ბაღის ფონზეა გამოსახული, რაც შეიძლება სამოთხეს განასახიერებდეს (იხ. მე-3 ფოტო), ხოლო გია ფირცხალავას საფლავზე გვხვდება ქვის ჯვარი და ეკლესიის ფორმის სასანთლები (იხ. მეოთხე ფოტო). რა თქმა უნდა, არ იკარგება ქურდული სუბკულტურის გამომხატველი სიმბოლოები: ყველა სასაფლაოზე პომპეზურადაა წარმოდგენილი რვაქიმა ვარსკვლავი ან, როგორც ბარელიეფი, ან, როგორც - ქვაზე ნახატი, ან, როგორც - ყვავილებით აწყობილი თაიგული. კრიმინალების პორტრეტში მარჯვენა ხელის „აუცილებელი ატრიბუტია“ სიგარეტი, ხოლო შოთა გაგუას მარცხენა ხელში კრიალოსანიც უჭირავს. ზემოაღნიშნული ტენდენციები რომ აქტიურად იქცევეს თვითმხილველთა ყურადღებას და მოქმედებს მათ კოლექტიურ მეხსიერებაზე დადასტურდა რამდენიმე ფაქტით. პირველი არის ის, რომ 2013 წელს ქუთაისში ტურისტის სტატუსით ჩასულმა ფოტოგრაფმა, სერგეი ჟ. სტროიტელოვმა, ტაქსით მგზავრობისას შემთხვევით აღმოაჩინა გია მანაგაძის პომპეზური საფლავი და მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი პროფესიის კუთხით მუშაობას არ აპირებდა, ნანახით იმდენად მოიხიბლა, რომ ამერიკულ-კანადურ გაზეთ “VICE“-სთვის სტატიაც კი მოამზადა მასზე (არაჩანდა, 2014). როგორც მისი ინტერვიუდან ირკვევა, საფლავების კვლევისას ადგილზე

მუდმივად ხვდებოდა კრიმინალური დაჯგუფების ერთი წევრი მაინც, რომელთაგან ერთ-ერთი სიკვდილითაც კი დაემუქრა, თუ სტროიტელოვი ამ ფოტოებს ავტორიტეტთა წინააღმდეგ გამოიყენებდა. რაც შეეხება კახა ფარფალიას საფლავს, აქ ერთმნიშვნელოვნად იკვეთება ინსტიტუციონალურ დონეზე დამახსოვრების პოლიტიკის ხელშეწყობა. ქალაქ თბილისის ურბანული სასაფლაოების მოწყობის 2015 წლის დადგენილებით, ჯერ ერთი, რომ ახალგაკეთებული სამარხი დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრზე მეტით უნდა იყოს მოშორებული, და მეორე, არ შეიძლება ერთკაციანი საფლავის ფართობი 4 კვადრატულ მეტრს აღემატებოდეს (“საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,” N-20-103, 2015). კახა ფარფალიას სამარხი საქმის შემთხვევაში, კანონის ორივე პუნქტი დარღვეულია. სიღრმისეული ინტერვიუებიდან და ზეპირი ისტორიებიდან გაირკვა, რომ კანონიერ ქურდთა საფლავების კულტურა დღემდე აქტუალურია, რაც პირველ რიგში გამოიხატება იმით, რომ საფლავებზე დადგმულ მემორიალებს ყოველდღე უცვლიან სიგარეტს. ამას თან ერთვის ქართული “მარადიული” ქელების ტრადიცია: ირკვევა, რომ თვეში ერთხელ მაინც ხონის სავანეში 10-15-ზე მეტი ადამიანი იკრიბება მიცვალებულის პატივსაცემად. იმერეთის რეგიონის რესპონდენტები ირწმუნებიან, რომ ამ რეგიონში მათ არ იციან ისეთი ადგილობრივი, რომელიც ქურდულ სუბკულტურას არ არომანტიზებს, ან მინიმუმ ამ ტრადიციას წინააღმდეგება, პირიქით: მათი თქმით, ქუთაისში ქურდებს საბჭოთა კავშირის სისტემის მოწინააღმდეგეების სახელი აქვთ, რაც კიდევ უფრო ზრდის სუბკულტურის რომანტიზების დონეს. რაც შეეხება თბილისის რეგიონის რესპონდენტებს, მათ თითქმის არ ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა არც პრობლემას ხედავდნენ აღნიშნულ ტენდენციაში (უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ გულგრილნი იყვნენ, მოვისმინეთ ისეთი ფრაზები, როგორცაა “ეს ჩემი საქმე ნამდვილად არ არის,” “ამაზე მეტი სადარდებელიც გვაქვს”). უფრო დეტალურად რომ მივყვეთ: ქალაქ ხონის მოქალაქე (45 წლის), რომელიც ქალაქის სავანის მიმდებარედ ცხოვრობს, აცხადებს, რომ მისი სახლი პირდაპირ შეჰყურებს გია ფირცხალავას სასაფლაოს, რაც განპირობებულია იმით, რომ სამარხი მთავარი საავტომობილო გზის დასაწყისშია გაკეთებული. რესპონდენტის თქმით, ყოველ თვე საფლავს მუდმივად ჰყავს სტუმარი, რომელთა უმრავლესობა მუდამ სხვადასხვა ადამიანია. ყოფილა შემთხვევებიც, როცა შეუმჩნევია საფლავზე მომუშავე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, ძირითადად ჟურნალისტები და ფოტოგრაფები. ამის მიზეზად, თავად რესპონდენტი, საფლავზე დადგმულ უმდიდრეს ქანდაკებას, როგორც გარდაცვლილის მემორიალს, ასახელებს. იგი აღნიშნავს, რომ მათ ყველა საფლავს საგანგებოდ დაქირავებული მომვლელი და მეთვალყურე ჰყავს, დაუშვებელია გარდაცვლილის სამარხის შეურაცხყოფა. როგორც თვითმხილველი, შეესწრო ორი კანონიერი ქურდის (სახელებს ზუსტად ვერ იხსენებს) დაკრძალვას და მისი აღწერისას თქვა, რომ მგლოვიარეებს რუსეთიდან ჰქონდათ ჩამოტანილი ოქრო - ვერცხლი და ბრილიანტი (რომელიც შემდეგ გარდაცვლილის სახელზე სოციალურად გაჭირვებულ ადგილობრივ საზოგადოებაში ჩამოარიგეს) და სათლებით ხელში მიუძღოდნენ გარდაცვლილს. რესპონდენტი აღნიშნულ ტენდენციას არ აფასებს უარყოფითად და ასევე ვერ აღიქვამს, როგორც საშიში იდეოლოგიის დამკვიდრების საფრთხედ. ხონის მეორე მოქალაქე უშუალოდ კანონიერ ქურდთა ინსტიტუტის მარომანტიზებელი და მათთან დაკავშირებული პირია. მის მიერ მოყოლილი ზეპირი

ისტორიების ძირითადი ლაიტმოტივი ისაა, რომ კანონიერი ქურდების ინსტიტუტი საჭირო და აუცილებელია ქართული საზოგადოებისთვის, რადგან მას უფრო მეტად ენდობა საზოგადოება, ვიდრე სამართალდამცავ ორგანოებს (ამ შემთხვევაში ახსენებს “მილიციას”). მისი აზრით, სწორედ კანონიერმა ქურდებმა შეუწყვეს ხელი მე-20 საუკუნის ბოლო ოცწლეულში საბჭოთა კავშირის სისტემის კრახს საქართველოში, ხოლო მაშინ, როდესაც შევარდნაძის დროს, ბნელ 90-იანებში, საკუთრების მითვისება და ყაჩაღობა პირდაპირი გაგებით ყვაოდა ქვეყანაში, კანონიერი ქურდები საზოგადოებას ეხმარებოდნენ დაკარგული და მოპარული ნივთების უკან დაბრუნებაში. შესაბამისად, საზოგადოებაც ვალდებულია მათი ამაგი დააფასოს და სწორედ ესაა საფლავების განსაკუთრებული წესით მოწყობის იდეაც. რესპონდენტი, ცხადია, პოზიტიურადაა განწყობილი როგორც ტენდენციის, ისე აღნიშნული ინსტიტუტის სუბკულტურის მიმართ და მეტიც, შენიშნავს, რომ უკეთესი იქნებოდა ამ პირთა ქანდაკებები არა მხოლოდ საფლავებზე, არამედ - ქუჩებშიც იდგას. რაც შეეხება კვლევის თემატიკის ექსპერტს, ის აღნიშნულ საკითხს სკეპტიკურად უყურებს. როგორც ის აღნიშნავს, რა თქმა უნდა, ყველა გარდაცვლილს უნდა ჰქონდეს საფლავი და ამის გაუქმება ან არდაშვება წარმოუდგენელია, მაგრამ ის, რომ რიგი კანონები ირღვევა ავტორიტეტთა გულისთვის, წარმოადგენს იმას, თუ ჯერ კიდევ როგორ განიცდის კრახს დემოკრატია და დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოში. მისი აღნიშვნით, არსებული ტენდენცია სრული ანალოგია რუსული ვარიანტისა, გამომდინარე იქიდან, რომ თავად ქურდების ინსტიტუტიც საბჭოთა რუსეთში ჩაისახა, გაღვივდა და სწორედ იქიდან შემოვიდა (და დღემდე არსებობს) საქართველოში. როგორც ის ამბობს, კანონიერ ქურდთა სუბკულტურის ნებისმიერი სახით პოპულარიზაცია, რომანტიზება და მისი აღუკვეთაობა სულ უფრო და უფრო მჭიდროდ აკავსირებს ქართულ და რუსულ საზოგადოებას, რასაც, ჩვენი უახლოესი ისტორიიდან და დღევანდელი გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ამორალურს უწოდებს. ექსპერტი ფიქრობს, რომ საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში ქურდულ სუბკულტურას ძალიან მჭიდროდ აქვს ფესვი გადგმული, რაზეც არა მარტო საფლავების კეთილმოწყობა, არამედ ისიც მეტყველებს, რომ დღემდე პოპულარულია ისეთი თემატური თამაშები, როგორიცაა მაგალითად “ქურდი ზონაში,” ხოლო კანონიერ ქურდთა რვაქიმა ვარსკვლავებს ყოველ მე-2 “ქუჩის ხელოვნებაში” შევხვდებით.¹

სუბკულტურის მაღალ რეპრეზენტატულობას ადასტურებს ჟურნალისტიც, რომელიც სპორტული სფეროს წარმომადგენელია. მას ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ჰქონდა შეხება თბილისის ახალ სპორტის სასახლესთან. შესაბამისად, მისი თვალთახედვას არ გამოჰპარვია საბურთალოს ძმათა სასაფლაო, რომელიც, მისივე თქმით, ხელის გულივით იმლება სპორტის სასახლის ფანჯრებიდან. ჟურნალისტის თქმით, 2023 წლის ევრობასკეტის მსვლელობისას, არაერთი ევროპელი კალათბურთელი აღშფოთდა იმ ფაქტით, რომ ახალი სპორტის სასახლე პირდაპირ სამარხების გვერდით იყო, ხოლო განსაკუთრებით აკვირვებდათ სიმბოლოებით დატვირთული თაიგულებით ავსებული უდიდესი ტერიტორია, რომელიც, რესპონდენტის აღწერისა და ადგილის გეოგრაფიიდან გამომდინარე, კახა ფარფალიას საფლავს უნდა წარმოადგენდეს.

¹ ინფორმაცია გადამოწმებულია კვლევითი ნაშრომის “კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა მოზარდების სოციალიზაციაზე პოსტ-საბჭოთა საქართველოში” (კეკოშვილი, 2019, გვ. 85-100) მიხედვით.

ჟურნალისტი რესპონდენტის ნათქვამს ამყარებს ხელოვნების წარმომადგენელი რესპონდენტი, რომელიც 20 წელიწადზე მეტია მუშაობს საფლავების მოპირკეთების საქმეზე და ჰქონია კანონიერი ქურდების საფლავების ატრიბუტების არაერთი შეკვეთა. იგი აღნიშნავს, რომ თუ ზოგადად საფლავის ქვის სიმაღლე 1,3-1,4 მეტრს არ აღემატება, კანონიერ ქურდთა შემთხვევაში სიმაღლეს ყოველთვის 15-20 სანტიმეტრი ემატებოდა, ატრიბუტი ყველასგან გამორჩეული და თვალშისაცემი უნდა ყოფილიყო. მისივე თქმით, ეს სპეციფიკა მთელ აღმოსავლეთში და უკვე თვითონ რუსეთშიც კი აღარ არის იმ დონეზე აყვანილი, როგორც - საქართველოში. კანონიერ ქურდთა უმრავლესობა არ გამოირჩევა ძვირფასი და ფორმალური ტანისამოსის ტარებით, მაგრამ შეკვეთის მოთხოვნისას აქცენტი ყოველთვის კეთდება გარდაცვლილის პიჯაკ-ჰალსტუხით გამოსახვაზე. ბოლო დროს გაჩნდა ახალი ტენდენციაც - გარდაცვლილის საკუთარ მეუღლესთან ერთად გამოსახვა, მიუხედავად იმისა, მეუღლე ცოცხალია თუ არა. რესპონდენტის თქმით, ეს ტენდენცია გარდაცვლილის პორტრეტს თითქოს უფრო სანდომიანს ხდის.

ხონელი რესპონდენტების მსგავსად, სასაფლაოს მომვლელი კრიმინალურ ავტორიტეტთა საფლავებზე საუბრისას ამბობს: “ხონში ყველას უყვარდა ესენი... ყველა კაი ხალხი იყო ნამდვილად, ამათგან ზოგი ნამდვილი ვარსკვლავი იყო მთელ ქვეყანაში კი არა, მთელ რეგიონში.” მისი აღნიშვნით, გარდაცვლილთა ნათესავები არ იშურებენ თანხას იმისთვის, რომ საფლავი მუდამ იდეალურად იყოს მოწესრიგებული და თან აღნიშნავს იმას, რომ მათი თხოვნის გარეშე, პირადი ინიციატივითაც გააკეთებდა ამას, საკუთარი პატივისცემის გამოსახატავად.

ფლორისტი რესპონდენტიც იზიარებს ამ უკანასკნელ იდეას. მისი აღნიშვნით, თვეში მინიმუმ ერთხელ მაინც იღებს დიდ შეკვეთას რვაქიმიანი სიმბოლოს გამოსახვის დავალებით. ამბობს, რომ დამკვეთები, ძირითადად, ანონიმურად რჩებიან და სულ დოლარებსა და ევროებს იხდიან. უარი არ უთქვამს არცერთ შეკვეთაზე, მისთვის ეს ჩვეულებრივი და მეტიც, ხელსაყრელი მოცემულობაა. ამბობს, რომ კანონიერი ქურდები ყოველთვის პოლიტიკოსებზე მეტად გამოირჩეოდნენ კეთილმოწყალებითა და ხელგაშლილობით.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კანონიერი ქურდები დღემდე ცდილობენ შეუნარჩუნონ თავიანთ სუბკულტურას პოპულარობა ქართულ საზოგადოებაში, რის ერთ-ერთ ნათელ დასტურსაც მათი სამგლოვიარო ხელოვნების ყველასგან გამორჩეული სპეციფიკა წარმოადგენს, რაც გულისხმობს პომპეზური ქანდაკებების, საკრალური სიმბოლოების, სტრატეგიულად გათვლილი სამარხი ადგილებისა და სასაფლაოს მოწყობა - მოვლის ტექნიკის გამოყენებას. აღნიშნული თავისებურებანი ემსახურება კრიმინალური კულტურის როგორც ადგილობრივ, ისე ტურისტთა კოლექტიურ მეხსიერებაში ასახვას. ხსენებული დამახსოვრების პროცესი, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მიმდინარეობს თეორეტიკოს ბრაიან კონვეის თეორიული ჩარჩოს მესამე და მეოთხე საფეხურების გამოყენებით, რაც გულისხმობს იმას, რომ სოციალურ დონეზე მემორალიზაცია ხდება სკულპტურული სიმბოლოების გამოყენებით, - მათი ეფექტი მოკლევადიან,

იმპლიციტურ, მეხსიერებას გარდაქმნის გრძელვადიან, ექსპლიციტურ, კულტურულ მეხსიერებად. რაც შეეხება ინსტიტუციონალურ დონეს, კანონიერ ქურდთა წარმომადგენლებს ნება ეძლევათ, მიუხედავად კანონმდებლობისა, ისე განახორციელონ თავიანთი ტრადიცია, რომ კულტურა საზოგადოებისათვის შესამჩნევი გახდეს. ინსტიტუციონალურ დონეზე ამ ტექნიკის ხელშეწყობა რამდენჯერმე აქტიურ წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა (კახა ფარფალიას პომპეზური დაკრძალვა, რომელსაც მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ). კონკრეტული ობიექტების შესწავლაზე, დოკუმენტების კონტენტ - ანალიზსა და რესპონდენტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ: 1) ქურდული სამყაროს წარმომადგენლები 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ცდილობენ თავიანთი ლეგიტიმაციის გამყარებას და არ ექმნებათ ბარიერები; 2) საფლავები ნამდვილად წარმოადგენენ მეხსიერების კონტეინერებს, რომელთაც უნიკალური შთაბეჭდილება უნდა მოახდინონ მნახველებზე. შესაბამისად, საკვლევი ფენომენის მიზანი ჯერ-ჯერობით, დაუბრკოლებლად მიიღწევა, - სუბკულტურის პროპაგანდა საფლავებზე გრძელდება.

ბიბლიოგრაფია:

- არაჩანდა. (2014, 16 მარტი). ქართველი კანონიერი ქურდების საფლავები. *Intermedia.ge*. ატვირთულია: [Intermedia.gov.ge.Georgian Thief in law cases,kartvel kanonier kurdta saplavebi/](https://www.intermedia.ge/Georgian-Thief-in-law-cases-kartvel-kanonier-kurdta-saplavebi/)
- კუხიანიძე, ა. (2013). *პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დამნაშავეობა*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი,“ გვ.153.
- მთავარი არხი, ტვ. (2020, 8 აგვისტო). კანონიერი ქურდების სასაფლაო - "ოცნება" საბჭოთა "ცეხავიკების" ეპოქას უბრუნდება. [ვიდეო]. ატვირთულია: <https://www.facebook.com/watch/?v=294213558460630>
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2015). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტის ნომერი 20-103. თბილისი. ატვირთულია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2669536>
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). ქალაქების და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრის მდგომარეობით. თბილისი. ატვირთულია: <https://geostat.ge/media/53030/1-3-galaqebis-da-dabebis-mosaxleobis-ricxovnoba.xlsx>
- ქარაია, თ. (2023). *მეხსიერების პოლიტიკა, ძირითადი ცნებები და დეფინიციები*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 8-9.
- ჯონსი, ს., თორია, გ. (2022). *მეხსიერების ადგილები და ქართული ნაციონალური იდენტობის სიმბოლური გარემო*. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 20-21.
- Assman, A. (2008). Canon and Archive. In: *Cultural Memory Studies: An International and Interdisciplinary Handbook*. Erlil, A. and Nunning, A. (Eds.). Berlin: Walter de Gruyter, pp.97-109.
- Halbwachs, M. (1992). *On Collective Memory*. Chicago: The University of Chicago Press. ატვირთულია: <https://press.uchicago.edu/ucp/books/book/chicago/O/bo3619875.html>
- Nora, P. (1996). Realms of Memory. *The Construction of the French Past, Volume 1 - Conflicts and Divisions*. Nora, P. and Kritzman, L.D. (Eds.). Columbia University Press. ატვირთულია: <https://cup.columbia.edu/book/realms-of-memory/9780231084048>
- Oliveto, J. (2020, 12 ივნისი). 'Whats funerary Art? History, Purpose & Examples. Chicago. ატვირთულია: <https://www.joincake.com/blog/funereary-art/>
- YouTube. (2020). თბილისში კანონიერი ქურდი პომპეზურად დაკრძალეს - ვინ არიან მთაწმინდის საძმომი.[ვიდეო]. ატვირთულია:<https://www.youtube.com/watch?v=5Buz5ftJiDg>

დანართი



ფოტო N1. გია მანაგაძის სასაფლაო ქუთაისში, სტროიტელოვის ფოტოარქივი, 2013.



ფოტო N2. კახა “გალსკი” ფარფალიას სასაფლაო საბურთალოზე, 2023 წ. 26 დეკემბერი.



ფოტო N3. შოთა გაგუას საფლავი ხონში, Kvira.ge, 2014.



ფოტო N4. გია “დუდუკა” ვირცხალავას საფლავი ხონი, 2023 წლის 26 დეკემბერი.